PRIME Time
N16 (317) ორშაბათი, 27 აპრილი, 2015 წ.
იქს ფაქტორი
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

EUROPEAN YOUTH OLYMPIC FESTIVAL TBILISI 2015
GINO ჯინო PARADISE ფერიდაისი

# სკანდალური ექსკლუზივი

# სასიკვდილო ვირუსით თბილისში მეორე ადამიანი გარდაიცვალა





## ჯანდაცვის სამინისტრო გარდაცვლილებთან კონტაქტში მყოფ პირებს უკვე ამოწმებს

## „პაციენტების მდგომარეობა ყოველ საათში მძიმდებოდა - ცხელება, ღებინება, ძლიერი თავის ტკივილი, გამონაყარი სხეულზე და თვალებიდან სისხლდენა“

**EXCLUSIVE**

სტრასბურგში აფრასიძეების საქმის განხილვა დაიწყო



მთავარი ბრალდებული გია ბარამიძეა

**EXCLUSIVE**

ევექსი სამედიცინო კორპორაცია

## თბილისი გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტს ამზადებს

„ეს დახურული დოკუმენტია და ამაზე მეტის საუბარი არ შემიძლია. საფრთხეებზე მუშაობა თითქმის დასრულებულია“



რა სკანდალურ ინფორმაციებს ფლობს ზურაბ ადეიშვილი და რა გარიგება შედგა მასთან უნგრეთში საიდუმლო შეხვედრაზე

EXCLUSIVE

„ამ ადამიანს ყველასა და ყველაფერზე კომპრომატი აქვს და ღიად მასთან კონფრონტაციაში ვერც სააკაშვილი შევა და ვერც მისი მთავრობის წევრები“

„პრაიმტაიმმა“ იმ პოლიციელის ჩვენება მოიპოვა, ვისაც ვაზაგაშვილისთვის საკონტროლო გასროლა ედება ბრალად

EXCLUSIVE





## პორნოსკანდალი



მასალის 80 პროცენტი მშობლის მიერ არის გადაღებული

ვიდეოები, სადაც დიპლომატის ვაჟი მოზარდ ბიჭებთან და ზრდასრულ კაცებთან სექსუალურ კავშირს ამყარებს

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა სკანდალურ ინფორმაციებს ფლობს ზურაბ ადეიშვილი და რა გარიგება შედგა მასთან

ირაკლი მამალაძე

## „თუ ადეიშვილი ამ კუთხით თანამშრომლობს მთავრობასთან, წინ კიდევ მრავალი ასეთი ფირი და ჩანაწერი გველოდება“



**„ამ ადამიანს ყველასა და ყველაფერზე კომპრომატი აქვს და ღიად მასთან კონფრონტაციაში ვერც სააკაშვილი შევა და ვერც მისი მთავრობის წევრები“**

**2015 წლის 14 აპრილს ინტერპოლმა წითელი ცირკულარიდან ამოიღო ზურაბ ადეიშვილი. იუსტიციის სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეში ბრალდებული ყოფილი მინისტრის ძებნილთა სიიდან ამოღებამ საზოგადოების ნაწილში გააძლიერა ეჭვები ადეიშვილისა და ხელისუფლების თანამშრომლობაზე. პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ინტერპოლი იუსტიციის ყოფილ მინისტრს მთავარი პროკურატურის თანხმობის გარეშე სიიდან ვერ ამოიღებდა. ამის შესახებ არაერთი საჯარო განცხადება გაკეთდა პროკურატურის მისამართით, თუმცა პროკურატურა მხოლოდ ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლა. ბადაშვილის უწყებას ამ დრომდე არ უთქვამს, რომელმა ქვეყანამ მისცა იუსტიციის ძებნილ მინისტრს პოლიტიკური თავშესაფარი. კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც პროკურატურას პასუხები არ აქვს, ეს ადეიშვილის კადრების მაღალ თანამდებობებზე დატოვებაა. ამ თემასთან დაკავშირებით პროკურატურის ყოფილი თანამშრომელი „პრაიმტაიმს“ სკანდალურ ფაქტებს აწვდის. ბადაშვილის უწყების ყოფილ თანამშრომელს ამ ეტაპზე არ სურს იდენტიფიცირება და მხოლოდ ამ ფორმით გვთანხმდება იმ ფაქტების გამოქვეყნებაზე, რომელიც ზურაბ ადეიშვილისა და ამჟამინდელი ხელისუფლების სავარაუდო თანამშრომლობას ეხება.**

**– თქვენი აზრით, რატომ რჩებიან დღემდე თანამდებობებზე ადეიშვილის კადრები?**

– ამის ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს გარიგება მთავარ პროკურატურასა და იუსტიციის ძებნილ მინისტრს შორის. არაერთხელ დასმულა პროკურატურაში თათბირზე ღიად საკითხი ადეიშვილის კადრებთან დაკავშირებით, მაგრამ არც ერთხელ არ მოგვისმენია მყარი არგუმენტები მთავარი პროკურორისგან, ამ შემთხვევაში ვსაუბრობ არჩილ კბილაშვილზე.

**– მაინც რომელ დეპარტამენტებში ინარჩუნებდნენ ადეიშვილის კადრები თანამდებობებს?**

– მე არ ვისაუბრებ რიგით პროკურორებზე. რამდენიმე დეპარტამენტის უფროსი... მაგალითად, სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი... ეს არის დეპარტამენტი, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა ადეიშვილის საქმის მასალების მიწოდება ინტერპოლისთვის. თუ არსებობს შეკითხვები და ეჭვი იმაზე, რომ მთავარმა პროკურატურამ ინტერპოლს არ მიაწოდა მათ მიერ მოთხოვნილი დამატებითი მასალები ადეიშვილთან დაკავშირებით, ეს ჩილინგარაშვილის ხელით გაკეთდებოდა და ამას, მერწმუნეთ, სიამოვნებით გააკეთებდა, რადგან ის ზურაბ ადეიშვილის გამორჩეული კადრია. ადეიშვილის ახლო მეგობარი კადრია ნიკოლოზ ბიწკინაშვილი, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი. ძალიან მაღალი თანამდებობაა. ადეიშვილის დროს ბიწკინაშვილს იმ 350 პროკურორის კონტროლი და ზედამხედველობა ევალებოდა, რომლებმაც, როგორც ამბობენ, უამრავი დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ დასჯილი პროკურორი არ გვინახავს და გენინსპექციის მაშინდელი უფროსი ისევ თანამდებობაზეა.

**– პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს მსგავსად, სხვა სახელისუფლებო უწყებებში თუ არიან ადეიშვილის კადრები?**

– მაგალითად, კონტროლის პალატაში ბატონი ლაშა თორდია ადეიშვილის კადრია და მათი შეხვედრა, ჩემი ინფორმაციით, უნგრეთში შედგა ბოლოს. საუბარია, თუ არ ვცდები, 2013 წლის ბოლოზე, როცა ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო ლაშა თორდიას თანამდებობიდან წასვლის საკითხი და გეტყვით იმასაც, რომ მისი ადგილი პროკურატურის ერთ-ერთი დეპარტამენტის ხელმძღვანელს უნდა დაეკავებინა, თუმცა მოხდა ისე, რომ თორდია უცხოეთში გაემგზავრა, ადეიშვილს შეხვდა და დღემდე თანამდებობაზეა.

ეს როგორ მოახერხა ადეიშვილმა, შეგიძლიათ, თავად ბატონ ლაშას ჰკითხოთ, რადგან ის ამ შეხვედრის შემდეგ 180 გრადუსით შეიცვალა და წარმატებით აგრძელებს მუშაობას საპასუხისმგებლო და ხელისუფლებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის უწყებაში. ალბათ, ჩნდება შეკითხვა, როგორ შეიძლება ხელისუფლებამ დატოვოს კონტროლის პალატის ხელმძღვანელად თავისი ოპონენტის, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი გამოკვეთილი სახე. არ ვიცი, ალბათ, პასუხები მოიძებნება როგორმე. და ეს პასუხი იქნება თორდიას მუშაობა. მაგალითად, მან ძალიან კარგად იმუშავა ირაკლი ალასანიას უწყებაში.

**– თუ არიან ადეიშვილის კადრები სასამართლო უწყებაში?**

– იცით, ასე გადაჭრით არ შემიძლია ვისაუბრო მოსამართლეებზე, მაგრამ ვიცი, რომ ადეიშვილთან დაახლოებული მოსამართლეები დღემდე რჩებიან სასამართლო სისტემაში. მე შემიძლია, მხოლოდ ფაქტები გითხრათ. მაგალითად, მოსამართლე ჩემია. გახსოვთ, ალბათ, ის სანდრო გირგვლიანის განაჩენის ავტორი გახლავთ. როგორც ვიცი მოსამართლე ჩემია დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას, თუ არ ვცდები, სააპელაციო სასამართლოში. ასევე, მისი მეუღლე, მადონა მაისურაძე, რუსთავის სასამართლოში, რომელმაც, გახსოვთ, ალბათ, მერიის 4 მაღალჩინოსანი ჯერ დარბაზიდან გაათავისუფლა, შემდეგ კი აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდა. ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ეს გადაწყვეტილება პროკურატურის წარმატებად წარმოჩინდა, რადგან ბრალდების მხარე არ იყო განებივრებული მსგავსი გადაწყვეტილებებით ამ პერიოდში სასამართლოს მხრიდან.

**– მაინაც რა გარიგება შეიძლება არსებობდეს ადეიშვილსა და ამჟამინდელ ხელისუფლებას შორის?**

– ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა თანამშრომლობაზეა საუბარი, ან რა ურთიერთობაზე, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზურაბ ადეიშვილი არის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი და მის ჰქონდა წვდომა, ალბათ, ყველაზე მეტ საქმესთან და სამხილთან, რომელიც სააკაშვილსა და მისი მთავრობის საქმიანობას უკავშირდება. ჩვენ არაერთხელ გამხდარვართ სკანდალური მასალის თვითმხილველნი. მაგალითად, იგივე ვანო მერაბიშვილის კადრების სპეცოპერაციიდან და ა.შ. თუ ადეიშვილი ამ კუთხით თანამშრომლობს მთავრობასთან, წინ კიდევ მრავალი ასეთი ფირი და ჩანაწერი გველოდება, სავარაუდოდ, რომელსაც ხელისუფლება გამოიყენებს, რა თქმა უნდა, ოპონენტებს წინააღმდეგ.





**– თუ ადეიშვილი ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, მაშინ, რატომ რჩება ის ისევ ნაციონალებთან? რატომ არ უპირისპირდებიან მას ყოფილი თანაგუნდელები?**

– ადეიშვილი, როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი ყოფილი მაღალჩინოსანი, „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ერთი მხრივ, საშიში და სჭირო ფიგურაა. მასთან ურთიერთობას არ გაიფუჭებენ, უბრალო მიზეზის გამო. ამ ადამიანს ყველასა და ყველაფერზე აქვს კომპრომატი და ღიად მასთან კონფრონტაციაში ვერც სააკაშვილი შევა და ვერც მისი მთავრობის წევრები. პირიქით, ისინი ყველაფერს გააკეთებენ მის დასაცავად და თავიანთი გუნდის წევრად წარმოაჩენენ. ადეიშვილი, როგორც ფიგურა, არ აზიანებს „ნაციონალურ მოძრაობას“, უბრალოდ, მისი სამხილები შეიძლება აღმოჩნდეს საზიანო ნაციონალებისთვის.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა ინტერვიუში დასახელებული ფაქტების გადამოწმებას. ირაკლი ჩილინგარაშვილი, მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის პერიოდში, 2006-2008 წლებიდან, იწყებს მუშაობას საგამოძიებო უწყებაში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, პროკურორის პოზიციაზე. 2010 წლიდან კი სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობას იბარებს. ზურაბ ადეიშვილის მინისტრობის პერიოდში იკავებს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის პოსტს ნიკოლოზ ბიწკინაშვილიც და ის დღემდე რჩება ამ თანამდებობაზე. რაც შეეხება ლაშა თორდიას, მას „პრაიმტაიმმა“ კონტროლის პალატის პრესსამსახურის საშუალებით გაუგზავნა შეკითხვები, თუმცა პასუხი არ მიგვიღია. მოგვიანებით კი, ჩვენს ზარებს აღარ პასუხობდნენ. ინტერვიუში დასახელებული თანამდებობის პირები თუ გადაწყვეტენ, აღნიშნულ ფაქტებს უპასუხონ, ჩვენ მზად ვართ, მათი პოზიციებიც მოვისმინოთ.

# რა ხდე

ქეთი ხატიაშვილი

**წინასაარჩევნო მარათონი გახსნილად შეიძლება ჩაითვალოს. მართალია, ჯერ ოფიციალურად გაცხადებული არაფერია და ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ვისზე დაიდება ძირითადი ფსონები, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ გადაწყვეტილებისთვის ემზადებიან კულისებში. ამიტომაც კონკურენციის ნიშნები გაჩნდა. სწორედ ამით ხსნიან ექსპერტები აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბოლო დროს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გაჩენასაც.**

სხვათა შორის, შევარდნაძის დროს პოლიტიკური კონკურენცია არსებობდა, ოღონდ მხოლოდ პარლამენტში, აღმასრულებელი ხელისუფლება ამ პროცესში ჩართული არ იყო; სააკაშვილის დროს არსებობდა მხოლოდ სააკაშვილი და მთელი გუნდი მასზე მუშაობდა. კონკურენციის ნიშნები იყო, თუმცა, შევარდნაძის პერიოდისგან განსხვავებით, მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ახლა ამ ბატალიებში უკვე პარლამენტი არ მონაწილეობდა. საკანონმდებლო ორგანო, შეიძლება ითქვას, დღესაც განზეა გამდგარი. დავით უსუფაშვილი პოლიტიკურ პროცესს ვერ ქმნის, ის მხოლოდ მეთვალყურის როლშია და შიგადაშიგ შეფასებებით იფარგლება.

ასე რომ, კონკურენციის ხაზი ახლაც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გადის და აქ ახალი მოთამაშე გამოჩნდა, ახალი ძველი გამოცდილებით. კარის თამაშების, შეიძლება ითქვას, უბადლო მოთამაშე. პირადად ჩემთვის ეს სულაც არ არის კომპლიმენტი, თუმცა, ამ ნიჭის წყალობით, ნოდარ ჯავახიშვილი ბევრი კულუარული ბრძოლიდან გამოვიდა მშრალი. ის სერიოზული მოთამაშეა და ასლან აბაშიძის კარზეც აქვს წარმატებისთვის მიღწეული... მოკლედ, ამ გამოცდილების თუ სხვა ნიშნების გამო, სოცქსელებში უკვე ითქვა, რომ ჯავახიშვილი შეიძლება პრემიერიც გახდეს. ეს დიდი სკანდალი იქნებოდა და, ჩემი აზრით, გამორიცხულია. თუმცა, ის რომ ჯავახიშვილი მთავრობის სხდომებს ესწრება, ამ პროცესს უკვე საინტერესოსა და ხმაურიანს ხდის.

როგორც მას ძველი მეგობრები ახასიათებენ, ის პრინციპული ადამიანია, თუმცა გუნდური მოთამაშე არ არის. ეს ჯავახიშვილმა ინფრასტრუქტურის სამინისტროში მისვლისთანავე გამოავლინა, როცა მინისტრს

# სკანდალ

**ბელორუსის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში არა მხოლოდ პოლიტიკურად იყო სკანდალური – ალექსანდრ ლუკაშენკო პირველად ეწვია საქართველოს და ამ ვიზიტს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში – არამედ კულუარულადაც.**

პრეზიდენტ მარგველაშვილის ადმინისტრაციაში ხმაური ლამის სერიოზულ სკანდალში მაშინ გადაიზარდა, როცა ტელერადიოკომპანია „მირის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ბადრი ნაჭყებია ბელორუსის პრეზიდენტთან შეხვედრაზე არ შეუშვეს. ნაჭყებიამ „პრაიმტაიმთან“ კომენტარი მანამ არ გააკეთა, სანამ ლუკაშენკოს თვითმფრინავმა საქართველოს საზღვრები არ დატოვა.

მოგვიანებით კი „მირის“ ხელმძღვანელმა იმ დეტალებზე ისაუბრა, რომელსაც ორი თვის ისტორია აქვს.

საქმე ის გახლავთ, რომ, როგორც კი თბილისმა ვიზიტის მომზადება დაიწყო, ტელერადიოკომპანია „მირის“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა **ბადრი ნაჭყებიამ** გიორგი მარგველაშვილს ოფიციალური წერილით მიმართა:

– წერილი ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში გავაგზავნეთ,



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბა სახელისუფლებო კულისებში

## „ღარიბაშვილს ეძლევა საშუალება, განთავისუფლდეს ნეგატივისგან, დაგროვილი პრობლემებისა თუ შეცდომებისგან“



## რა ხდება ღარიბაშვილსა და კალაძეს შორის

ხან რომელი მედიასაშუალებიდან აკრიტიკებდა და ხან – რომელიდან. საბოლოოდ, შავლიაშვილის წასვლა ლოგიკურიც ჩანდა, ასეთ დისკომფორტში მუშაობის სურვილი მას არ ექნებოდა.

თუმცა, კონკურენციაში ჯავახიშვილი მაინც ჩაერთო და ფინანსური კრიზისის დროს საკუთარ სტილში სკანდალური განცხადებაც გააკეთა, როცა მსოფლიო სავალუტო ფონდი კორუფციაში „ამხილა“. ამ განცხადების გამო კი პრემიერმა და ვიცე-პრემიერმა (ეკონომიკის მინისტრმა) ბოდიშიც კი მოიხადეს.

ასეა თუ ისე, ნოდარ ჯავახიშვილი მთელ ამ ისტორიაში ხმაური უფროა, ვიდრე მნიშვნელოვანი დეტალი. ექსპერტები ყურადღებას მაინც უფრო ღარიბაშვილსა და კალაძეს აქცევენ. ჯერჯერობით ეს ორი ფიგურა იკვეთება, მათი აზრით, მთავარ ლიდერებად.

მაგალითად, ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვა ლიდერები და რეიტინგული ფიგურებიც არიან, თუმცა, მათ არ აქვთ პოლიტიკური ამბიციები. მაგალითისთვის მას დავით სერგეენკო მოჰყავს.



**ლევან ალაფიშვილი:** „გამორიცხვით ცვლილებებს არ გამოვრიცხავ, პოლიტიკურად წამგებიანი ბევრი საკითხი დაგროვდა და ვითარება იმ კონდიციამდეა მისული, როცა განმუხტვა და კვანძის გახსნაა საჭირო. როგორ განხორციელდება ეს ყველაფერი, რა შეიძლება მივიღოთ, ვინ იქნება პროცესის წარმმართველი, როგორ პოლიტიკურ განრიგს მივიღებთ წინასაარჩევნოდ? ჯერ ძალიან რთულია ამაზე საუბარი“.

ექსპერტები და ცნობილი პოლიტიკოსები ცდილობენ, გამოიცნონ და მიხვდნენ პოლიტიკური პროცესების მსვლელობის ლოგიკას. ვალერი გელბახიანი მიიჩნევს, რომ მინისტრთა კაბინეტი სექტემბრისთვის აუცილებლად გამოიცვლება: ლოგიკა ასეთია, უნდა შეიცვალოს, ღარიბაშვილი შეიძლება ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გახდეს ან რომელიმე საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელად დაინიშნოს. ცვლილება აუცილებელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვება შეძლოს.

**ლევან ალაფიშვილის აზრით კი, ირაკლი ღარიბაშვილს აქვს შანსი, არჩევნების წინ კაბინეტი განაახლოს:**

– მნიშვნელოვანია, რომ ღარიბაშვილს ეძლევა საშუალება, განთავისუფლდეს ნეგატივისგან, დაგროვილი პრობლემებისა თუ შეცდომებისგან და ახალი გუნდის ფორმირებით, თუკი მას ამის შანსი მიეცა, გააგრძელოს გზა და ეს გზა 2016 წლის არჩევნებზე კი არ იქნება მხოლოდ გათვლილი, არამედ უფრო გრძელვადიან პერიოდზე... ღარიბაშვილს საწყისი პოზიცია კარგი აქვს, იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკური მხარდაჭერა არსებობს და თუკი ახალი სახეები გამოჩნდება პარლამენტში, მთავრობაში, ამის მზაობაც იკითხება.

**– შეიძლება უკვე საუბარი გუნდებზე...**

– გუნდებს ჯერ ვერ ვხედავ, თუმცა მოთამაშეებს ვხედავ. მათ აქვთ პოლიტიკური თუ სახელისუფლო ბერკეტებიც, ამბიციებიც... პრემიერსა და ვიცე-პრემიერს სახელისუფლებო და პარტიული ბერკეტები აქვთ... შეიძლება ბევრისთვის მწარე რეალობაა, მაგრამ კოალიციამ ამ ფორმითა და ამ შემადგენლობით არსებობის ფუნქცია უკვე შეასრულა. კონკრეტიკაზე საუბარი ძნელია, დამოკიდებული იქნება იმაზე, ვის რა რესურსი და პოზიციები ექნება. არ გამოვრიცხავ, რომ უკანასკნელი აქტივობები ამ რეიტინგების გამოძახილი იყოს.

უკანასკნელ აქტივობებში ალაფიშვილი იმ განცხადებებს გულისხმობს, რომელიც იგივე პრეზიდენტის რეზიდენციასა თუ ენერგეტიკაზე ტარიფის გაზრდის მიმართულებით გაკეთდა. ლევან ალაფიშვილის შეფასებით, პრემიერ ღარიბაშვილის პოზიცია ორივე მიმართულებით სახელმწიფოებრივად და პოლიტიკურად სწორი იყო.

# ი ბელორუსის პრეზიდენტის ვიზიტისას

სადაც ვითხოვდით, რომ მე, როგორც „მირის“ ხელმძღვანელს, საზოგადოებასთან ბელორუსის პრეზიდენტის შეხვედრების მიმდინარეობის პროცესში ჩართვის საშუალება მომცემოდა, – განუმარტა ბადრი ნაჭყებიამ „პრაიმტაიმს“ უკვე მას შემდეგ, რაც ლუკაშენკომ საქართველო დატოვა, – „მირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და დამფინანსებელი ბელორუსია, შესაბამისად, გაუგებარი და მიუღებელია, როცა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ამ წერილზე, საერთოდ, რეაგირებაც კი არ მოახდინა. ვიზიტის დაწყების დღესაც კი ვესაუბრე ადმინისტრაციას, ამის ჩანაწერიც მაქვს, თუმცა, მათ კონკრეტული პასუხი ვერ გამცეს. საბოლოოდ, ჩემთვის გაუგებარი დარჩა, რატომ ვერ მოხერხდა ჩემი ჩასმა ვიზიტის ოფიციალურ ნაწილში, თუნდაც ხელმოწერის ცერემონიალზე, მე მხოლოდ მადლობის გადახდა მინდოდა ლუკაშენკოსთვის. ეს ხომ მისი საყვარელი ტელევიზიაა.

ინფორმაციისთვის: ტელეკომპანია „მირი“ მაუწყებლობს დსთ-ს ფარგლებში, ის 10 ქვეყნის 60 მლნ-იან აუდიტორიას ემსახურება. არხს ათივე ქვეყანა აფინანსებს, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი დამფინანსებლები ყაზახეთი, რუსეთი და ბელორუსი არიან. პროექტი 1993 წლის 24 დეკემბერს აშხაბადში „სახელმწიფოთაშორისი ტელერადიოკომპანია „მირის“ საქმიანობის შეუფერხებელი და დამოუკიდებელი განხორციელების საერთაშორისო-სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ამოქმედდა.




## რა ბრალდებებს უყენებენ გიორგი მარგველაშვილის ადმინისტრაციას

ბადრი ნაჭყებია იმ დროსაც იხსენებს, როცა 2012 წლის დასაწყისში მიხეილ სააკაშვილმა ამ ხელშეკრულებიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო და „მირი“ პარალიზებული აღმოჩნდა. მაშინ, ნაჭყებიას თქმით, სწორედ ლუკაშენკომ გადაარჩინა ეს პროექტი. მაშინ ბელორუსის პრეზიდენტმა განაცხადა: „თუკი ეს არხი არ იარსებებს, ჩვენ საერთოდ არ გვეცოდინება, რა ხდება დსთ-ს ქვეყნებში. განსაკუთრებულად საქართველოში... ეს ერთადერთი ფანჯარაა...“ **ნაჭყებიას განმარტებით,** მაშინ სწორედ ლუკაშენკოს მხარდაჭერამ გადაარჩინა „მირი“ დახურვას:

– და წარმოიდგინეთ, პრეზიდენტის რეზიდენციამ არც წერილზე მიპასუხა და არც მადლობის გადახდის საშუალება მომცა მისთვის. ადმინისტრაციაში ვიღაცამ უხეშად მომმართა, ვიღაცამ – ხმამაღლა, ატყდა ხმაური, ვიფიქრე, ვიღაცას ხომ არ სურს, ბელორუსის პრეზიდენტის ვიზიტი ჩავარდეს-მეთქი, ამიტომაც ვითარების გარკვევა აღარ დამიწყია. თუმცა, ბევრი კითხვა დამრჩა, ვერაფრით მივხვდი, რატომ დასჭირდა ვიღაცას, ლუკაშენკოს ვიზიტში ჩემი ჩართვა დაებლოკა. რაზე იყო ეს, მაინც ვფიქრობ, პროვოკაცია გათვლილი? ვერ გეტყვით, პასუხი არ მაქვს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა წერილი მიიღეს აფრასიძეებმა სტრასბურგის სასამართლოდან გასულ კვირას?



გია ბარამიძე: „მე რომ იქ მხოლოდ 50 პოლიციელი გამეშვა, 50 გვამს ჩამოიტანდნენ სვანეთიდან“








მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი გახდა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო აფრასიძეების გახმაურებული საქმის განხილვას შეუდგა. სტრასბურგის სასამართლომ მხარეებთან კომუნიკაცია უკვე დაიწყო, რასაც გასულ კვირას სტრასბურგიდან თბილისში გამოგზავნილი წერილიც ადასტურებს. აღნიშნული წერილი ჩაიბარეს აფრასიძეების ადვოკატებმაც, სადაც ევროსასამართლოს მიერ საქმის ირგვლივ დამაზუსტებელი შეკითხვებია დასმული. 5-გვერდიანი დოკუმენტის დეტალებს ადვოკატები ამ დღეებში გაასაჯაროებენ, მანამდე კი უკვე ცნობილია, რომ ამ საქმეზე ინტენსიური გამოძიება მთავარმა პროკურატურამაც განაახლა, სადაც გასულ კვირას სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი ხელმძღვანელი, ზურაბ ქაჯაია დაკითხეს. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამტკიცებენ, რომ ქაჯაიას, სხვა სპეცრაზმელების მსგავსად, პროკურატურა გიორგი ბარამიძის წინააღმდეგ სთხოვს ჩვენების მიცემას.**

„ზურაბ ქაჯაიას, ისევე როგორც ასზე მეტ სპეცრაზმელს, სთხოვენ, რომ მისცენ ჩვენება, თითქოს მაშინდელი მინისტრი გია ბარამიძე აძლევდათ ბრძანებას აფრასიძეების ლიკვიდაციაზე“, – აცხადებს გივი თარგამაძე.

აფრასიძეების ადვოკატი კი ამ მოსაზრებას აბსურდულს უწოდებს და „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში განმარტავს, რომ ქაჯაიას მიმართ აფრასიძეების ოჯახს კონკრეტული ინფორმაცია აქვს, რაც არანაირ კავშირში არ არის გია ბარამიძესთან.

**ირმა ჭკადუა, ადვოკატი:**

– როგორც ვიცი, ეს ბატონი უშუალოდ მონაწილეობდა სპეცოპერაციაში. აბსოლუტური სიცრუე, თითქოს მას გია ბარამიძის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვენ. კონკრეტული ისტორია ახსოვთ ოჯახის წევრებს ამ ადამიანთან დაკავშირებით და სრულიად კონკრეტული კითხვები არსებობს ბატონი ქაჯაიას მიმართ. არაფერ შუაში არ არის გია ბარამიძე, ეს მასთან კავშირში არ არის.

**– ქალბატონო ირმა, როგორც გავიგეთ, სტრასბურგის სასამართლოდან წერილი მიიღეთ...**

– დიახ, ქალბატონი დოდო აფრასიძე არის ერთ-ერთი თანაავტორი ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში გაგზავნილი სარჩელის. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ გუშინ, გვიან ღამით, მოგვივიდა წერილი ევროპული სასამართლოდან. ძალიან მალე საზოგადოებას დეტალურად ვამცნობთ ამ წერილის შინაარსს და იმას, რა ეტაპზეა ამ წუთში აფრასიძეების საქმის განხილვა სტრასბურგის სასამართლოში.

**– მთავარ პროკურატურაში რა ეტაპზეა ამ საქმის გამოძიება?**

– გამოძიება ინტენსიურ ფაზაშია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასრულებულია. ჯერ კიდევ ბევრი საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი. ოჯახს აქვს პრეტენზიები იმასთან მიმართებაში, რომ იქ მოხდა მიზანმიმართული მკვლელობა ორი ადამიანის და მესამე ადამიანი მძიმედ დაიჭრა, რომელიც ასევე მკვდარი ეგონათ. ვგულისხმობ გოჩა აფრასიძეს. ექიმმა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ მას პულსი ესინჯებოდა და საავადმყოფოში გადმოიყვანეს. არსებობს ძალიან ბევრი თვითმხილველი, რომელიც ამბობს, რომ გოჩა და ომეხ აფრასიძეები ხელბორკილდადებული გამოიყვანეს სპეცრაზმის თანამშრომლებმა ცეცხლწაკიდებული სახლიდან, მანამდე მათი დაჭრილი მამა გამოვიდა ხელებაწეული და მიმართა სამართალდამცავებს, რომ სახლში ბავშვები იყვნენ და სროლა შეეწყვიტათ. ამ დროს ხელებაწეული ევგენი აფრასიძე დაჭრეს, შვილებმა შეათრიეს სახლში, სადაც შევარდა სპეცრაზმი და იქიდან გამოიყვანეს. ხელბორკილდადებული ომეხ აფრასიძე მოკლეს ავტომატის ჯერით, რაც შეეხება გოჩას, მას ჰქონდა ახლო მანძილიდან „შტიკნოჟით“ მიყენებული ჭრილობა.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს სპეცოპერაცია საერთოდ არ უნდა ჩატარებულიყო?**

– როგორც მინიმუმ, უნდა გაირკვეს, რამდენად ადეკვატური და პროპორციული ძალა იყო გამოყენებული, თუკი ეს იყო სპეცოპერაცია და არა მიზანმიმართული მკვლელობა. იყო თუ არა შესაძლებელი ევგენი აფრასიძის გადარჩენა? როგორც მეზობლები და ოჯახის წევრები ამბობენ, მათ არ მისცეს საშუალება, ცეცხლწაკიდებული სახლიდან ევგენი აფრასიძე გამოეყვანათ, რომელიც ჯერაც ცოცხალი იყო და პრაქტიკულად ცოცხლად დაწვეს. შმაგი აფრასიძის მეუღლეს ეგონა, რომ მისი შვილიც იწვებოდა ამ ცეცხლში, უბრალოდ, მან არ იცოდა, რომ გოჩა აფრასიძემ ის ფანჯრიდან გადააგდო და ასე გადარჩა ეს ბავშვი. როდესაც ბავშვი მეზობლის ჭიშკრისკენ გარბოდა, მის მიმართაც მიზანმიმართული ცეცხლი იქნა გახსნილი და მას მარჯვენა ფეხზე ჰქონდა დაზიანება. შმაგი აფრასიძის მეუღლე, ქალბატონი ინდირა იმის გამო, რომ ეგონა, ბავშვიც დაიწვა, ფსიქიკურად შეიშალა და ის დღესაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განაგრძობს მკურნალობას.

**– რამდენადაც ცნობილია, ქონების განადგურებასაც დაობს ოჯახი...**

– რაც შეეხება ოჯახის ქონებას, სახლი, რომელიც დაიწვა და მთლიანად განადგურდა, გახლდათ ქალბატონ დოდო აფრასიძის საკუთრება. ყველამ ვიცით, რომ საკუთრების ხელყოფა არ შეიძლება და ის დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. მოხდა ამ საკუთრების ხელყოფა, სახლი მთლიანად გაიძარცვა. ომეხ აფრასიძეს ყელიდან ჩამოჰგლიჯეს ოქროს ჯაჭვი, ბეჭედი რომ ვერ მოხსნეს, თითი მთლიანად მოაჭრეს. მოგვიანებით თბილისში, ერთ-ერთ ძმას, შმაგი აფრასიძეს ესაუბრა პიროვნება, რომელმაც ჯიბიდან ამოიღო და აჩვენა მისი ძმის ბეჭედი და ჯაჭვი. შმაგი აფრასიძემ იცის სახელი და გვარი ამ პიროვნების, თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამას ვერ გეტყვით.

**– პოლიციის თანამშრომელზეა საუბარი?**

– იყო თუ არა ეს პიროვნება პოლიციის თანამშრომელი, ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვოთ.

**– მაშინდელი ხელისუფლება ამ მასშტაბის სპეცოპერაციას შეიარაღებული წინააღმდეგობით ხსნის... თქვენ ამტკიცებთ, რომ აფრასიძეების მხრიდან ცეცხლი არ გახსნილა?**

– წინა ხელისუფლებამ გააჟღერა, რომ თითქოს აფრასიძეებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს 1200 ადამიანს და 12 ვერტმფრენს, რომელიც სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. სახელმწიფომ პრაქტიკულად ომი გამოუცხადა ამ ერთ ოჯახს. შემდეგ ბატონი ბარამიძე პირდაპირ გვემუქრებოდა, – აფრასიძეების ადვოკატებს კბილებში მოხვდებათო. სხვათა შორის, მისი ეს განცხადება გაგზავნილი გვაქვს ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. გარდა ამისა, ორი მინისტრი ერთმანეთს ასწრებდა განცხადებებს, რომ აღმოჩენილი იყო ადამიანების გვამები, კერძოდ, კახი კალაძის ძმისა და მარიამ გოგინაშვილის გვამები. მოგვიანებით ვნახეთ, რომ მათ გათხარეს მე-18 და მე-19 საუკუნეების სამარხები და ძველი ცხედრები ამოყარეს საფლავებიდან. არც ერთი არ აღმოჩნდა გოგინაშვილისა და კალაძის ცხედრები. მათ სურდათ გაუხსნელი საქმეები გახსნილად გამოეცხადებინათ და ეს ყველაფერი აფრასიძეებისთვის მიეკერებინათ.

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალი ლევან გვაზავა უშუალოდ ხელმძღვანელობდა ზემოხსენებული სამარხების გახსნის ოპერაციას. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გვაზავა აღიარებს, რომ გვამების ამოღება არასწორი ინფორმაციის საფუძველზე მოხდა და ეს ნამდვილად ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო.

„ვაღიარებ, რომ ეს იყო ნაჩქარევი განცხადება, რადგან გვქონდა ინფორმაცია, რომ სწორედ იქ უნდა ყოფილიყო კალაძის ცხედარი. სამწუხაროდ, ეს ინფორმაცია მცდარი აღმოჩნდა. ერთ-ერთმა დაკავებულმა, რუსეთის მოქალაქე მურავიოვმა გვაცნობა, რომ მას ნამდვილად ჰყავდა ლევან კალაძე ნანახი აფრასიძეებთან. ეს მასალები მანამდეც იყო შსს-ში და ამიტომაც გვინდოდა ინფორმაციის გადამოწმება. შემდეგ დავრწმუნდით, რომ ეს პიროვნება სასჯელის შემსუბუქების მიზნით ცდილობდა თანამშრომლობას, რამაც პრაქტიკულად მცდარ კვალზე დაგვაყენა“, – **ამბობს ლევან გვაზავა.**

შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრი გია ბარამიძე კი, რომლის სახელიც ხშირად ფიგურირებს აფრასიძეების გახმაურებულ საქმეში, შესაძლოა, მალე პროკურატურაში დაიბარონ. თავად ბარამიძე დარწმუნებულია, რომ ეს სპეცოპერაცია გამართლებული იყო, ვინაიდან საუბარი იყო სვანეთში მოქმედ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებზე.

„ესენი იყვნენ ადამიანების მკვლელობებში, გატაცებაში, გაუპატიურებასა და ყაჩაღობებში ბრალდებულნი, მაგრამ თითს ვერავინ აკარებდათ. იმდენად გათავხედებულნი იყვნენ, რომ მესტიაში ორჯერ პოლიციის შენობაც კი დაიწვა. ეს ის დროა, როდესაც აფხაზეთის ომის შემდეგ სვანეთი იარაღით იყო გაძეძგილი, ამიტომ მე ვთქვი, რომ, რაც კი ძალა გვაქვს, ყველა გავუშვათ. ეს უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად გამოსაჩენი ძალა, რომ არავის გასჩენოდა წინააღმდეგობის სურვილი. მე რომ იქ მხოლოდ 50 პოლიციელი გამეშვა, 50 გვამს ჩამოიტანდნენ სვანეთიდან. იქ იყო სპეცდანიშნულების რაზმი გაგზავნილი, ასევე ყველა ვერტმფრენი, სულ 11 გვყავდა მაშინ. დავალება იყო მათი დაკავება, თუმცა იქვე ითქვა, რომ, თუ წინააღმდეგობა გაგიწიეს და გესროლეს, თქვენც ესროლეთ. ერთ-ერთი ვეტრმფრენი დამჯდარიც კი არ იყო, რომ ცეცხლი გაუხსნეს, მიუხედავად ამისა, პილოტმა მოახერხა, მშვიდობიანად ვერტმფრენის დასმა და 20 სპეცრაზმელი უვნებელი გადარჩა“, – აცხადებს გია ბარამიძე.



ირმა ჭკადუა: „გვიან ღამით მოგვივიდა წერილი ევროპული სასამართლოდან... ძალიან მალე საზოგადოებას დეტალურად ვამცნობთ ამ წერილის შინაარსს“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არასრულწლოვანთა პორნოგრაფიის ქართველი „ვარსკვლავები“

მირიან ბოქოლიშვილი

**ცოტა ხნის წინ შეერთებული შტატების მიგრაციის სამსახურმა სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი მიგრანტების წინააღმდეგ ჩაატარა სპეცოპერაცია, სახელწოდებით „ჯვარედინი შემოწმება“, რომლის ფარგლებშიც 2059 მიგრანტი დააკავეს. მათ ბრალი დასდეს სხვადასხვა დანაშაულებში, მათ შორის საბავშვო პორნოგრაფიაში. აღნიშნული სპეცოპერაცია, სხვა შტატებთან ერთად, სამხრეთ დაკოტაშიც ჩატარდა.**

სპეცოპერაციიდან დაახლოებით ერთ თვეში ცნობილი ხდება, რომ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიით ვაჭრობაში ამერიკაში მცხოვრები კარატეს ქართველი ინსტრუქტორი, ალექსანდრე სუმბაძეც იმხილება. მერილენდის შტატის პოლიციამ სწორედ სამხრეთ დაკოტას გამომძიებლისგან მიიღო ინფორმაცია, რომ მონტგომერში გაურკვეველი პირი ბავშვთა პორნოგრაფიას ინტერნეტში ავრცელებდა. უკავშირდება თუ არა კარატეს ქართველი ინსტრუქტორის სკანდალი სპეცოპერაცია „ჯვარედინ შემოწმებას“, ძნელი სათქმელია, თუმცა არ არის გამორიცხული, ალექსანდრე სუმბაძის კვალზე სწორედ ზემოხსენებული ოპერაციის შედეგად გასულიყვნენ.

მერილენდის შტატის პოლიციის ცნობით, სუმბაძე, კარატეს დარბაზში, მოზარდებთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა და ფაქტს ვიდეოზე იღებდა.

პირველ აპრილს, მათ დაჰკითხეს 26 წლის სუმბაძე, რომელმაც აღიარა, რომ ის იღებდა და ავრცელებდა ვიდეოებს. ორი დღის შემდეგ კი, ეჭვმიტანილმა ქვეყანა დატოვა. ადგილობრივი პოლიცია ვარაუდობს, რომ შესაძლოა, სუმბაძე საქართველოში გაემგზავრა.

სამართალდამცველებმა სუმბაძის კუთვნილი ელექტრონული მოწყობილობები ამოიღეს, რომლებზეც რვა ბავშვთა პორნოგრაფიული ვიდეოა ჩაწერილი. გამოძიების ინფორმაციით, მათ ნახეს ვიდეოც, სადაც სუმბაძე მოზარდ ბიჭებთან და ზრდასრულ კაცებთან სექსუალურ კავშირს ამყარებს.

ვინ არის ალექსანდრე სუმბაძე? სამართალდამცველების ინფორმაციით, სუმბაძე ბეტესდაში ცხოვრობდა. ის ბავშვობიდან ეუფლებოდა საბრძოლო ხელოვნებას. 2011 წელს ინსტრუქტორი გახდა, მოგვიანებით კი – ბიზნესის წილის მფლობელი. ალექსანდრე სუმბაძის გვერდზე სოციალურ ქსელ linkedin-ში წერია, რომ მან მერილენდის უნივერსიტეტი დაამთავრა და ამჟამად Mat Sports International-ში მუშაობს. მამამისი, დავით სუმბაძე დიპლომატია. ის 1996-დან 2006 წლამდე აშშ-ში საქართველოს დიპლომატიურ მისიაში საქმიანობდა, ამჟამად კი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის თანამშრომელია. სუმბაძეების ოჯახი უკვე წლებია, შეერთებულ შტატებში ცხოვრებს, თუმცა ამჟამად სად იმყოფება პორნოგრაფიით ვაჭრობაში მხილებული ალექსანდრე სუმბაძე, უცნობია. ამერიკულ მხარეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ამ დრომდე არ მიუმართავს.

ამ შემთხვევისგან განსხვავებით საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ამერიკელი და ქართველი სამართალდამცავების თანამშრომლობა გასულ წელს, როდესაც არასრულწლოვნის პორნომასალის დამზადება-გავრცელების ფაქტი გახდა ცნობილი. თებერვალში საქართველოს ინტერპოლის ბიუროს აშშ-ს საელჩოს უსაფრთხოების დეპარტამენტი დაუკავშირდა და სხვადასხვა პორნოსაიტებზე არასრულწლოვანი გოგონას პორნოგრაფიული ვიდეოები და ფოტოები აჩვენა. გამომდინარე იქიდან, რომ გოგონა კავკასიური აღნაგობის გახლდათ, ამერიკული მხარე ვარაუდობდა, რომ ის შესაძლოა, ქართველი ყოფილიყო. სწორედ ამ მიზნით მოხდა საქმეში ქართველი სამართალდამცველების ჩართვა და როგორც გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ. არასრულწლოვნის იდენტიფიცირების შედეგად დადგინდა, რომ ის ნამდვილად საქართველოს მოქალაქე იყო, სექსუალური ხასიათის ფოტო- და ვიდეოგადაღება კი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში წარმოებდა.

რამდენად და სად იყიდებოდა ქართველი გოგონას პორნოვიდეოები? როგორ დაუკავშირდნენ ერთმანეთს საქართველოსა და ისრაელის დანაშაულში ეჭვმიტანილი მოქალაქეები? ირკვევა, რომ ამ საქმეში ერთდროულად იყვნენ




ჩართულნი საქართველოს, აშშ-ს, ავსტრალიისა და ისრაელის სპეცსამსახურები. ქართველი გოგონას პორნოსურათები ინტერნეტსივრცეში იტვირთებოდა „აიპი“ მისამართიდან, რომელიც ისრაელში გახლდათ რეგისტრირებული. საბოლოოდ გაირკვა, რომ ამ ბავშვის ექსპლუატაციას ეწეოდა საკუთარი დედა, რომელიც არასრულწლოვან შვილს თავადვე უღებდა პორნოსურათებს. ფაქტობრივად, მასალის 80 პროცენტი მშობლის მიერ იყო გადაღებული, თუმცა არაერთხელ მონაწილეობდა ამ საქმეში ისრაელის მოქალაქეც, რომელიც პერიოდულად ჩამოდიოდა ხოლმე საქართველოში. ეს დანაშაული სათავეს იღებს 2011 წლიდან, ანუ გოგონა სექსუალური ექსპლუატაციის ქვეშ 9 წლიდან იმყოფებოდა. საკუთარი შვილის სექსუალურ ექსპლუატაციაში მხილებული დედის შემოსავალი თვეში 100-დან 200 დოლარამდე მერყეობდა, რომელსაც ებრაელი მას უგზავნიდა. თავად ეს მამაკაცი რამდენს იღებდა, ზუსტად არ არის დადგენილი, მაგრამ, პოლიციის ვარაუდით, ერთ ასეთ ფოტოს დაახლოებით 50 დოლარად ყიდდა, ვიდეოებს – უფრო ძვირად.

რა ბედი ეწია დაზარალებულ არასრულწლოვანს? როგორც ცნობილია, ის გარკვეული ხნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში გადაიყვანეს, სადაც განგვიმარტეს, რომ ამჟამად ბავშვი დეიდასთან ცხოვრობს და პატიმრობაში მყოფ დედასთან არავითარი შეხება აღარ აქვს.

„თავად გოგონამ გამოთქვა სურვილი დეიდასთან ცხოვრების. ჩვენ მივაწოდეთ ინფორმაცია სოციალური მომსახურების სააგენტოს, რომელმაც დეიდის ოჯახი შეისწავლა და შეაფასა, ამის შემდეგ მას დეიდა დაენიშნა მეურვედ, ცხოვრობს მასთან და ბებიასთან ერთად, ეტაპობრივად ხდება მონიტორინგი. თავს კარგად გრძნობს, დეიდაც თავად გვეკონტაქტება კონსულტაციის თვალსაზრისით“, – განგვიმარტეს თავშესაფარში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ დრომდე იძიებს ბავშვთა პორნოგრაფიით ვაჭრობის კიდევ ერთ შემთხვევას. ამ მიზნით კრიმინალური პოლიცია „კავკასუს ონლაინში“ 2014 წლის ოქტომბერში შევიდა და კომპანიიდან, საერთო ჯამში, 25 სერვერი ამოიღო. შსს-ში მხოლოდ ის დაადასტურეს, რომ „ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს“. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, შსს დამატებით ინფორმაციას ამ დრომდე არ ახმაურებს, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელზეც შსს-მ მიგვითითა, ადასტურებს, რომ საქმე მართლაც პორნოგრაფიას უკავშირდება.

255-ე მუხლის პირველ ნაწილი გულისხმობს, „პორნოგრაფიული ნაწარმოების, ნაბეჭდი გამოცემის, გამოსახულების, ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებას, გავრცელებას, ან რეკლამირებას, აგრეთვე, ასეთი საგნით ვაჭრობას, მის შენახვას გაყიდვის, ან გავრცელების მიზნით“.

მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული დანაშაული 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა კანონი დამნაშავის ჯარიმის სანაცვლოდ განთავისუფლების შესაძლებლობასაც იძლევა. ვის კვალზე გავლენ სამართალდამცავები და რა ზომები გატარდება ბრალდებულის მიმართ, ეს, ალბათ, დამნაშავეთა იდენტიფიცირებისა და გამოძიების დასრულების შემდეგ გაირკვევა. ჩვენთვის ცნობილია ის ინტერნეტსაიტები, სადაც ბავშვთა პორნოგრაფიული ვიდეოები აიტვირთა, ესენია: MYDISK.GE; ALLSHARES.GE და SVIDEO.GE.

# თიბისი ბანკი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებს სესხებით დააფინანსებს

**ამიერიდან, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს, რომლებსაც ინდივიდუალურად ხელი არ მიუწვდებათ ან ვერ ახერხებენ სესხის აღებას და სჭირდებათ წარმოების საშუალებების დაფინანსება, შეუძლიათ კოოპერატივის სტატუსით აიღონ თიბისი ბანკის შეღავათიანი აგროსესხი ჯგუფურად და დააფინანსონ საკუთარი წარმოება.**

ამ სესხს ორი ძირითადი უპირატესობა აქვს სოფლის მეურნეობის მწარმოებელთათვის

· სესხის მომსახურებაზე პასუხისმგებლობა გადანაწილებულია კოოპერატივში შემავალ ყველა სუბიექტზე თანაბრად, რაც სესხის დაბალრისკიანობას განაპირობებს

· ეს არის ყველაზე იაფი აგროსესხი, რომლის წლიური პროცენტი ნაწილობრივ დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ, რაც ამ სესხის სიიაფეს განაპირობებს

სოფლის მეურნეობის მწარმოებელთათვის იაფი დაფინანსების ხელმისაწვდომობა ხელს შეუწყობს ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებას, რათა საქართველოში წარმოებული პროდუქცია, იმპორტირებულთან შედარებით, კონკურენტუნარიანი იყოს.

თიბისი ბანკის აგროსესხები ხელმისაწვდომია სოფლის მეურნეობის ყველა დარგში შექმნილი კოოპერატივებისთვის - ეს არის მემცენარეობა, მეთევზეობა და მეცხოველეობა. იაფი აგროსესხის მინიმალური ზღვარი 20,000 ლარია. სესხის აღება შესაძლებელია როგორც საბრუნავი საშუალებების, ისე წარმოების ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად. სახელმწიფო სუბსიდიის პირობებში, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი მომხმარებლისთვის საბრუნავ საშუალებებზე 6-7%-მდე, ხოლო ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად 3-4%-მდე იქნება. კოოპერატივად დარეგისტრირება მაღალმთიან რეგიონებში მინიმუმ 3 სუბიექტს შეუძლია, ხოლო ბარში მინიმუმ 5 სუბიექტს.



„ვამაყობთ, ჩვენ პირველებმა შევქმენით კოოპერატივების დაფინანსების პრეცედენტი და ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, ამიტომაც ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ კოოპერატივებთან და დავაფინანსოთ ისინი იაფი სახსრებით, რათა მათ შეძლონ კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნა“,- აცხადებს თიბისი ბანკის დირექტორის მოადგილე მიკროფინანსების მიმართულებით, ნიკა ქურდიანი.

კოოპერატივებისთვის აგროსესხების პროექტი თიბისი ბანკმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან“ თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავა. სააგენტო თიბისი ბანკს პარტნიორობას ინფორმაციის მოპოვებასა და გაცვლაში გაუწევს.

„კოოპერატივებისთვის შემუშავებული აგროსესხები სოფლის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი წამოწყებაა, რომელიც, ვფიქრობთ, წარმოების რენტაბელობას აამაღლებს და სოფლის მეურნეობის წარმოებას უფრო პროდუქტიულს გახდის“, - აცხადებს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი მიშელიძე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მოპოვების პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს“ ვებგვერდზე: **http://acda.gov.ge/res/docs/20140219175747850.pdf.** რეგისტრირებულმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა სესხის ასაღებად უნდა მიმართონ თიბისი ბანკის ნებისმიერ ახლომდებარე ფილიალს საქართველოს მასშტაბით.

თიბისი ბანკმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში - სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და აჭარაში უკვე დააფინანსა 3 კოოპერატივი.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვის მიერ შემუშავებული გეგმით მოქმედებენ ნაც



**მამუკა არეშიძე: „ნაციონალებს იქ აგენტურული ქსელი დარჩათ. კუდ-ის არაერთი ოფიციალური თანამშრომელი, რომელიც პანკისში სიტუაციას აკონტროლებდა, დღემდე იქ არის“**

**გიორგი თავდგირიძე: „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმაზომიერად, „რუსთავი 2“-ის საშუალებით ცდილობს დაძაბული საინფორმაციო ფონის შენარჩუნებას რამდენიმე მიზნის მისაღწევად“**

# EXCLUSI

**მამუკა არეშიძე: „არ გამოვრიცხავ, რომ ნაციონალებს ჰქონდეთ ბერკეტები პანკისში, რომლის მეშვეობითაც ადგილზე მდგომარეობის კონტროლს მაინც შეძლებენ“**



**გიორგი თავდგირიძე: „პანკისს არაფერი განსაკუთრებული კონტროლი არ სჭირდება“**

ხათუნა მგალობლიშვილი

**პანკისში მაღალი პოლიტიკური ტემპერატურის შენარჩუნება და მოგვიანებით მისი „აფეთქება“ ყოფილი ხელისუფლების ინტერესებში შედის – „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებულ გეგმაზე ყოფილი სამხედრო ექსპერტი, რომელიც დღეს თავდაცვის უწყებაში მუშაობს, ღიად საუბრობს და არეულობის შესაქმნელად გამოყენებულ მთავარ იარაღსაც ასახელებს. გიორგი თავდგირიძე არ უარყოფს, რომ პანკისში პრობლემებია, თუმცა ცალკე საკითხად აყენებს „რუსთავი 2“-ის მიერ თემით მანიპულირებას და აცხადებს, რომ საინფორმაციო ომის თანამედროვე ტექნოლოგიები კიდევ უფრო მძიმე ფორმებით იქნება ოპონენტის მიერ გამოყენებული.**

**მამუკა არეშიძის განცხადებით, ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს პანკისის ხეობა ძმები ლორთქიფანიძეების მიერ შემუშავებული გეგმით კონტროლდებოდა. გია და დათო ლორთქიფანიძეები წარმოშობით ახმეტიდან არიან და ისინი ხეობას კარგად იცნობდნენ. ორივე მათგანი წინა ხელისუფლების დროს მაღალ თანამდებობას იკავებდა. ექსპერტის განცხადებით, გეგმის „მთავარი მონაწილეების“ დიდი ნაწილი დღესაც ინარჩუნებს თანამდებობებს. შესაბამისად, არეშიძე არ გამორიცხავს, რომ აგენტურული სქემა ნაციონალების სასარგებლოდ მუშაობს და პანკისის კონტროლის მექანიზმები კვლავ მათ ხელშია.**

**რა გეგმით აკონტროლებდნენ ნაციონალები თავის დროზე პანკისის ხეობას, რა ბერკეტები აქვთ დღეს ხეობაში და როგორი ნაბიჯებით აპირებენ ადგილზე „საინფორმაციო ომის“ მოწყობას?..**

**გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი თავდაცვის საკითხებში:**

**– პანკისში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით თქვენი შეფასების მსგავსი ეჭვი ბევრს გაუჩნდა. შეგიძლიათ, გვითხრათ, პირადად თქვენ რის საფუძველზე უწოდეთ „მოდელირებული“ ერთ-ერთი ტელევიზიით პანკისთან დაკავშირებულ სიუჟეტს... გაქვთ ინფორმაცია, რომ იქ არსებული რეალობა ასეთი არ არის?**

– ორი თემა უნდა განვასხვავოთ, პანკისის ხეობის პრობლემები და „რუსთავი 2“-ის მიერ ამ თემაზე ატეხილი აჟიოტაჟი. პირველ რიგში, პასუხს გაგცემთ, რატომ არის „რუსთავი 2“-ის სიუჟეტები მოდელირება და ინფორმაციით მანიპულირება. აჟიოტაჟი იწყება „რუსთავი 2“-ის სიუჟეტით – ძალადობა ბავშვებზე, ძალადობა ისლამისტების მხრიდან, ქრისტიანი ასურელი ბავშვების დასახიჩრებული გვამები, ძალადობის გმობა და გულისშემძვრელი ისტორიები. საინფორმაციო დარტყმამ მოსალოდნელი შედეგი გამოიღო, ქართველი საზოგადოება აღშფოთდა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები არიან, ამაზე ტრაგიკული რა უნდა იყოს? ამას მოჰყვა სიუჟეტების სერია პანკისზე: რომ პანკისიდან მარაგდება ისლამური სახელმწიფო „ბოევიკებით“, ვითარება იმდენად მძიმეა, რომ, მათი ინფორმაციით, არასრულწლოვნების რეკრუტირებაც კი ხდება, ხოლო იმ ბავშვებს, ვინც „ბოევიკობაზე“ უარს აცხადებენ, მოსაკლავად დასდევენ. წრე შეკრეს, მსხვერპლიც საქართველოში აფარებს თავს და მოძალადეთა მომზადებისა თუ შეკრების ცენტრიც აქ არის. საინფორმაციო იერიშისთვის ძალიან მგრძნობიარე თემას მიაკვლიეს, ახლა მათთვის მთავარია, ამ თემამ დიდხანს იმუშაოს და შეძლებისდაგვარად დუღილის ტემპერატურა შენარჩუნდეს. ინფორმაციით ასეთი მანიპულირება სხვა არაფერია, თუ არა საინფორმაციო ომის შემადგენელი ღონისძიება. ინფორმაცია, და არა აგიტაცია-პროპაგანდა, მოქმედებს, როგორც „ნაღმი“ და ზუსტად საბრძოლო ნაღმის ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც ხდება არა პრობლემის, მოვლენის, ფაქტის გაშუქება, ძალადობის სცენების მინიმალიზაციით, არამედ პირიქით – იქმნება ისეთი დაძაბული ემოციური და ფსიქოლოგიური ფონი, რომ განტვირთვა შესაძლებელი ხდება მხოლოდ აგრესიის ფიზიკური გამოვლენით. რჩება შთაბეჭდილება, რომ თავისი პოლიტიკური მფლობელის დავალებით „რუსთავი 2“ საკუთარი თანამოქალაქეების წინააღმდეგ საინფორმაციო ომს ეწევა. ევროპული ტელევიზიები მხატვრული ფილმებიდანაც კი იღებენ ძალადობის ისეთ სცენებს, რომლებიც მოგონილი და რეალობისგან სრულად მოწყვეტილია, რადგანაც ასეთი სცენები უარყოფითად მოქმედებს მაყურებლის ფსიქიკაზე. რა უნდა ვუწოდოთ ტელევიზიის ქმედებას, რომელიც მოკლე სიუჟეტში ასეთი სცენების მაქსიმალურ კონცენტრაციას ახდენს, მაქსიმალური ფსიქოლოგიური ეფექტის მისაღწევად?

**– ფიქრობთ, რომ პანკისის ხეობას, ახალგაზრდების სირიაში საომრად წასვლის ფაქტებს კონკრეტული პოლიტიკური ძალები საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ და ამით პოლიტიკური „აფეთქების“ გეგმას სახავენ?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ გეგმაზომიერად, „რუსთავი 2“-ის საშუალებით ცდილობს დაძაბული საინფორმაციო ფონის შენარჩუნებას რამდენიმე მიზნის მისაღწევად. ისინი დღემდე მიიჩნევენ, რომ 2012 წელს მათ არჩევნები მოულოდნელი საინფორმაციო შეტევის გამო წააგეს, რაფალიანცის მკვლელობასა და ციხის კადრებს ვგულისხმობ, ამიტომ ძალაუფლების დასაბრუნებლად ამ მეთოდს ყველაზე ეფექტურად თვლიან და ინფორმაციებით მანიპულირებას უწყვეტ რეჟიმში გააგრძელებენ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იონალები პანკისში



VE

თემა ხან პანკისი იქნება, ხან სირია და ხან უკრაინა. გააჩნია, როდის რა ტყუილი შეიფუთება ლამაზად. „ნაციონალური მოძრაობა“ ერთნაირად კარგად ფლობს აღვირახსნილ „გებელსური პროპაგანდის“ მეთოდოლოგიასაც და საინფორმაციო ომის თანამედროვე ტექნოლოგიებსაც.

**მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**

– „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსვლის მომენტისთვის პანკისში საკმაოდ რთული მდგომარეობა იყო. იმ თვალსაზრისით, რომ ჩატარდა სპეცოპერაცია, რეგიონიდან გაიყვანეს ყველა შეიარაღებული ფორმირება, რომელიც იქ იმყოფებოდა, ცნობილი გილაევის მეთაურობით; ლიკვიდირებულ იქნა ყველა „ფუძე“, რომელსაც საერთაშორისო პრესაში ისლამისტურს უწოდებდნენ და საერთოდ, ყველა უცხოელი, ლტოლვილი ჩეჩნების გარდა; ადგილობრივებიდან დააკავეს რამდენიმე პირი, რომლებსაც ტერორსა და კრიმინალურ საქმიანობაში ედებოდათ ბრალი, ბევრი მათგანი კი ჩრდილოეთ კავკასიაში გაიქცა. მიუხედავად ამისა, ადგილზე დარჩენილი სხვადასხვა ტიპის უმეთაურო ჯგუფები ხეობაში ქაოსის შექმნას მაინც ახერხებდნენ, იქნებოდა ეს კრიმინალური, ნარკომოვაჭრე თუ სხვა.

**– რა მეთოდები გამოიყენა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ჯგუფების გასანეიტრალებლად?**

– „ნაციონალური მოძრაობა“ დაეყრდნო თავისი გუნდის წევრების შეთავაზებულ გეგმას, რომლებიც ამ კუთხის კარგი მცოდნეები იყვნენ. ესენი გახლდნენ ძმები ლორთქიფანიძეები. მათგან ერთი ძმა შემდგომში ვანო მერაბიშვილის მოადგილე გახდა, ხოლო მეორე – სამხარეო შტაბის უფროსი. ძმები ლორთქიფანიძეები წარმოშობით ახმეტელები იყვნენ და კარგად იცნობდნენ ადგილობრივ სიტუაციას. ხელისუფლებამაც მათი შეთავაზებული გეგმა მიიღო და აამუშავა.

**– რა გეგმა იყო?**

– გეგმა მდგომარეობდა იმაში, რომ ისლამისტების მეშვეობით უნდა ეკონტროლებინათ ხეობა და არამარტო ხეობა. იქ უნდა შექმნილიყო რუსეთზე ზემოქმედების პოტენციული ბაზა. ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ სამხედრო ბაზას, პირველ რიგში, ვგულისხმობ იდეოლოგიურ ბაზას, ეს თემა განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის ომის შემდეგ. ასეც მოხდა, ხელისუფლება დაეყრდნო ვაჰაბისტებს, შეავიწროეს ყველა სხვა ტრადიციული ინსტიტუტი, რომელიც იქ არსებობდა, ტრადიციული ისლამის მიმდევარი მუსლიმანების, უხუცესთა საბჭოს სახით და უდიდესი გავლენა მოიპოვეს ხეობაში. მათვე მიეცათ საშუალება, ეკეთებინათ ბიზნესი. ასეთი სიტუაცია იყო 2008 წლამდე, შემდეგ კი დაიწყო ხეობის გამოყენება რუსეთზე ზემოქმედების მიზნით და სწორედ ამ პოლიტიკის შედეგი გახლდათ ის, რაც ლაფანყურში მოხდა. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ „ჯინი“ გამოუშვა ბოთლიდან, რომელმაც კატასტროფამდე მიიყვანა ქვეყანა. მიმაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ აგვისტოს მოვლენები 2012 წლის კატასტროფის ტოლფასი იყო.

**– მათ მიერ შემუშავებული კონტროლის სისტემა კიდევ არსებობს? ფიქრობთ, რომ ნაციონალებს პანკისში კიდევ აქვთ ზემოქმედების ბერკეტები?**

– რასაკვირველია, ნაციონალებს იქ აგენტურული ქსელი დარჩათ. კუდ-ის არაერთი ოფიციალური თანამშრომელი, რომელიც პანკისში სიტუაციას აკონტროლებდა, დღემდე იქ არის.

# ქართველი პოლიტიკოსები უკრაინაში სკანდალში ეხვევიან

ხათუნა მგალობლიშვილი

**უკრაინაში რეფორმების გასატარებლად წასული ქართველი პოლიტიკოსები სკანდალში ეხვევიან. მათი მისამართით უკვე გაჩნდა კრიტიკული შეფასებები და სტატიები. თითოეულ მათგანს კონკრეტულ პასუხისმგებლობას აკისრებენ და აცხადებენ, რომ ქართველებმა ვერ გაამართლეს უკრაინელი ხალხის მოლოდინები. სკანდალების მხრივ, დავით საყვარელიძემ რეკორდი მოხსნა. მისი განცხადების საფუძველზე, თითქოს მას ქრთამის სახით თვიურად ათი მილიონი დოლარის გადახდას სთავაზობდნენ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება აქტიურად ცდილობს ქრთამის შემთავაზებლის დადგენას. უკრაინის მთავარი პროკურორის მოადგილე უარს აცხადებს დამნაშავის სახელისა და გვარის დასახელებისგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მისგან არაერთხელ მოითხოვეს. რადიკალური პარტიის წევრმა, ოლეგ ლიაშკომ საყვარელიძეს ქრთამის შემთავაზებლის საჯაროდ დასახელება მოსთხოვა: „არ გვინდა გასაიდუმლოებული გამოძიების შესახებ ამბების მოყოლა. როგორც კი იმ კონკრეტულმა პიროვნებამ ქრთამი შემოგთავაზათ, რატომ მაშინვე არ მოხდა რეაგირება და საქმის აღძვრა?“ ლიაშკოს ვარაუდით, ქრთამის შეთავაზებას, დიდი ალბათობით, საერთოდ არ ჰქონია ადგილი და ეს საყვარელიძის გამოგონილია. თავად საყვარელიძემ ლიაშკოს საპასუხოდ კომენტარი მისცა უკრაინულ მედიას და განაცხადა, რომ დამნაშავის ვინაობა გაირკვევა, როგორც კი გამოძიება დასრულდება. მანამდე კი ის სახელსა და გვარს, ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ დაასახელებს.**

დავით საყვარელიძე, უკრაინის მთავარი პროკურორის მოადგილე: „მიკვირს, რადგან მსგავსი კითხვები წინა ხელისუფლების წევრების მიმართ არ უჩნდებოდათ, არ ინტერესდებოდნენ, პროკურატურის მაშინდელ თანამშრომლებს საიდან ჰქონდათ მრავალმილიონიანი შემოსავლები. დიახ, ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. სახელისა და გვარის დასახელებას დღეს ვერ შევძლებ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა გამოძიების დასრულებისთანავე ყველაფერი ნათელი გახდება“.

საყვარელიძე, ასევე, უარს აცხადებს გამოძიების დეტალების გამჟღავნებაზე, სამაგიეროდ დეტალურად ყვება საკუთარ რეაქციას ქრთამის შეთავაზების მიღებაზე: „თანხის ოდენობის გამო თავიდან ვერ დავიჯერე, რომ შემოთავაზება რეალური იყო, მეგონა, ვიღაც ამოწმებდა, იყიდებიან თუ არა ქართველები უკრაინაში“. დავით საყვარელიძესთან დაკავშირებული ფაქტის გამოძიების დასასრულს ბევრი უკრაინელი ელოდება, მით უფრო ოპოზიცია. დანაშაულის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში არ არის გამორიცხული, თავად საყვარელიძის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.



უკრაინაში ერთ-ერთი პირველი, ვისი კრიტიკაც თანამდებობაზე დანიშვნიდან ყველაზე



მალე დაიწყეს, სანდრო კვიტაშვილი იყო. სხვათა შორის, უკრაინაში მისი მოღვაწეობის დაახლოებითი ვადებიც კი დასახელდა და ითქვა, რომ კვიტაშვილს მიმდინარე წელსვე მოხსნიდნენ თანამდებობიდან. ვარაუდი, მართალია, ჯერ არ გამართლებულა, მაგრამ ფაქტია, რომ კვიტაშვილის მიმართ უკმაყოფილებას იქ უკვე პრეზიდენტიც აღარ მალავს. კვიტაშვილს უკვე სერიოზული პრობლემები აქვს. მას აკრიტიკებენ, ხოლო ჯანდაცვის სფეროს ყველაზე წარუმატებელს უწოდებენ. უკრაინის პრეზიდენტმა ჯანდაცვის სისტემაში არსებული სიტუაცია ყველაზე კრიტიკულად შეაფასა: „ეს ჯანდაცვის ნაციონალური სისტემა კი არა, ნაციონალური კატასტროფაა. ძნელია, დაასახელო დარგი, სადაც სიტუაცია ასე აშკარად პრობლემური, მიშვებული და ამდენად კორუმპირებულია.

კითხვები გაჩნდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინე ზღულაძისადმი თავდაპირველად უკრაინული მედიაც, პოლიტელიტაც კეთილგანწყობილი იყო და მისი ცხოვრების შესახებ გაჟღერებულ ყველა დეტალს ინტერესით იტაცებდა, ამჯერად დამოკიდებულება აშკარად შეცვლილია. ახლა მინისტრის ქართველი მოადგილისგან ერთადერთი ინფორმაციის მიღებას ცდილობენ – გადააკოპირა თუ არა ზღულაძემ ქართული კანონმდებლობა უკრაინელებისთვის შეთავაზებულ კანონპროექტში. ფაქტია, რომ უკრაინის მთავრობამ სამინისტროს ხელმძღვანელობიდან კანონპროექტის ოთხი ვარიანტი მიიღო. აქედან სამი სწორედ ზღულაძის გუნდის დაწერილი იყო და სამივე მათგანმა მთავრობის მოწონება დაიმსახურა. თუმცა კითხვებიც გაჩნდა. ზღულაძეს უკრაინულ მედიასთან თავის მართლებაც კი დასჭირდა. მინისტრის მოადგილემ კრიტიკოსებს ქართული კანონის წაკითხვა და უკრაინულ ვარიანტთან მისი შედარება ურჩია. ეკატერინე ზღულაძე „უკრაინსკაია პრავდამ“ სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხზე ჩაწერა. ერთ-ერთი მთავარი კითხვა ქართული კანონის გადაკოპირების საკითხს ეხებოდა: „მე ძალიან ფრთხილად ვუდგები საერთაშორისო გამოცდილებას. ჩვენ გვსურს ევროპული სტანდარტები, მაგრამ ევროპაშიც არ არსებობს ერთიანი ხედვა პოლიციის სტრუქტურის. არ მიყვარს, როდესაც ასეთ ფრაზებს ისვრიან. უკრაინის ნაციონალური პოლიციის კანონპროექტის სტრუქტურა ქართულს ემსგავსება, ისევე, როგორც ქართული ჰგავს ლიტვურს, ხოლო ლიტვური – ჩეხურს, ჩეხური კი – ფრანგულს. ქვეყნები, რომელსაც ის არ დაემსგავსება, ეს არის ფედერალური ქვეყნები და დიდი ბრიტანეთი. თუ არ დაეზარებათ და ჩვენს კანონპროექტს და ქართულ კანონს წაიკითხავენ, აღმოაჩენენ, რომ ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება“.

**რომელი ქართველი თანამდებობის პირების მიმართ გაუჩნდათ კითხვები უკრაინელებს**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სასიკვდილო ვირუსს თბილისში უკვე ორი ადამიანი შეეწირა





ირაკლი მამალაძე

**თბილისში ერთ კვირაში გადამდებ ინფექციას 2 ადამიანი ემსხვერპლა. პირველი შემთხვევის შესახებ „პრაიმტაიმი“ გასულ ნომერში წერდა. გარდაცვალების ფაქტი კლინიკა „ლანცეტში“ დაფიქსირდა, სადაც პაციენტი მიყვანიდან 4 საათში გარდაცვალა. მსგავსი კლინიკური სურათით გასულ კვირას კიდევ ერთი პაციენტი მოათავსეს კლინიკა „მედი ქლაბში“. 38 წლის ქალბატონის ჯამრთელობის მდგომარეობა ამ შემთხვევაშიც უკიდურესად დამძიმდა, რის გამოც ოჯახის წევრებმა პაციენტი თურქეთში გადააფრინეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერც თურქმა ექიმებმა მოახერხეს. დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, რომ ორივე პაციენტი საშიშ, გადამდებ დაავადებას პნევმოკოკურ ინფექციას ემსხვერპლნენ, რომელიც მათ ორგანიზმში ბაქტერიის სახით მოხვდა და სეფსისის ფორმით ელვისებურად განვითარდა. ორივე შემთხვევა ლაბორატორიულად დადასტურებულია. როგორც ინფექციონისტები აცხადებენ, მათ უკვე ჩაატარეს ყველა გადაუდებელი ღონისძიება. კერძოდ, მედიკამენტოზური მკურნალობა ჩაუტარდათ გარდაცვლილებთან კონტაქტში მყოფ ადამიანებს, ჯანდაცვის სამინისტროში დაავადების მასიურად გავრცელების საშიშროებას ამ ეტაპზე გამორიცხავენ, თუმცა მოსახლეობას პრევენციის მიზნით ვაქცინაციის ჩატარებას ურჩევენ. ეპიდემიოლოგების ინფორმაციით, დაავადება აირწვეთოვანი გზით გადადის, განსაკუთრებით საშიშია და ახასიათებს სეზონურობა.**

**ციცო დილებაშვილი, თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი:**

**– ქალბატონო ციცო, გარდაცვალების უკვე ორი ფაქტი დაფიქსირდა პნევმოკოკის ბაქტერიით. რა ინფექციასთან გვაქვს საქმე?**

– ეს არის შაში ბაქტერიული ინფექცია. ორივე შემთხვევაში დადასტურდა სტრეპტოკოკური პნევმონია, რომელიც სეფსისის სახით განვითარდა. ჯერ პირველ შემთხვევაზე გეტყვით. გარდაცვლილი შუახნის ქალბატონი გახლდათ. თავიდან გამოხატული იყო გაურკვეველი ეტიოლოგიური ცხელების დიაგნოზი ეჭვი იქნა მიტანილი მენინგოკოქცემიაზე, თუმცა მოგვიანებით გამოირიცხა, ჩატარდა ვირუსოლოგიური კვლევები, რამაც ვირუსული ინფექცია გამორიცხა და დადასტურდა ბაქტერიული ინფექცია. კიდევ კარგი, ღვთის წყალობით, მე ბაქტერიულზე მქონდა აღებული გეზი და ოჯახის წევრები, ნათესავები და ბაღის აღსაზრდელები, სადაც ეს ქალბატონი მუშაობდა, ჩავრთე ანტიბიოტიკურ პროფილაქტიკაში.

**– რამდენად ხშირია ეს დაავადება?**

– არა, ხშირი არ არის. რას მეუბნებით? კი, ზოგადად, გვაქვს ინფორმაცია, რომ სტრეპტოკოკი ლაბორატორიებში დაფიქსირებულა, მაგრამ ასეთი შედეგი ღმერთმა დაიფაროს.

**– სად შეიძლებოდა, ეს ადამიანები დაინფიცირებულიყვნენ?**

– იცით, სტრეპტოკოკს ახასიათებს მტარებლობა. სამწუხაროდ, აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ისეთ ადამიანთან ჰქონდა კონტაქტი, რომელსაც კლინიკურად არ ჰქონდა გამოხატული, იყო ბაქტერიის მატარებელი და მისგან დაინფიცირდნენ.

**– ეს დაავადება აირწვეთოვანი გზით გადადის?**

– კი, რა თქმა უნდა.

**– ქალბატონო ციცო, რა შეგიძლიათ, თქვათ მეორე შემთხვევაზე, რომელიც, ასევე, თბილისში დაფიქსირდა და 38 წლის ქალბატონი გარდაიცვალა?**

– აქაც სტრეპტოკოკის ბაქტერიასთან გვაქვს საქმე და განვითარდა სეფსისი. როცა დამირეკეს და მკითხეს, ეს შემთხვევა ხომ არ ჰგავს პირველ შემთხვევასო... სამწუხაროდ, მე გვიან გავიგე ამ ქალბატონზე, თვიდან არ შემოსულა ჩვენთან ინფორმაცია, მაგრამ, როგორც კი მკითხეს, ინფექციონისტების ჩართვა მოვითხოვე, მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც ძალიან მძიმე შედეგი დადგა.

ექიმების ინფორმაციით, ორივე შემთხვევაში დაავადება სწრაფად გამოვლინდა და პაციენტების მდგომარეობა ყოველ საათში მძიმდებოდა – ცხელება, ღებინება, ძლიერი თავის ტკივილი, გამონაყარი სხეულზე და თვალებიდან სისხლდენა. ექიმების დახმარებამ შედეგი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გამოიღო. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზუსტი დიაგნოსტიკა დროულად არც ერთხელ არ მოხდა და შესაბამისად, ინფექციონისტებიც გვიან ჩაერთვნენ მკურნალობის პროცესში. ამ ინფორმაციას უარყოფენ დაავადებათა კონტროლის ცენტრში და აცხადებენ, რომ პაციენტებს კვალიფიციური გადაუდებელი დახმარება გაეწიათ, თუმცა დაავადება ისეთი მძიმე ფორმით განვითარება, რაც იშვიათობას წარმოადგენს, მათი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

# პაატა იმნაძე: „პნევმოკოკი გადაეცემა ახლო კონტაქტისას წვეთოვანი გზით“

**პაატა იმნაძე, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი:**

– დროის ნებისმიერ პერიოდში ჯანმრთელი ადამიანების 70%-ის ცხვირსა და ხახაში ბინადრობს პნევმოკოკი, რომელიც ახლო კონტაქტისას წვეთოვანი გზით გადაეცემა ადამიანიდან ადამიანს. მიუხედავად სასუნთქ გზებში ბაქტერიის მოხვედრისა, აუცილებელი არ არის, ადამიანი დაავადდეს. ზოგიერთი ხდება პნევმოკოკის მტარებელი. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს რისკ-ფაქტორებით გაპირობებული იმუნური სისტემის დასუსტება.

ჯანმრთელი მტარებლობის ხანგრძლივობა ბავშვებში 3-4 კვირაა, მოზრდილებში – 2 კვირამდე.

ინკუბაციური პერიოდი გრძელდება 1-დან 5 დღემდე.

**– ახასიათებს თუ არა ამ დაავადებას სეზონურობა?**

– კი სეზონურობა ახასიათებს, შემოდგომა და გაზაფხულის პერიოდი.

**– რას ურჩევთ მოსახლეობას დაავადების პრევენციისთვის?**

– ხელების ხშირი დაბანა, სახლის ხშირი განიავება, მაგრამ ყველაზე ეფექტურია ვაქცინაცია, რომელიც 2 წლამდე ბავშვებისთვის უფასოა.

პნევმოკოკური ინფექციის გამომწვევი ბაქტერიის საწინააღმდეგო ვაქცინა საქართველოში გასულ წელს შემოვიდა. სპეციალისტებს ინფორმაციით, ის ეფექტურად ებრძვის დაავადებას და მინიმალურია დაინფიცირების შესაძლებლობა. გასულ წლებში პნევმოკოკური ინფექციის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. უცნობია, რამ გამოიწვია საშიში ვირუსის გააქტიურება. რომელმაც უკვე ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.





## ჯანდაცვის სამინისტრო გარდაცვლილებთან კონტაქტში მყოფ პირებს უკვე ამოწმებს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# თბილისის ამბულატორიული ცენტრი

სამედიცინო კორპორაცია ევექსი

## ჩვენი სერვისები

- სრული გეგმიური ამბულატორიული მომსახურება
- მაღალტექნოლოგიური ლაბორატორიული და დიაგნოსტიკური კვლევები





## ჩვენი უპირატესობები

- პაციენტსა და მის უსაფრთხოებაზე ორიენტაცია
- პროფესიონალი, მაღალკვალი-ფიციური სპეციალისტები
- ISO 9001:2008 საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე ლაბორატორია
- მომსახურების თანამედროვე სტანდარტები

„თბილისის ამბულატორიული ცენტრი" არის ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელის „სამედიცინო კორპორაცია ევექსის" ამბულატორიული ცენტრი. კორპორაცია დღეისათვის მართავს 39 კლინიკას ქვეყნის 6 რეგიონში.

ვაჟა-ფშაველას გამზირი 40 | +995 32 2 55 05 05 | info-evex@evex.ge | www.evex.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირი აქვს ვაზაგაშვილის საქმეზე დაკავებულ პოლიციელს ვანო ჩხარტიშვილის ყოფილ სიძესთან?









## მომღერალ ბექა ჩხაიძესა და გიორგი ცააძეს შორის დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. მაშინ ცააძე ჩხარტიშვილის ექსსიძის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს და წელიწად-ნახევარი ციხეშიც იჯდა



მირიან ბოქოლიშვილი

**კრიმინალური პოლიციის თანამშრომელი გიორგი ცააძე, რომელიც ირაკლი ფირცხალავასთან და რამდენიმე სპეცრაზმელთან ერთად კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის გამო წინასწარ პატიმრობაში იმყოფება, სახალხო დამცველს საგანგებო განცხადებით მიმართავს. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ცააძის მიერ უჩა ნანუაშვილისადმი გაგზავნილი მიმართვა, რომლის შინაარსსაც ოდნავ ქვემოთ გაგაცნობთ, მანამდე კი შეგახსენებთ, რომ პროკურატურა ცააძეს ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის განზრახ მკვლელობაში თანამონაწილეობას ედავება. საგამოძიებო ორგანოს ინფორმაციით, სწორედ ცააძე იყო ის, ვინც ვაზაგაშვილის მიმართ საკონტროლო გასროლა განახორციელა.**

როგორც ირკვევა, ეს არ არის ერთადერთი ბრალდება, რომლის გამო გიორგი ცააძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს. ჯერ კიდევ სააკაშვილის დროს ის ხულიგნობის ბრალდებით გაუსამართლებიათ. საქმე ეხება ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის ყოფილ სიძეს, მომღერალ ბექა ჩხაიძესა და გიორგი ცააძეს შორის მომხდარ დაპირისპირებას, რომელიც ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. მაშინ ცააძე ჩხარტიშვილის ექსსიძის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს და წელიწად-ნახევარი ციხეშიც იჯდა. ეს ხდება კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციიდან ორიოდე წლის შემდეგ. ირკვევა, რომ ვაზაგაშვილის საქმეზე პროკურატურაში ცააძის დაბარებას წინ უძღოდა იმ ციხის თანამშრომლის ინფორმაცია, რომლისთვისაც ცააძეს უთქვამს, „დრო მოვა და კორტების საქმეზე სიმართლეს ვიტყვიო“. სახალხო დამცველისთვის გაგზავნილ წერილში თავად გიორგი ცააძე ამ ყველაფერს აბსურდს უწოდებს და პოლიტიკური ნიშნით დევნაზე საუბრობს.

„გამომძიებელმა მთხოვა, შემექმნა მოწმეთა ბაზა და იარაღის ჩამდებად მეც და მოწმეებსაც ირაკლი ფირცხალავა დაგვესახელებინა. კონკრეტულად მე რატომ მაიძულებდნენ ამ ქმედების ჩადენას და რა ბედი მეწეოდა, ამაზე გამცა პასუხი, რომ წარსულში მე ხულიგნობის ბრალდებით ვიხდიდი სასჯელს და თითქოს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლისთვის მითქვამს: „დრო მოვა და კორტების საქმეზე სიმართლეს ვიტყვი-მეთქი“ და ეს დრო მოვიდაო. ამასთანავე, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მე და ჩემ მიერ მოძებნილ მოწმეებს საპროცესო შეთანხმებას გაგვიფორმებდნენ, მხოლოდ ამ გზით გადავურჩებოდით დაკავებას“, – ყვება გიორგი ცააძე უჩა ნანუაშვილისთვის გაგზავნილ წერილში და იქვე აცხადებს, რომ გამომძიებლის ზემოხსენებულ შეთავაზებაზე უარი თქვა მისი აბსურდულობის გამო. მაშინ პროკურატურაში ცააძის დაკითხვა 2 საათს გაგრძელდა. ამის შემდეგ ცააძე ოჯახთან რუსეთში იმყოფებოდა და როგორც თავად ამბობს, საქართველოში

> **გიორგი ცააძე: „თითქოს ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლისთვის მითქვამს, – დრო მოვა და კორტების საქმეზე სიმართლეს ვიტყვი-მეთქი... გამომძიებელმა მითხრა, – ეს დრო მოვიდაო“**

საკუთარი სურვილით დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც მეგობრებისგან შეიტყო კორტების საქმის გამოძიების ინტენსიურობის შესახებ.

„მიმაჩნდა, რომ ჩემი საქართველოში არყოფნა შესაძლოა, საგამოძიებო ორგანოში აღქმულიყო, როგორც გამოძიებისთვის თავის არიდება და ამიტომ 18 იანვარს, დროზე ადრე ჩამოვფრინდი თბილისში. ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პროკურატურაში დაბარებული ჰყავდათ შს სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები და ეკითხებოდნენ, სად ვიდექი და რას ვმოქმედებდი კორტების სოპეცოპერაციის მიმდინარეობისას. ასევე, მოწმეებს აიძულებდნენ, მიეცათ ჩვენება ჩემს წინააღმდეგ“, – **ყვება გიორგი ცააძე და იმ მტკიცებულებებზე საუბრობს, რომელიც პროკურატურას მის წინააღმდეგ აქვს.**

„სამი მოწმე ხელს მადებს, როგორც მე, ასევე ჩვენი თანამშრომლის კახა სირაძის იმჟამინდელ მძღოლს, ვინმე სპარტაკ თაბაგარს. მოწმეები ამბობენ, თითქოს დაინახეს ჩემ მიერ განხორციელებული საკონტროლო გასროლები ჯერ ვაზაგაშვილის, შემდეგ ხუბულოვის მიმართულებით. შემდეგ კი თითქოს სპარტაკ თაბაგარი მაწვდის ცეცხლსასროლ იარაღს, რომლებსაც მე მანქანაში მჯდომ სამივე პირს ვუდებ. გამოძიებამ დაკითხა კახა სირაძე. მისი თქმით, სპეცოპერაციის დროს ის სახლში იმყოფებოდა, როდესაც ირაკლი ფირცხალავამ დაურეკა და სპეცოპერაციის დასრულების შესახებ აცნობა, კახას სთხოვა, კორტებთან მისულიყო. კახა სირაძემ დაურეკა მის მძღოლს, სპარტაკ თაბაგარს, რომელიც საკუთარ სახლში იმყოფებოდა, კერძოდ, ნაძალადევის რაიონში. თაბაგარმა სირაძეს დიღომში მიაკითხა და შემთხვევის ადგილზე მოვიდნენ. გამოდის, რომ გამოძიებამ იმ სამი მოწმის ჩვენება გაიზიარა მხოლოდ ჩემს ნაწილში, ხოლო თაბაგარის ნაწილში – არა. თუ მე გავისროლე და იარაღი თაბაგარმა მომაწოდა, როგორ აღმოჩნდა თაბაგარი ამ დროს ნაძალადევის რაიონში?! თაბაგარი მოწმის სახით დაკითხეს, ხოლო მე აღნიშნული მოწმეების ჩვენებით, უმძიმესი ბრალი წარმიდგინეს. გარდა ამისა, საქმეს თან ერთვის შს სამინისტროს ექსკლუზიური კადრები, რომელზეც ჩატარებული ექსპერტიზა კადრების უწყვეტობას ადასტურებს. რაც მთავარია, ცრუ მოწმეების მიერ დასახელებულ დროს მე არც ერთ კადრში არ ვჩანვარ, მეტიც, ვიდექი საწინააღმდეგო მხარეს, შემთხვევის ადგილიდან დაახლოებით 50-60 მეტრის დაშორებით.

ამოღებული მასრებისა და ტყვიის ექსპერტიზით დასტურდება, რომ ჩემი იარაღიდან გასროლა არ განხორციელებულა. უფრო მეტიც, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „კალაშნიკოვისა“ და „მაკაროვის“ ტყვიის ჰილზები და გულები. ჩემზე კი განპირობებული იყო „ჩეზეს“ სისტემის იარაღი, რომელსაც „ლუგერის“ სისტემის ვაზნები უდგება“, – აცხადებს გიორგი ცააძე და სახალხო დამცველს ამ საქმის მონიტორინგისკენ მოუწოდებს.

ცააძე ამბობს, რომ მასზე ხორციელდება ფსიქოლოგიური ზეწოლა, საპატიმროში არ ეძლევა საინფორმაციო საშუალებების გაცნობის საშუალება, სთხოვენ არარსებული ბრალის აღიარებასა და ირაკლი ფირცხალავას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო



# საქართველო C ჰეპატიტის გარეშე!

## რას მოიცავს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები?

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას: 1) მკურნალობაში ჩართვამდე; 2) მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას.

ბ) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობას C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.

## ვის შეუძლია ისარგებლოს დიაგნოსტიკის კომპონენტით?

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვს დადებითი პასუხი, შეუძლია პროგრამის ფარგლებში ჩაიტაროს მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები.

## რომელი კვლევები ტარდება პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართვამდე?

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები ტარდება შემდეგი პრინციპით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს უტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ FIB4 ქულა არის 1.45 - 3.25 მაჩვენებლებს შორის, პაციენტებს დამატებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია;

**ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტებს უტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:**

- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- პაციენტებს, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით უტარდებათ ქვეკომპონენტით გათვალისწინებული ყველა კვლევა.

## მკურნალობაში ჩართვამდე პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობისთვის:

პაციენტმა უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას (სურვილის შესაბამისად). შერჩევის შემდეგ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების სია გამოქვეყნდება სამინისტროს ვებ გვერდზე www.moh.gov.ge. ასევე, დამატებით ინფორმაციას მიიღებთ ცხელ ხაზზე – 1505.

## რას გულისხმობს მკურნალობის კომპონენტი?

მკურნალობის კომპონენტი გულისხმობს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით, კერძოდ, ა) სოფოსბუვირით, ბ) პეგილირებული ინტერფერონითა და გ) რიბავირინით უზრუნველყოფას.

## ვის შეუძლია ისარგებლოს მკურნალობის კომპონენტით?

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს, პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

## მკურნალობის კომპონენტით სარგებლობისთვის:

ა) პაციენტი უნდა დარეგისტრირდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისში: სამინისტროს მისაღებში ან სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში. რეგიონებში – რეგიონულ ცენტრებში), სადაც პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა NIV-100/ა (დედანი), მკურნალობაში ჩართვის წინ ჩატარებული კვლევების დოკუმენტები (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების წარმოდგენა), პირადობის მოწმობის ასლი და შევსების შესაბამისი ფორმის განაცხადი. ამასთან, პაციენტი ირჩევს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, სადაც სურს მომსახურების მიღება.

ბ) დარეგისტრირებული პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება კომისიურად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა თანხმობის წერილი;

გ) პაციენტმა მკურნალობის დასაწყებად თანხმობის წერილის მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ჩაითვლება გაუქმებულად.

## რა მოთხოვნები არსებობს ფორმა NIV-100/ა მიმართ?

- ფორმა NIV-100/ა გაცემული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ და მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევების, მათი შედეგების, ასევე, დანიშნულების (მედიკამენტებისა და დოზირებების მითითებით) და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ.
- ფორმა NIV-100/ა-ს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დიაგნოსტიკური კვლევები (ჩატარების თარიღების და შედეგების მითითებით): HCV რნმ-ის რაოდენობრივი, გენეტიკური ტიპის, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები, ასევე, სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- მკურნალობაში ჩასართავად საჭირო კვლევების (გარდა გენეტიკური ტიპისა) ვალიდური ვადები შეადგენს არაუმეტეს 3 თვეს.

## პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები:

- მკურნალობის პოტენციური კანდიდატია ყველა აქტიური HCV ინფექციით პაციენტი, ვისაც მკურნალობის სურვილი აქვს და არ აქვს C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე უკუჩვენებები. კერძოდ პაციენტები, რომელთაც არასდროს არ ჩატარებიათ ანტივირუსული მკურნალობა და პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ანტივირუსული მკურნალობა, მაგრამ იგი იყო წარუმატებელი.
- ანტივირუსული მკურნალობის დაწყებისა და პაციენტების შერჩევისას პრიორიტეტულია შემდეგ ჯგუფები:
  - პაციენტები, ღვიძლის კომპენსირებული ციროზით (F4);
  - პაციენტები, ღვიძლის შორსწასული ფიბროზით (F3);
  - პაციენტები, ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზით (ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები);
  - პაციენტები, ღვიძლის ტრანსპლანტაციით და HCV რეინფექციით;
  - პაციენტები, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით;
  - პაციენტები, აივ და/ან HBV კოინფექციით.

## სად და როგორ მოხდება მედიკამენტების გაცემა პაციენტებზე?

- პაციენტის მკურნალობაში ჩართვა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში ხორციელდება პაციენტის მიერ თანხმობის წერილის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- სერვისის მიმწოდებელი პაციენტზე პეგილირებულ ინტერფერონს და რიბავირინს გასცემს სამკურნალო სქემის შესაბამისი რაოდენობით (არაუმეტეს ერთი თვის მარაგისა);
- სერვისის მიმწოდებელი სოფოსბუვირს გასცემს ერთი ფლაკონის (28 ტაბლეტიანი) ოდენობით. **სავალდებულოა: ფლაკონი გაიხსნას ადგილზე და პირველი აბი პაციენტმა მიიღოს სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, კამერის მეთვალყურეობის ქვეშ.** პაციენტს გადაეცემა ფლაკონი, რომელშიც არის 27 ტაბლეტი სოფოსბუვირი.
- სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში მედიკამენტი გაიცემა ყოველდღე.

## რა პირობები უნდა დაიცვას პაციენტმა მკურნალობის პროცესში:

### პაციენტისთვის სავალდებულოა:

- მკურნალობის პროცესში, ყოველი მეორე კვირის ბოლოს, მედიკამენტის ფლაკონის წარმოდგენა სერვისის მიმწოდებელთან და კამერის წინ ფლაკონის, ბარ-კოდის და ფლაკონში მედიკამენტის დარჩენილი რაოდენობის დაფიქსირება;
- მედიკამენტის მომდევნო ფლაკონის მისაღებად ცარიელი წინა ფლაკონის ჩაბარება.

### პაციენტისთვის დაუშვებელია:

- პროგრამის ფარგლებში მიღებული მედიკამენტის რეალიზაცია/გაყიდვა/დათმობა პროგრამის არამონაწილე ბენეფიციარზე;
- მედიკამენტის, ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ფლაკონის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, გაყალბების მცდელობა.

- **პაციენტზე მედიკამენტების გაცემისას გამონაკლისი შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურ რეჟიმში კომისიის მიერ.**
- **მკურნალობის რეჟიმის და სავალდებულო პირობების დარღვევის დაფიქსირების, ასევე, მკურნალობის მეოთხე კვირის ვადაზე HCV RNA შეუსაბამო/საეჭვო მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში, პაციენტზე მედიკამენტის გაცემის წესი შეიცვლება და განხორციელდება DOT პრინციპით, ყოველდღიურად სერვისის მიმწოდებელთან, სამედიცინო პერსონალის და ვიდეოკამერის მეთვალყურეობის ქვეშ.**

## რას გულისხმობს მკურნალობის მონიტორინგი?

მკურნალობის მონიტორინგი გულისხმობს დადგენილი პერიოდულობით, მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი შემდეგი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯების (ALT, AST კვლევები), ბილირუბინის (პირდაპირი და საერთო), კრეატინინის, TSH განსაზღვრა;
- მკურნალობის პროცესში ექიმის მიერ ხორციელდება დეპრესიის მონიტორინგი, მკურნალობის რეჟიმის დაცვის კონტროლი და გვერდითი ეფექტების მონიტორინგი.

## დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების დაფინანსების წესი:

დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს ,თანაგადახდა შეადგენს 30%-ს.

## მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მედიკამენტების მიღების პირობა:

მკურნალობის კომპონენტით განსაზღვრული მედიკამენტებით პროგრამის მოსარგებლეთა უზრუნველყოფა ხორციელდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე).

**დაავადების მართვის შესახებ ინფორმაციას გაეცანით შემდეგ მისამართზე**

**www.hepatiti.ge**

1505

www.moh.gov.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ოქროს ფრთის“ რიგით მეცამეტე დაჯილდოები









**my View**

**თამარ გონგაძე**

**ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ რიგით მეცამეტე დაჯილდოების ცერემონიალს წელს ზურაბ წერეთლის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მასპინძლობდა. „ოქროს ფრთა“ ერთადერთი საპატიო ჯილდოა, რომელიც ყოველწლიურად გადაეცემათ მედიის წარმომადგენლებსა და საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებს. ინტერესი ამ სოლიდური ღონისძიების მისამართით ყოველწლიურად იზრდება. 23 აპრილს მუზეუმის მშვენიერი გარემო მოწვეული სტუმრებით გაივსო. წლევანდელი ოქროს ფრთოსნები ჟურნალისტებთან ერთად გახდნენ ხელოვანი ადამიანები, რომელთაც სპეციალური ჯილდო გადაეცათ. ეს უკვე ტრადიციაა, „ოქროს ფრთის“ საპატიო ლაურეატები ღვაწლმოსილი ქართველები ხდებიან. „ოქროს ფრთის“ დამფუძნებელი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ეთერ ჯიშკარიანი გახლავთ, ფონდის პრეზიდენტი კი გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი თამარ ფხაკაძეა.**




გაგაცნობთ ფონდის წლევანდელი ჟიურის შემადგენლობას: მისი თავმჯდომარე „ოქროს ფრთის“ 2008 წლის ლაურეატი, მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რეკორდსის“ პრეზიდენტი, 2000 წლიდან დღემდე ტელეაკადემიის აკადემიკოსი ზაზა შენგელია გახლდათ. ჟიურის წევრები იყვნენ: ნუგზარ რუხაძე, ნიკუშა შენგელაია, თამარ ცაგარეიშვილი, ეთერ ჯიშკარიანი, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ მხარდამჭერი და გენერალური სპონსორი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, ნანა ჯანელიძე, ახალგაზრდა რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი, ჟურნალისტი, საქართველოს ტელე-რადიო მაუწყებლობის ყოფილი თავმჯდომარე არჩილ გოგელია და „ოქროს ფრთის“ პრეზიდენტი, „ოქროს ფრთისა“ და „ოქროს კალმის“ 2010 წლის ლაურეატი წიგნისთვის „გმირი“ ლიტერატურული პრემიის „გალას“ 2010 წლის პრემიის მფლობელი, გაზეთ „პრაიმტაიმის“ დამფუძნებელი, ბრაილის შრიფტით პირველი ქართული გაზეთის გამომცემელი, ჟურნალისტი თამარ ფხაკაძე. სწორედ ასეთი კომპეტენტური ჟიურის დამსახურებაა ის, რომ ეს ცერემონიალი ღირსეული და საპატიოა.












ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი „ბიგბენდი“ გივი გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით. საღამოს წამყვანები „ოქროს ფრთის“ ლაურეატები - ეკა მიშველაძე და გოდერძი შარაშია გახლდათ.

„ოქროს ფრთის“ ლაურეატების შესახებ ფონდის დამფუძნებლის ეთერ ჯიშკარიანის მიერ გამოიცემა წიგნი, სადაც თავმოყრილია ყველა იმ ადამიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომლებიც 2003 წლიდან მოყოლებული დღემდე დაჯილდოებულნი არიან „ოქროს ფრთით“. 2008 წლიდან კი ფონდმა დააარსა ზურაბ წერეთლის სახელობის პრემია, რომელიც „ოქროს ფრთის“ დაჯილდოებაზე გაიცემა.

წელს „ოქროს ფრთის“ წარმდგენი და გენერალური სპონსორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა გახლდათ. „ოქროს ფრთის“ ოქროს სპონსორი სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ იყო, ყველაზე ფართო ჰოსპიტალური ქსელი საქართველოში, ცნობილი თავისი მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებითა და ინოვაციური მეთოდების დანერგვით ქართულ მედიცინაში. წელს „ევექსმა“ ჯილდოც დააწესა, სასაჩუქრე ბარათი, რომელიც თითოეულ ლაურეატს გადაეცა. საკუთარი სამი რჩეული დააჯილდოვა ავიაკომპანია „ატლასგლობალმაც“. „ოქროს ფრთის“ ტრადიციული პარტნიორია კომპანია „ჯეოსელი“.

წელს „ოქროს ფრთის“ სპონსორი და მხარდამჭერი გახდა, „პეტროკას ენერჯი გრუპი“ და ბატონი დავით იაკობაშვილი.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ ასევე კომპანია „ბორჯომი“ და ღვინის მწარმოებელი კომპანია „თელიანი ველი“.

ჟურნალისტა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ლაურეატები კი გახდნენ ადამიანები, რომლებიც საკუთარი საქმის პროფესიონალები, საუკეთესო პროექტების შემქმნელები არიან, ისინი ვინც კადრშიც, კადრს მიღმაც და პრესის ფურცლებზე, ქმნიან პროდუქტს, რომელმაც წელს ჟიურის გადაწყვეტილებით მედიის უმაღლესი ჯილდო „ოქროს ფრთა“ დაიმსახურა - სერგი გვარჯალაძე, ლუბა ელიაშვილი, გადაცემა „ექიმების“ წამყვანები დავით ლოლაძე, კოტე მათითაშვილი, ნინო ჩოგოვაძე და ლევან



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Ს ცერემონიალი სიურპრიზებითა და პრიზებით


















ხარაშვილი, ნიკა წულუკიძე, ვახტანგ კომახიძე, გია აბდალაძე, სერიალი „ტიფლისი“, ლევან კოლუაშვილი, გერმანე გოგლიჩიძე, ზურა ფანქველაშვილი, ელენე ბილიხოძე, ბუბა კუდავა, დავით გერსამია, თამარ გორთამაშვილი, ვაჟა თავბერიძე, ვადიმ ანასტასიადი, ხოლო საპატიო ლაურეატები კი გახდნენ ნანი ბრეგვაძე და ალექსანდრე კორსანტია.

**თამარ ცაგარეიშვილი:**

- ეს დღე დღესასწაული, შრომის დაფასება და სტიმულია ახალგაზრდებისთვის და მადლიერების გამოხატვა ძველი თაობისთვის. ჟურნალისტები ძალიან რთულ საქმეს ემსახურებიან. ეს არის რისკი, კომპრომისები, საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან ბრძოლა.

**ეკა მიშველაძე:**

- მე ორჯერ ვიყავი „ოქროს ფრთის“ ლაურეატი. ეს ჯილდო დიდი დაფასებაა. ერთადერთი ღონისძიებაა, სადაც ჟურნალისტების მუშაობა აღინიშნება. უნდა გაგრძელდეს რაც შეიძლება მეტ ხანს.

**ნანა ჯანელიძე:**

- ეს საზოგადოების პასუხია რა ხდება ჟურნალისტიკაში. მე დავაჯილდოვე ლევან კოღუაშვილი, რომელიც კინოში ჟურნალისტიკიდან გადავიდა. კინოც და ჟურნალისტიკაც საზოგადოებრივ აზროვნებას აყალიბებს.

**ლუბა ელიაშვილი:**

- „ოქროს ფრთა“ ჩემთვის ძალიან ძვირფასი პრიზია. მე როგორც ვხედავ, პრაქტიკულად, ეს ქართული „ოსკარია“. შესაბისად მისი მიღება დიდი ბედნიერებაა. მადლიერი ვარ იმ ადამიანების, ვინც ჟურნალისტიკაში ჩემი მოკრძალებული ღვაწლი დააფასა.

**დავით ლოლაძე:**

- ჩვენ ვართ ექიმები და ჩვენთვის ეს პრიზი პატივი და ბედნიერებაა. ეს წარმატება მაინც „რუსთავი 2“-ის და ჩვენი პროდიუსერების დამსახურებაა.

**ზვიად სიჭინავა:**

- მადლობა, რომ ასეთ საზოგადოებაში ყოფნის საშუალება მომეცა. ვფიქრობ, არა ფეხბურთის ფედერაცია, არამედ სხვა დიდი ბიზნესმენები უნდა აკეთებდნენ ამ ცერემონიალს.

**გიორგი გიორგანაშვილი (ბახალა), „ტიფლისის“ მსახიობი:**

- ეს პრიზი გუნდისთვის ძალიან სასიამოვნოა. არ ველოდი ასეთ პომპეზურობას, თან არც ვიცოდი ნომინირებული თუ ვიყავით. დიდი სტიმულია და სასიამოვნოა.

**ვაჟა თავბერიძე:**

- გვიხარია ის, რომ საზოგადოებამ დააფასა რასაც ვაკეთებთ. გაზეთი Georgian Journal ქართველი მკითხველის გემოვნებას მოვარგეთ და მე მგონი გამოგვივიდა.

**გია აბდალაძე:**

- მადლობა ყველა ჩემს რედაქტორს, ყველა კოლეგას, ვინც იბრძოლა, რომ მე აქ ვყოფილიყავი. მადლობა ჟიურის და განსაკუთრებული მადლობა თაკო ფხაკაძეს, რადგან ეს ჯილდო თითოეული ჟურნალისტისთვის განსაკუთრებულია.

**ნიკა წულუკიძე:**

- ულრმესი მადლობა თაკო ფხაკაძეს, ეთერ ჯიშკარიანს, ჟიურის, რომ მე ამ პრესტიჟული ჯილდოთი ასე გამომარჩიეს. თურმე ჩემს შრომასაც ვიღაც უყურებს და აფასებს.

**ნინო ჩოგოვაძე:**

- ჩვენ ექიმები ამ ცერემონიალზე უცნაურ ამპლუაში ვართ. ამ გადაცემას კარგი გუნდი აკეთებს. საზოგადოებას სამედიცინო კუთხით ინფორმაციებს თუ მივაწვდით, რომ ჯანმრთელობას უკეთ მიხედონ, ჩვენი მისია შესრულებულ იქნება.

ლაურეატები ძალიან ბედნიერები იყვნენ. სამმა მათგანმა - სერგი გვარჯალაძემ, ზურაბ ფანქველაშვილმა და ნიკოლოზ წულუკიძემ ავიაკომპანია „ატლასგლობალის“ სპეციალური პრიზები მიიღეს. მათ გადასაცემად სცენაზე ავიაკომპანიის კომერციული დირექტორი ავიდა.

**თამუნა თანდაშვილი („ატლასგლობალის“ კომერციული დირექტორი):**

- ავიაკომპანია „ატლასგლობალი“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში სხვადასხვა მედია საშუალებებთან. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყანაში მედიის განვითარებას, თავის მხრივ მხარს უჭერს „ოქროს ფრთას“. წელს ავიაკომპანიამ მედიის იმ წარმომადგენელთათვის დააწესა პრიზი, რომლებიც ქვეყანაში ტურიზმის განვითარებისთვის ქმნიან სატელევიზიო პროდუქტს. ავიაკომპანია „ატლასგლობალი“ ივნისის თვიდან ფრენებს განახორციელებს ჰოლანდიისა და გერმანიის მიმართულებით. სერგი გვარჯალაძე, ზურაბ ფანქველაშვილი და ნიკოლოზ წულუკიძე ამსტერდამის, დუსელდორფისა და კიოლნის ავიაბილეთებით დაჯილდოვდნენ.

ამგვარი სიურპრიზები იყო ამ სოლიდურ ღონისძიებაზე, „ოქროს ფრთა“ კი ბევრი მომავალი სიურპრიზის მოლოდინით ერთი წლით დაგვემშვიდობა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გრიფით „საიდუმ

## ხელისუფლება soft power-ს აღიარებს, როგორც

ქეთი ხატიაშვილი

**გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი დასამტკიცებლად უკვე მზად არის. მთავრობა მას მაისში დახურულ სხდომაზე ჯერ განიხილავს, შემდეგ დაამტკიცებს. ამ დოკუმენტის 80% ჩვენთვის დახურული დარჩება. საუბარია კრიზისების შეფასების დოკუმენტზე, რომელზეც რამდენიმე თვეა, კრიზისების მართვის საბჭოში მუშაობა მიმდინარეობს.**

ჯერ პრეზიდენტ მარგველაშვილის, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრის მინდია ჯანელიძის პარლამენტში გამოსვლის (კომიტეტზე) შემდეგ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტში მოხვდება ისეთი სახის რისკი, როგორიცაა soft power. **მინდია ჯანელიძემ** ამ საკითხზე საკანონმდებლო ორგანოში ღია მინიშნება გააკეთა:

– soft power-ის გენერირება, მობილიზება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ძირითადად, მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიმართ ლოიალურად განწყობილი სუბიექტების მომრავლებაში გამოიხატება... მოსაზრებების გაცვლა შეგვიძლია დახურულ ფორმატში, თუმცა პრობლემას ვხედავთ და ამაზე ვსაუბრობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ პრობლემაზე ვრეაგირებთ, – მინისტრს სხვა დეტალები არ დაუკონკრეტებია და ვერც დააკონკრეტებდა.

კონკრეტიკისგან თავს იკავებს უშიშროების საბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილიც. ის მხოლოდ ადასტურებს, რომ გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტი განსახილველად თითქმის მზად არის:

– მე მგონია და იმედი მაქვს, რომ ერთ-ერთ საფრთხედ soft power არის გაწერილი, ეს დახურული დოკუმენტია და ამაზე მეტის საუბარი არ შემიძლია. საფრთხეებზე მუშაობა თითქმის დასრულებულია და მაისში მას მთავრობა დაამტკიცებს.




ექსპერტ **თორნიკე შარაშენიძის** განმარტებით, ამ საკითხებზე სერიოზული ანალიზი უნდა გაკეთდეს და მერე სტრატეგია დაიგეგმოს, თუმცა, მსგავსი არაფერი ხდება:

– სერიოზული ანალიზი უნდა გაკეთდეს, სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შემუშავდეს და ეს ყველაფერი უშიშროების საბჭოს აპარატმა უნდა გააკეთოს. ამ მიმართულებით მუშაობას ვერ ვხედავთ.

**უშიშროების საბჭოს მდივანი** ექსპერტს ბოლო დროს კანონში შეტანილ ცვლილებებს ახსენებს:

– ეროვნული უშიშროების საბჭო არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, იქმნება თავდაცვის ორგანიზაციისა და სამხედრო აღმშენებლობისთვის. არსებობს ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ ორგანული კანონი, რომელშიც შევიდა ძალიან სერიოზული ცვლილებები. გარდა იმისა, რომ უშიშროების საბჭოს შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა, პირდაპირ განისაზღვრა ის უფლებამოსილებები და საკითხების ნუსხა, რაზეც საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო მსჯელობს... სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებსაც უშიშროების საბჭო შეიმუშავებდა, ერთს პარლამენტი ამტკიცებდა და ორს – პრეზიდენტი. თუმცა, ახალი კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტი აღარ გახლავთ უწყებების ხელმძღვანელი და ეს სტრატეგიული დოკუმენტები შემუშავდება (ასეც უნდა იყოს) უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმით... უწყებათაშორისი კოორდინაცია, იქიდან გამომდინარე, რომ ამ უწყებების ხელმძღვანელი პრეზიდენტი აღარ გახლავთ, ვერ იქნება მის სათათბირო ორგანოში. შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება გადასულია უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. და საფრთხეების შემუშავების დოკუმენტშიც დეტალურად უნდა იყოს გაწერილი soft power-ის საფრთხეებიც. ეს დოკუმენტი საიდუმლო დოკუმენტია, მხოლოდ შესავალი ნაწილია ღია. ახალი საფრთხეების დოკუმენტი უკვე შემუშავებულია და ბოლო დამუშავებას გადის...

ხელისუფლება soft power-ს აღიარებს, როგორც საფრთხეს, ახლა ექსპერტებს ისღა დარჩენიათ, იმაზე იმსჯელონ, როგორ პოლიტიკას შეიმუშავებს ხელისუფლება ამ რისკების გასანეიტრალებლად. გამოცდილება მრავალფეროვანი და მრავალმხრივია.

ბალტიისპირეთში რისკებს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს ემუქრება, მკაცრად პასუხობენ. ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ რუსულენოვან მოსახლეობას თავდაპირველად არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა, შესაბამისად, არჩევნების შედეგები ლიტვისთვის იდეალური იყო – საკანონმდებლო ორგანოში პრორუსული ორიენტაციის არც ერთი დეპუტატი არ მოხვდა. თუმცა, მოგვიანებით, როცა მათ მოუწიათ, რუსულენოვანი მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცათ, პარლამენტში რუსული ინტერესების დამცველი პარტია უმრავლესობით ვერ მოვიდა, თუმცა სოლიდური და ყველაზე მაღალი პროცენტი მიიღო.

ახლა ბალტიამ ახალი სტრატეგია შეიმუშავა – ლიტვაში ყველა ის პირი დააკავეს, ვინც ქვეყნის ოფიციალურ პოზიციას რუსეთის მიმართ მკაცრად აკრიტიკებდა. დაპატიმრებები ქვეყნის ხუთი მსხვილი ქალაქის მასშტაბით განხორციელდა. დაპატიმრებულ პირებს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ედებათ ბრალი. ლიტვა ცდილობს, რუსული აგრესიისგან თავი დაიცვას.

როგორი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია გრიფით „საიდუმლო“ დოკუმენტის მიღების შემდეგ? კონკრეტული პასუხები ჯერ არ არის. არსებობს მხოლოდ ექსპერტების მოსაზრებები. მაგალითად, **თორნიკე შარაშენიძე** მიიჩნევს, რომ საქართველომ რუსული არხები უნდა აკრძალოს:

### ვერ გამიგია, რატომ არ ხდება რუსული ტელეარხების აკრძალვა

– ვერ გამიგია, რატომ არ ხდება რუსული ტელეარხების აკრძალვა. როცა ერთხელ ეს ვთქვი, „ქართული ოცნების“ ჩემ გვერდით მჯდომმა წარმომადგენელმა გაოცებული თვალებით შემომხედა. რუსეთი თავისი არხების მეშვეობით რუსულ პროპაგანდას ეწევა და ეს გასაგებია, ამიტომაც შესაბამისი კანონმდებლობა უნდა იქნეს მიღებული.

პროფესორი გიორგი კავკასიძე, რომელიც უცხოეთში მოღვაწეობს, მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ მიდგომები უნდა გაამკაცროს: „საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს რუსეთიდან დაფინანსებული, ან პრორუსული ორგანიზაციების რეგისტრაციების გაუქმებასა და აკრძალვას. ოკუპანტის „რბილი ძალა“ მის ინტერესებს ემსახურება და არა ოკუპირებული ქვეყნისას“.

საქართველოში მომავალ წელს დიდი საპარლამენტო არჩევნებია დაგეგმილი. ბუნებრივია, ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი საზრუნავი ისიც იქნება, რომ ჩრდილოეთიდან დაფინანსებული პოლიტიკური ძალების ვერტიკალში მოხვედრა არ დაუშვას. ექსპერტი ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ერთადერთი, რაც ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს, ეს პროცესის მაქსიმალურად გახსნაა, მისი განმარტებით, საქართველოში


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი“

საფრთხეს



მხოლოდ დემოკრატიის გზით შეიძლება სერიოზული საფრთხეების თავიდან აცილება. „მაქსიმალურად უნდა გაიხსნას სივრცე დებატებისთვის, ეს იდეათა და შეხედულებათა შეჯიბრებითობა უნდა იყოს და ხალხს პოლიტიკურმა ძალებმა ნათლად უნდა აუხსნან საკუთარი პოზიცია“.

თენგიზ ფხალაძის, გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარის განმარტებით: „რუსული „რბილი ძალის“ კონცეფცია განსხვავდება ამერიკული ორიგინალისგან. ის წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლითაც კრემლი საკუთარი საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახდენს. დასავლური და რუსული SOFT POWER-ის სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, არის იდეოლოგიური ჭიდილი დასავლურ ღირებულებებსა და „ველიკორუსულ ფასეულობებს“ შორის. „რბილი ძალის“ იმპლემენტაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია რუსეთის ფედერაციის „კანონი თანამემამულეთა შესახებ“, სადაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე პოტენციურ „თანამემამულედ“ მოიაზრება... ამდენად გამოწვევა საკმაოდ სერიოზულია და მას სრულფასოვანი შესწავლა და შესაბამისი პრევენციის მექანიზმის შექმნა სჭირდება“.



თორნიკე შარაშენიძე

# ყოველ მეოთხე ადამიანს გარკვეული სახის ფსიქიკური აშლილობა ერთხელ მაინც აქვს

# რატომ გახშირდა ოჯახური ძალადობის ფაქტები?



თამარ ივანიაძე

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაკვირვებით, „შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს 4.4-მილიონიანი მოსახლეობიდან დაახლოებით 15 პროცენტს, ანუ 600 000 პირს უნდა ჰქონდეს ფსიქიკური პრობლემა“. მათივე მონაცემებით, აქედან 2,5-5%-ს მძიმე ფსიქიკური აშლილობა ექნება, რომელიც მკურნალობას საჭიროებს, ხოლო 0,5 პროცენტს – ქრონიკული ფსიქიკური აშლილობა.**

„ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის“ ინფორმაციით, საქართველოში ფსიქიატრიულ სტაციონარულ დახმარებას 12 ფსიქიატრიული დაწესებულება ახორციელებს, სადაც 1392 საწოლი ფიქსირდება, საგულისხმოა, რომ მათ შორის ბავშვთა ფსიქიატრიული მომსახურებისთვის მხოლოდ 10 საწოლია გამოყოფილი. საგულისხმოა ისიც, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დასახელებული 600 000-ის 2,5 პროცენტი ის ადამიანები არიან, რომლებსაც მძიმე ფსიქიკური აშლილობა სჭირთ, ხოლო რამდენად ეყოფა 1392 საწოლი და 12 ფსიქიატრიული დაწესებულება ამ ოდენობის პაციენტს, დასკვნები თქვენთვის მოგვინდია. აღსანიშნავია ისიც, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებს ამბულატორიული მომსახურებაც სჭირდებათ, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ 18 დაწესებულება ახორციელებს.

თუმცა ზემოდასახელებულ რიცხვებთან დაკავშირებით ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციაში განმარტებას აკეთებენ, როგორც „პრაიმტაიმს“ მანანა შარაშიძემ განუმარტა, 600 000 ზუსტ მონაცემს არ წამოადგენს და ამ შემთხვევაში რიცხვი მიღებულია იმ შეხედულებიდან, რომლის თანახმადაც, ყოველ მეოთხე ადამიანს გარკვეული სახის ფსიქიკური აშლილობა ერთხელ მაინც ჰქონია. შარაშიძე განმარტავს, რომ ოფიციალური მონაცემები მიმართვიანობის რაოდენობით ითვლება და ამ დროისთვის ეს რიცხვი საქართველოში 80 000-ს შეადგენს, თუმცა სრულ სურათს რაოდენობასთან დაკავშირებით არც ის იძლევა.

**მანანა შარაშიძე:** „არის მიზეზები, რის გამოც ადამიანი, რომელსაც აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, აღრიცხვაზე არ დგება და არ მკურნალობს ან მკურნალობს კერძო ექიმთან, რადგან სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დისპანსერის დახმარება, სადაც მას წამლებს აძლევენ, მისთვის მნიშვნელოვანი არ არის. არის შემთხვევები, როცა ადამიანს, უბრალოდ, არ სურს რეგისტრირება საზოგადოებაში არსებული სტიგმის გამო.

სრულ სურათს სტატისტიკის შესახებ მხოლოდ ეპიდემიოლოგიური კვლევა იძევა, რომელიც დიდ თანხებსა და ცოდნას საჭიროებს და რადგან არც ერთია და არც მეორე, ჩვენთან ეს არ ჩატარებულა. მსგავსი კვლევა კი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ გვქონდეს სერვისებთან და კადრებთან დაკავშირებული სწორი დაგეგმვა“, – ამბობს შარაშიძე.

როგორც შარაშიძე განმარტავს, აღნიშნული 80 000 ადამიანის გარდა, ფსიქიკური აშლილობა ნარკო- და ალკოჰოლდამოკიდებულ ადამიანებსაც სჭირთ, თუმცა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანებად საქართველოში ისინი არ ითვლებიან. შარაშიძის განმარტებით, ბოლო დროის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა – ოჯახური ძალადობა და სუიციდი სწორედ ნარკომანიასთან და ალკოჰოლიზმთან არის დაკავშირებული. შარაშიძის თქმით, ასეთ ადამიანებს შფოთვითი აშლილობა და დეპრესია ემართებათ და საშიშ ქმედებებს სჩადიან. პრობლემა კი ისაა, რომ ტრაგიკული შედეგების პრევენცია ვერ ხორციელდება, რადგან მათი არც იდენტიფიცირება ხდება მობილური ჯგუფის მიერ და არც მკურნალობის ხარისხიანი სერვისების შეთავაზება.

„საქართველოში ფსიქიატრებმა არ იციან ნარკოლოგია და ნარკოლოგებმა – ფსიქიატრია, რაც პაციენტზე ძალიან უარყოფითად აისახება. ფაქტობრივად, მოუვლელი რჩება ამის გამო, რომ ეს პროგრამები ცალ-ცალკეა და ადამიანი ორმაგი დიაგნოზით საქართველოსთვის დიდი სატკივარია. ადამიანებს, რომლებიც წამალ- ან ალკოჰოლდამოკიდებულები არიან, აქვთ შფოთვითი აშლილობა, ან დეპრესია. სხვათა შორის, მსახიობი რომ გარდაიცვალა, ახლა ოჯახმა, ალბათ, ჩათვალა, რომ არ გაამჟღავნოს, მაგრამ ის ხომ ზედოზირებით დაიღუპა. მეგობრები ამბობენ ამას და თვითონაც როგორც თქვა, ჰქონდა პრობლემა და მკურნალობდა, მაგრამ, ეტყობა, მერე ამის გამწვავება მოხდა. ესეც რომ იმალება, სტიგმაა, რომელსაც სინამდვილეში უნდა ვებრძოლოთ...

## ფსიქიკური პრობლემის მქონე რამდენი ადამიანია საქართველოში და როგორ ცხოვრობენ ისინი?

ბოლო დროს აქცენტირება ხდება, რომ ოჯახური ძალადობის ფაქტებმა მოიმატა. ძალიან ბევრი შემთხვევის მიზეზი იყო პიროვნული აშლილობა, ხასიათის პათოლოგია და ამას დამატებული ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. ისინი არ გადიან მკურნალობის კურსს, არ ხდება მათი იდენტიფიცირება, არ მიეწოდებათ ხარისხიანი სერვისი, ოჯახის წევრებმა არ იციან, ვის მიმართონ, რადგან ამ კუთხით განათლების დონე დაბალია. უნდა არსებობდეს მობილური ჯგუფი, რომელიც ასეთ ოჯახებს სახლში მიაკითხავს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მთელი რიგი სისტემებია დასანერგი.

ძალადობის ფაქტებზე ძალიან ბევრს საუბრობენ და ფაქტობრივად, არავის უხსენებია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზებზე საუბარი არ მიდის. უნდა ვიფიქროთ პროფილაქტიკის გზებზე, რომ საქმე აქამდე არ მივიდეს. ქვეყნებში, სადაც მოქალაქეებს ეკონომიურად უჭირთ და მათ შორის საქართველოშიც, ფიზიკური ძალადობისა და სუიციდის შემთხვევებმა უფრო მოიმატა. დაუსაქმებლობა, სამსახურის დაკარგვა აქ დიდ როლს თამაშობს, როცა კაცი ცოლზე დამოკიდებული და ხელმოცარულია, ამის გამო შფოთვითი აშლილობა და დეპრესია ემართება, ამას ემატება ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და მთელი ჯაჭვია. ამიტომ როგორც სოციალური მდგომარეობა, ისე ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის არასრულფასოვნება დიდ როლს ასრულებს დანაშაულის ზრდაში. ორმაგი დიაგნოზის მქონე ადამიანისთვის ფსიქიატრიულ პროგრამაში მკურნალობის ხარჯები გათვალისწინებული არაა.

სოციალურ სტრესული აშლილობის ზრდა პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. იყო ომი, სამოქალაქო ომი, დევნილი მოსახლეობა გვყავს დიდი რაოდენობით, ყველაფერმა ამან განაპირობა ადამიანებში დეპრესიული აშლილობა.

პრობლემაა ისიც, რომ კარგი სამკურნალო სარეაბილიტაციო საშუალებები არ არის საქართველოში. პაციენტს, რომელმაც იმკურნალა, იმისთვის, რომ საავადმყოფოში მალევე არ მოხვდეს, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია სჭირდება. სათემო სერვისები საქართველოში განვითარებული არ არის. ფსიქო-სოციალური ინტერვენციებისთვის დაფინანსება ძალიან მცირეა, ამისთვის მხოლოდ 70 000 ლარია გამოყოფილი.

სათემო სერვისებში პაციენტი სწავლობს, როგორ იცხოვროს ავადმყოფობასთან ერთად, სწავლობს ხელსაქმეს და ა.შ. თუმცა ამის მიუხედავად ამ პაციენტებს უფუნქციობა აწუხებთ, სახელმწიფო პროგრამა არ მოიცავს მათ დასაქმებას, თავად კი ამას ძნელად ახერხებენ, საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმის გამო. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები ქვებს არ ისვრიან, ძალიან მცირე პროცენტშია ის საფრთხე, რომ რაღაც ჩაიდინონ და ამის გამაფრთხილებელი ნიშნები მის საქციელში წინდაწინ შეინიშნება.



მანანა შარაშიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „კახელებს თუ დავესესხები, ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის“



ლევან ხაბეიშვილი

ნუგზარ მალაღურაძე

ნუგზარ მალაღურაძე: „ეს ე.წ. გულანთებული ახალგაზრდები რეალურად „ნაციონალური მოძრაობის“ ლეკვები არიან“

ნარმანიამ მერიის შიდა აუდიტს ვასილ ბექაურის საქმიანობის შესწავლა დაავალა

# საკრებულოს მაღალჩინოსანი „პრაიმტაიმში“ გაჟღერებულ სკანდალურ ბრალდებებს პასუხობს

მირიან ბოქოლიშვილი

**„პრაიმტაიმის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ორგანიზაცია „მედიატორის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ლევან ხაბეიშვილი დედაქალაქის მერიაში არსებულ ნეპოტიზმზე საუბრობდა. დასახელებულ გვარებს შორის გაიჟღერა ნაძალადევის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის გვარმაც. ითქვა, რომ ვასილ ბექაური, რომელიც საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელის, ნუგზარ მალაღურაძის ცოლისძმაა, წარსულში საბურავების ქურდობის ბრალდებით იყო დაპატიმრებული, თუმცა საქალაქო სასამართლოს განაჩენში, რომელიც ორგანიზაცია „მედიატორმა“ მოგვაწოდა, გაცილებით მძიმე დანაშაულზეა საუბარი. საქმე ეხება ჯგუფურ გაუპატიურებას, სადაც „მედიატორის“ ხელმძღვანელის, ლევან ხაბეიშვილის თქმით, სწორედ ბექაურის გვარი ფიგურირებს.**

სტატიის მომზადების პროცესში პირადად ვასილ ბექაურს დავუკავშირდით, რომელმაც განმარტების გაკეთება არ ისურვა. ნასამართლობასა და ნეპოტიზმის შესახებ საუბარს თავი აარიდა ბექაურის სიძემ, საკრებულოს წევრმა, ნუგზარ მალაღურაძემაც, თუმცა სტატიის დაბეჭდვის შემდეგ მალაღურაძე თავად დაგვიკავშირდა და ინტერვიუს სურვილი გამოთქვა. მალაღურაძე მისი ცოლისძმის ნასამართლობას უარყოფს, თუმცა ადასტურებს, რომ ვასილ ბექაურმა საჯარო მოხელეების შესარჩევ კონკურსში ბარიერი ვერ გადალახა. რაც შეეხება ნეპოტიზმს, საკრებულოს მაღალჩინოსანი კახეთში გავრცელებულ ფრთიან ფრაზას ციტირებს, რომლის თანახმადაც „ცოლის ნათესავი ნათესავად არ ითვლება“.

სანამ ნუგზარ მალაღურაძესთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ, გეტყვით, რომ ამ საკითხზე განცხადება თბილისის მერიამაც გაავრცელა. ირკვევა, რომ დავით ნარმანიამ ვასილ ბექაურის საქმიანობის შესწავლა შიდა აუდიტის სამსახურს დაავალა.

„ნაძალადევის რაიონის გამგეობის ერთ-ერთი საუბნო სამსახურის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვასილ ბექაური არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ წარმომადგენელ ლევან ხაბეიშვილს ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელებისთვის სასამართლოში უჩივლებს.

ლევან ხაბეიშვილი, თბილისის მთავრობისა და თავად ვასილ ბექაურის დისკრედიტაციის მიზნით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. ბექაურს გამგეობაში წარდგენილი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ 2014 წლის 15 ოქტომბერს გაცემული ცნობა ნასამართლობის შესახებ, რომელშიც წერია, რომ ის არ არის ნასამართლევი.

მიუხედავად ამ გარემოებებისა, ვინაიდან მედიასაშუალებებით გავრცელდა ამგვარი ინფორმაცია, თბილისის მერია ვალდებულია, გადაამოწმოს ნებისმიერი ფაქტი. ამიტომაც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს საკითხის მოკვლევა უკვე დაავალა“, – ნათქვამია მერიის განცხადებაში.

**ახლა კი ვნახოთ, რას პასუხობს ბრალდებებს ვასილ ბექაურის სიძე, საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ნუგზარ მალაღურაძე:**

– ჩემი ცოლისძმა ნამდვილად მუშაობს ნაძალადევის მუნიციპალიტეტში. რაც შეეხება ნასამართლობას, ეს არის აბსოლუტური სიცრუე. ყოველ შემთხვევაში, რაც მე მათი სიძე ვარ, ანუ ბოლო 35 წლის განმავლობაში, ეს ადამიანი ნასამართლევი არ ყოფილა. ცდომილებაა იმ დოკუმენტში, რომელიც მათ გამოაქვეყნეს – არ ემთხვევა დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი და ა.შ. ასეთ ბრალდებაზე ადამიანებს ძალიან დიდ სასჯელს უსჯიან. მათ მიერ წარმოდგენილ განაჩენში წერია, რომ გასამართლება მოხდა 2010 წელს, აქედან გამომდინარე, ეს ადამიანი ახლა ან ციხეში უნდა იჯდეს, ან ამნისტიით უნდა იყოს განთავისუფლებული. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ ამნისტირებულთა სიაში და ნახავთ, რომ ჩემი ცოლისძმა ამ სიაში არ გახლავთ. მხოლოდ ნაძირალას შეუძლია ასეთი რამის დაბრალება. ნაციონალების უკუღმართი აზროვნება გაუპატიურების მეტს ვერაფერს სწვდება, რადგან თვითონ იყვნენ ადამიანების გამაუპატიურებლები და ყველაფერზე ხელის მომწერნი. რაც შეეხება ამ „გულანთებულ“ ახალგაზრდებს, ესენი არიან „ნაციონალური მოძრაობის“ ლეკვები.

**– ანუ არასამთავრობო ორგანიზაცია „მედიატორის“ უკან „ნაციონალურ მოძრაობას“ მოიაზრებთ?**

– მე გეტყვით და თქვენს მკითხველს გავაცნობ, ვინ არიან რეალურად ეს ე.წ. გულანთებული პატრიოტები: ლევან ხაბეიშვილი – წარსულში გახლდათ ისანი-სამგორის გამგეობის, ასევე, „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომელი, მუშაობდა პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც. მისი ძმა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იყო. ამავე ორგანიზაციის წევრი ბექა ოსეყმაშვილი მუშაობდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში, მათი თანამოაზრე გივი კუბლაშვილი დასაქმებული იყო დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობაში, ნათლია გახლავთ „ნაციონალური მოძრაობიდან“ საკრებულოს წევრი ირაკლი დვალი. უჩა მეგრელიშვილი – თავად დასაქმებული იყო თბილისის მერიაში, მამა და ძმა კი – საქართველოს რკინიგზაში. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ თეონა ჭელიძე, წარსულში ისანი-სამგორის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე, მისი მეუღლე გახლდათ თბილისის მერიის თანამშრომელი. ეს ადამიანები დღეს საუბრობენ ნეპოტიზმზე. რატომ არ ახსენებენ იგივე ქალბატონ სევდია უგრეხელიძეს, რომლის ოჯახის ყველა წევრი საჯარო სამსახურში მუშაობდა. რატომ ხმას არ იღებენ ირმა ნადირაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თავად პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი იყო, მისი მეუღლე კი – ჩუღურეთის გამგებელი, ერთი და რუსთავის საბავშვო გაერთიანებებში მუშაობდა, მეორე და კი საკრებულოს წევრი გახლავთ. ეს არის საკმაოდ ვრცელი სია და სირცხვილია, რომ დღეს ეს ადამიანები ჩვენ გვადანაშაულებენ ნეპოტიზმში.

**– წინა ხელისუფლების დარღვევები გასაგებია, მაგრამ ახლაც იგივე ტენდენცია გრძელდება?**

– იმ ავბედით დროს, როდესაც კრიმინალური ხელისუფლება მართავდა ამ ქვეყანას და უფსკრულისკენ მიაქანებდა, მე და ჩემი ცოლისძმის მსგავსმა ადამიანებმა თავი გავწირეთ. ყველამ კარგად იცის, სად ვიქნებოდით, სათავეში „ნაციონალური მოძრაობა“ რომ დარჩენილიყო. ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და ქვეყნის ნათელი მომავლისთვის შევებრძოლეთ კრიმინალურ ხელისუფლებას. სხვათა შორის, ჩემი ცოლისძმა „ქართულ ოცნებაში“ ჩემს მისვლამდე გაწევრიანდა. ის შტაბში ხელმძღვანელობდა იმ რაიონს, რომლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელიც გახლავთ. აქვს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი. რატომღაც არავის აინტერესებს, როგორ მუშაობს ის მუნიციპალიტეტი და მისი თავმჯდომარე. პრაქტიკულად 24-საათიან რეჟიმში ემსახურება იქ მცხოვრებ ხალხს. რომელ ნეპოტიზმზეა საუბარი. ისე, კახელებს თუ დავესესხები, ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის. ჩვენი საზოგადოების პრობლემა ის არის, რომ თვითონ ნეპოტიზმის არსი არ იციან. თუ ჩემი ცოლისძმა მხართეძოზე იქნებოდა წამოწოლილი, ავაყენებდი და დავსვამდი მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ, ეგ სხვა საკითხია, მაგრამ კაცმა მთელი თავისი რესურსი შეალია პოლიტიკურ ბრძოლას და თავისი წვლილი აქვს შეტანილი არჩევნებში.

**– რას საქმიანობდა ვასილ ბექაური „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებამდე?**

– ჰქონდა თავისი შპს და იყო მისი დირექტორი.

**– როგორც ვიცი, ის კონკურსში ჩაიჭრა, თუმცა ამის მიუხედავად, თანამდებობაზე მაინც დაინიშნა. გამოდის, „ქართული ოცნების“ აქტივისტობა საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანი თანამდებობაზე დაინიშნოს...**

– დიახ, კონკურსი ვერ გაიარა, მაგრამ ის თანამდებობაზე დაინიშნა მანამ, სანამ კონკურსი ჩატარდებოდა. კი ბატონო, შემდგომ მან ვერ გადალახა ბარიერი, თუმცა ვერც სხვა პრეტენდენტებმა მოახერხეს გასაუბრებაზე წარმატების მიღწევა. მე თავად ვიყავი ერთ-ერთი ქვეკომისიის ხელმძღვანელი. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ ყოფილიყო „ეიჩარი“, ძალიან მარტივ შეკითხვას ვერ უპასუხა – რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს პირმა, რომელიც უნდა დასაქმდეს საჯარო სამსახურში. სულ შვიდი დასახელების დოკუმენტია, რომელზეც პასუხი ვერ გასცა გასაუბრების დროს, თუმცა კონკურსზე ბარიერი გადალახა. ასევე, შემიძლია გითხრათ, რომ პიროვნებამ, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა თბილისის მერის მრჩევლის თანამდებობაზე, ვერ ჩამოაყალიბა, რა რჩევა უნდა მიეცა მერისთვის. როგორ წარმოგიდგენიათ, ეს ადამიანი უნდა დაგვენიშნა თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში ბარიერი გადალახა?! რა თქმა უნდა, ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდით.

**– თუ კონკურსში ჩაჭრილი პირი მაინც ინიშნება თანამდებობაზე, საერთოდ, კონკურსის ჩატარებას რა აზრი აქვს?**

– კი არ ინიშნება, აგრძელებს თანამდებობაზე მუშაობას, სანამ ახალი კონკურსი არ ჩატარდება. მალე ჩატარდება კონკურსი ყველა იმ ვაკანსიაზე, სადაც ასეთი კატეგორია აგრძელებს მუშაობას, მათაც და სხვებსაც ექნებათ საშუალება, ხელმეორედ მიიღონ მონაწილეობა ამ კონკურსში.

**– დაბოლოს, გკითხავთ კორუფციულ სკანდალებზე... აღიარებს თუ არა თქვენი გუნდი, რომ დღეს დედაქალაქში მართლაც არსებობს ეს პრობლემა?**

– კორუფცია და ტვინგადაბრუნებული ადამიანები ოდითგანვე არსებობდნენ. მთავარია ამის პრევენცია და ვისაც ეს წვეტიანი აზრები აწუხებს, აუცილებლად დაისჯება. ხშირად საუბრობენ იგივე ჯოკია ბოდოკიაზე. ჩემი შეფასებით, ეს ადამიანი არის ჩვეულებრივი თაღლითი.

**– თუმცა ამბობენ, რომ ეს თაღლითი, როგორც თქვენ უწოდებთ, სასამართლო პროცესზე აპირებს მერიის იმ მაღალჩინოსნების დასახელებას, რომლებიც კორუფციულ სქემებში მონაწილეობენ...**

– ეს მისი ნებაა. პირობას გაძლევთ, რომ, თუ ჯოკია ბოდოკია რომელიმე მაღალჩინოსანს დაასახელებს, ჩვენ მას აუცილებლად დავიჭერთ, რა თქმა უნდა, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი პოლიტიკური ძალა სიმპათიებს ინაშვილსა და ბურჯანაძეს უცხადებს



„გააქტიურებულია და საკმაოდ ისეთ პოზიციებზე დგას, როგორც ამ გადასახედიდან ჩანს, „პატრიოტთა ალიანსი“, ასევე აქტიურობს ნინო ბურჯანაძე. ვნახოთ, რა იქნება, ამას დრო გვაჩვენებს“

თაკო ივანიაძე

**ზაზა აგლაძე, რომელიც ზურა ტარყაშვილის გახმაურებულ მკვლელობაში ბრალდებულ ირაკლი აგლაძის მამაა და საზოგადოებას სწორედ აქედან ახსოვს, პოლიტიკურ არენაზე გააქტიურებას გეგმავს. როგორც ჩანს, პირველ ეტაპზე აგლაძე არასამთავრობო ორგანიზაციას „დედაქალაქი თბილისი ყველა უბნისთვის“ გაააქტიურებს, თუმცა საუბრიდან ირკვევა, რომ მას უფრო შორეული მიზნებიც აქვს და შესაძლოა, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარობაზეც გააკეთოს განაცხადი.**

რაც შეეხება არსებულ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობას, აგლაძეს ამ დროისთვის ზუსტი პასუხი არ აქვს, რომელი პარტია მოიპოვებს ორგანიზაციის მხარდაჭერას, თუმცა პირადი სიმპათიები „პატრიოტთა ალიანსისა“ და „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ მიმართ აქვს. ამ პარტიებთან კი გარკვეულწილად საგარეო კურსის კუთხით არსებული ხედვაც აერთიანებს. თუმცა თუ ნინო ბურჯანაძე ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ ნატოსკენ და ევროკავშირისკენ სწრაფვა არაფერს მოგვიტანს და სწორება რუსეთზე უნდა გავაკეთოთ, ამ შემთხვევაში აგლაძე ოდნავ რბილ პოზიციას იჭერს და აცხადებს, რომ საქართველო გაურკვევლობაშია, რადგან ევროპული პერსპექტივა ძალიან შორეულია, ამიტომ ფიქრობს, რომ შესაძლოა, პრიორიტეტების გადასინჯვა საჭირო გახდეს.

**ზაზა აგლაძე:**

– არის მოსახლეობის თხოვნები, ესენი არიან ჩვენი ორგანიზაციის წევრებიც და არაწევრებიც. გვთხოვენ, ჩავერთოთ პროცესში, შეძლებისდაგვარად აღმოვუჩინოთ დახმარება იმ პრობლემებში, რის წინაშეც ისინი დგებიან, დღევანდელი თბილისში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. დედაქალაქის მერია არ მუშაობს ისე, როგორც უნდა მუშაობდეს, დედაქალაქის მოსახლეობას სოციალური და ყოფითი პრობლემები აქვს.

ახლო მომავალში იგეგმება შეკრება, რომ უფრო კარგად გავიგოთ რა აწუხებს მოსახლეობას. ჩვენ ვაპირებთ დედაქალაქის ყველა რაიონში წამოვწიოთ ის საკითხები, რომლებიც ამ რაიონების მოსახლეობას აწუხებს.

ჩვენ არ ვაპირებთ გადადექის ძახილს, ეს ნაციონალებმა იძახონ, ჩვენ გვინდა ხელისუფლებას ვაკეთებინოთ საქმე. ვეცდებით, დღეს არსებული ხელისუფლება ვამუშაოთ ისე, როგორც უნდა მუშაობდნენ და იმუშაონ დედაქალაქის პრობლემების გადასაჭრელად და არა ის, რომ ფუჭი დაპირებები მოგვაწოდონ, როგორც ამას დღეს აკეთებენ.

**– მომავალ არჩევნებში თუ გეგმავთ მონაწილეობას?**

– ვნახოთ, ჯერ ადრეა იქამდე. წელიწადზე მეტი დრო დარჩა, ამას განვითარებული მოვლენები გვაჩვენებს.

**– დღეს არსებულ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომელი მათგანის საქმიანობას შეაფასებთ დადებითად?**

– არიან გამოკვეთილი პარტიები, რომლებიც რეალურად, ჩვენი ხედვით, სწორ ნაბიჯებს დგამენ. არიან პარტიები, რომლებიც, როგორც ჩანს, გააქტიურებას აპირებენ. ვის ექნება ჩვენი მხარდაჭერა, ცოტა ნაადრევია ამაზე საუბარი.

**– ამბობთ, რომ არიან პოლიტიკური ძალები, რომელთა საქმიანობასაც დადებითად აფასებთ, ვინ მოიაზრება ამ ძალებს შორის?**

– დღევანდელ მთავრობასაც არ ვფიქრობ, რომ ცუდის გაკეთება უნდა ქვეყნისთვის, მაგრამ ფაქტია, იმას ვერ ასრულებენ, რა დაპირებებიც ჰქონდათ. რაც შეეხება სხვა პარტიებს, გააქტიურებულია და საკმაოდ ისეთ პოზიციებზე დგას, როგორც ამ გადასახედიდან ჩანს, „პატრიოტთა ალიანსი“, ასევე აქტიურობს ნინო ბურჯანაძე. ვნახოთ, რა იქნება, ამას დრო გვაჩვენებს. ვინ მოიპოვებს ჩვენს მხარდაჭერას, ეს ჩვენი ორგანიზაციის ერთიანი გადასაწყვეტი იქნება, როცა მთელი ძალებით ავმუშავდებით.

**– თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ამ ორი პარტიის საქმიანობას დადებითად აფასებთ, ესე იგი არ არის მათთან თანამშრომლობა გამორიცხული?**

– ნურც ნურაფერს გამოვრიცხავთ და ნურც ნურაფერს დავუშვებთ. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ორგანიზაცია, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. ამ ორგანიზაციას აქამდე პოლიტიკური ნაბიჯები არ გადაუდგამს, თუმცა კიდევ ვამბობ, მხარდაჭერა ვის მიმართ იქნება, ამას დრო და მოვლენები გვაჩვენებს. შესაძლებელია, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნოს, თუმცა ეს რამდენად მოხდება, ჯერ არ ვიცით.

**– მინდა გკითხოთ ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით. როგორ აფასებთ დღეს არსებულ კურსს და პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბების შემთხვევაში, როგორი იქნება თქვენი საგარეო ორიენტირი?**

– რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, კურსი, რომელსაც ჩვენი ქვეყანა დღეს მიჰყვება, შესრულებულიყო. თუმცა, სამწუხაროდ, ფაქტია, დიდი შანსები არ გვაქვს, რომ მალე შევიდეთ ევროკავშირში ან ნატოში. ამისთვის დროა საჭირო. ვფიქრობთ, ქვეყნისთვის და ქვეყნის გადარჩენისთვის რომელი კურსიც უკეთესი იქნება და არა რომელიმე პოლიტიკოსისთვის, იმ კურსს დავუჭერთ მხარს. სწორი კურსი გვიჭირავს, მაგრამ, თუ შევხედეთ იმას, რომ რეალობაში 10, 15 და მეტი წელი დაგვჭირდა ევროპაში ინტეგრირებისთვის, შეიძლება გადაიხედოს. უნდა დავფიქრდეთ, რას მოგვიტანს რეალურად ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა?

# საპრეზიდენტო რეზი



ათონელზე სარემონტო სამუშაოები დაწყებულიც კი არ იყო





## ოპოზიციაში ყოფნის დროს რეზიდენციას „ბოროტებისა

ქეთი ხატიაშვილი

**ამ ისტორიაში ყველას თავისი პოზიცია და სიმართლე აქვს. გიორგი მარგველაშვილს – რომელსაც მიაჩნია, რომ საპრეზიდენტო რეზიდენციაში ყოფნით შეიძლება დაიცვა საპრეზიდენტო ინსტიტუტი. ბიძინა ივანიშვილს – რომელსაც ასევე მიაჩნია, რომ მარგველაშვილმა თამაშის წესები დაარღვია და გუნდს უღალატა.**

მეორე მხრივ, გიორგი მარგველაშვილი კლასიკური მაგალითია იმისა, როგორ იცვლება ოპოზიციიდან ვერტიკალზე გადასვლის შემდეგ მიდგომები და ფასეულობები, დამოკიდებულებები და, უბრალოდ, რეალობაც კი.



გამოდის, რაღაც მომენტში გიორგი მარგველაშვილი არჩევანის წინაშე დადგა

ოპოზიციაში ყოფნის დროს გაცილებით რადიკალურად, პრეზიდენტად არჩევის შემდეგ შედარებით რბილად და დიპლომატიურად ახსნა **მარგველაშვილმა**, რატომ არ აპირებს საპრეზიდენტო სასახლეში შესვლას და ვისი ინიციატივით:

– მე არ ვარ მომხრე, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ასეთი დიდი მოცულობის და ვფიქრობ, რომ თანხა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნდეს. (კოალიცია ქართული ოცნების) პოლიტსაბჭოზე მე წამოვაყენე წინადადება, რომ ეს იყოს უნივერსიტეტი; შემდეგ ვესაუბრე (განათლების) მინისტრს, ქალბატონ თამარს და ჩვენ ჩამოვყალიბდით შეხედულებაზე, რომ ეს უნდა იყოს ის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება... მიხარია, რომ ის ფული, რომელიც ბიუჯეტიდან დაიხარჯა, ასეთ ფეშენებელურ შენობაზე (პრეზიდენტის რეზიდენციაზე), მოხმარდება ქართველ სტუდენტობასა და ქართულ განათლებას.

ახლა რთულია, იმსჯელო, რა მიზნები ამოძრავებდა მაშინ გიორგი მარგველაშვილს – პოპულისტურ განწყობებს იყო აყოლილი თუ რეალობა, რომლის წინაშეც დადგა, მისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. ალბათ, ერთიც და მეორეც.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პრეზიდენტი რაღაც მომენტში მიხვდა, რომ კანცელარიის სამ ოთახში შეყუჟვა მის სტატუსს არ შეეფერებოდა. თანაც, ეს დრო გაუგრძელდა იმიტომ, რომ ათონელზე რემონტი ძალიან გაჭიანურდა, ამიტომაც მიიღო გადაწყვეტილება და ერთ დღესაც



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დენცია - პირადიდან პოლიტიკამდე



**გიორგი მარგველაშვილი:** „მე არ ვარ მომხრე, რომ პრეზიდენტის რეზიდენცია იყოს ასეთი დიდი მოცულობის და ვფიქრობ, რომ თანხა, რომელიც ავლაბრის რეზიდენციის მშენებლობაზე დაიხარჯა, ისევ ხალხს უნდა დაუბრუნდეს“





## მარგველაშვილმა პრეზიდენტის და გარყვნილების ბუდე“ უწოდა

საპრეზიდენტო რეზიდენციაში გადავიდა. სწორედ იქ, სადაც ახალგაზრდებს ხარისხიანი განათლება უნდა მიეღოთ.

**ვანო მაჭავარიანი**, რომელიც იმ პერიოდში პრეზიდენტ მარგველაშვილის ადმინისტრაციაში მრჩევლის პოზიციაზე მუშაობდა, „პრაიმტაიმთან“ საუბარში განმარტავს, რომ პრეზიდენტი, უბრალოდ, იძულებული გახდა, საპრეზიდენტო სასახლეში გადასულიყო:

– სხვა შემთხვევაში პრეზიდენტი საპრეზიდენტო უფლებამოსილებას ვერ განახორციელებდა. შეგახსენებთ, რომ 2013 წელს დაგეგმილი იყო საფრანგეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების პირველი პირების ვიზიტები საქართველოში. საქმე ის გახლავთ, რომ სხვა ქვეყნის პრეზიდენტების მიღების წესს საერთაშორისო პროტოკოლი განსაზღვრავს. მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი რომ შედგეს, დახვედრისა და მიღების ცერემონიალში სამხედრო კომპონენტი ჩართული უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში ვიზიტი არ შედგება და გაუქმდება. ასეთი რეალობის წინაშე აღმოჩნდა გიორგი მარგველაშვილი. რეზიდენციაში გადასვლისთვის ეს ერთ-ერთი ფაქტორი იყო. ათონელზე სარემონტო სამუშაოები დაწყებულიც კი არ იყო, იქ სერიოზული პრობლემები შეიქმნა დამკვეთსა და კონტრაქტორ ფირმას შორის და ეს პროცესი დროში გაიწელა. შესაბამისად, პრეზიდენტმა მარგველაშვილმა რეზიდენციაში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო, რომ ეს ვიზიტები არ ჩავარდნილიყო. მინდა გითხრათ, რომ ათონელზე, მაგალითად, სამხედრო აღლუმის გამართვის არანაირი საშუალება არ არის.

გამოდის, რაღაც მომენტში გიორგი მარგველაშვილი არჩევანის წინაშე დადგა – სახელმწიფო უფლება-მოვალეობების განხორციელება თუ პირადი დანაპირების შესრულება? ვანო მაჭავარიანის განმარტებით, ეს არჩევანი მან სახელმწიფოს სასარგებლოდ გააკეთა.

თავისი პოზიცია აქვს ბიძინა ივანიშვილს, რომელსაც მიაჩნია, რომ პრეზიდენტს თავისი პოზიციები უნდა დაეცვა, რადგანაც ეს მისი ინიციატივა იყო.

ზოგიერთი ექსპერტი პირად საუბრებში ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი მართალია თავის პრეტენზიებში. გიორგი მარგველაშვილი სწორედ მისი შექმნილია. ივანიშვილმა დადო მასზე ფსონი, დახარჯა საკუთარი ფინანსები და რეიტინგი, სხვებიც აიძულა მისი არჩევანი მიეღოთ. როგორც ჩანს, შემთხვევით არ შეახსენა ივანიშვილმა მარგველაშვილს თამაშის წესები. რა იგულისხმა მან აქ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მხოლოდ მათ იციან.

ეს დაახლოებით იგივეა, როცა ზურა ჟვანიამ ნინო ბურჯანაძისგან პოლიტიკური ფიგურა შექმნა. და ნინო იყო პირველი, ვინც ჟვანიას დაარტყა. მაშინაც ნინოს თამაშის წესები შეახსენეს. თუმცა უკვე გვიან იყო.

გვიანი არის თუ არა მარგველაშვილის შემთხვევაში?

ბიძინა ივანიშვილი აქცენტს სხვა მიმართულებითაც აკეთებს და ამბობს, რომ პრეზიდენტი საბიუჯეტო სახსრებს ხარჯავს. და მართლაც, თუკი ყველა სხვა ინსტიტუტსა თუ სახელმწიფო დაწესებულებას ევალებათ ბიუჯეტიდან თანხების დაზოგვა, რატომ არის პრეზიდენტი გამონაკლისი?

**ვანო მაჭავარიანის** განმარტებით, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ხარჯავს ყველა სხვა სამინისტროსთან შედარებით გაცილებით ნაკლებ ფინანსებს. ერთადერთი, რაზეც ეკონომია არ კეთდება, ეს ოფიციალური ვიზიტებია, რა დროსაც საერთაშორისო პროტოკოლით გათვალისწინებული მოთხოვნების გათვალისწინება ხდება:

– პრეზიდენტი რეზიდენციაში მხოლოდ მუშაობს, ის არ ცხოვრობს რეზიდენციაში, მოკრძალებულია და ზედმეტობების მოყვარული არ გახლავთ. იცით, რომ პრეზიდენტს რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდა, მათ შორის აჭარაში, ზუგდიდში, ყველაზე თქვა უარი, თბილისის რეზიდენცია ერთადერთია, სადაც ის მუშაობს... მინდა გითხრათ, რომ ეს შენობა არ არის პომპეზური და დიდი. ვინც ნამყოფია, დამეთანხმება. მე თვითონ ვარ მომსწრე, როცა საპრეზიდენტო რეზიდენციაში თეა წულუკიანი ან კახი კალაძე მოდიოდნენ, გაოცებულები იყვნენ ხოლმე: სულ ეს არისო, კითხულობდნენ. ასეთივე რეაქციები ჰქონდათ დეპუტატებს უმრავლესობიდან, მახსოვს მანანა კობახიძის გაოცებული სახე. რეზიდენციას ბევრი ფანჯარა აქვს, რაც ხალხს აბნევს. ამიტომაც დაპატიჟა პრეზიდენტმა პრემიერი რეზიდენციაში.

ოპოზიციაში ყოფნის დროს მარგველაშვილმა პრეზიდენტის რეზიდენციას „ბოროტებისა და გარყვნილების ბუდე“ უწოდა. მან მაშინ უკვე ამ ფრაზით დაარტყა საკუთარ იმიჯს და თუ დღეს მისი აღდგენა უჭირს, ბევრწილად იმიტომ, რომ ბევრს არ სჯერა, რომ მხოლოდ რეზიდენციაში ყოფნით შეიძლება დაიცვას საპრეზიდენტო ინსტიტუტი. და ეს გასაკვირი არ არის.

**„როცა საპრეზიდენტო რეზიდენციაში თეა წულუკიანი ან კახი კალაძე მოდიოდნენ, გაოცებულები იყვნენ ხოლმე: სულ ეს არისო, კითხულობდნენ“**



**ირაკლი ღარიბაშვილი, პრემიერი:** „საერთოდ, მე გეტყვით თქვენ, როდესაც საუბრობთ რაღაც იძულებით წესით გადაყვანაზე, ეს არის ძალიან დამაკნინებელი და შეურაცხმყოფელი სახელმწიფო ინსტიტუტების და მათ შორის პრეზიდენტის ინსტიტუტის. ეს არის ყოვლად მიუღებელი ჩემთვის, პირადად. ძალიან გთხოვთ ყველას – მედიასაშუალებებსა და ექსპერტებს, ყველას, რომ ასე არ შეიძლება ვისაუბროთ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტზე, რომ იძულებით მოხდება მისი გადმოყვანა, არამც და არამაც!

არასდროს, მეგობრებო. მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერ ადამიანის უფლებაა, ჰქონდეს საკუთარი აზრი და გამოხატოს ის. რა თქმა უნდა, ეს იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომ მან გადაწყვიტა და გადავიდა სააკაშვილის მიერ აშენებულ ნახევარმილიარდიან სასახლეში. მე თუ მკითხავთ ჩემს აზრს, მე, პირადად, ამას არ გავაკეთებდი. 100%-ით გიდასტურებთ ამას. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დღეს არ არის ისეთი სიტუაცია, რომ ჩვენ მივცეთ საშუალება ჩვენს თავს, ნახევარმილიარდიან სასახლეებში ვიცხოვროთ. მოსახლეობის ნახევარზე მეტი არის გაჭირვებული და ჩვენი პოზიცია ყოველთვის იყო ისე, რომ ამ სასახლის მიმართ იყო უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება, მათ შორის პრეზიდენტს ჰქონდა უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულება. აქედან გამომდინარე, სწორედ მაშინ დავიწყეთ ათონელის რეზიდენციის რემონტი, რომელზეც 28 მილიონი დაიხარჯა, რომელიც მთავრობამ გამოყო. რა თქმა უნდა, ეს პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს, მე მის ადგილას რომ ვიყო, ნამდვილად გადავიდოდი ათონელის რეზიდენციაში“.



**კახი კალაძე, ვიცე-პრემიერი:** „ამ თემის აჟიტირება მიზანმიმართულად ხდება. აქ გასარკვევი ან გაურკვეველი არაფერი არ არის, ყველაფერი ნათელია. საქართველოში, სადაც მძიმე სოციალური ფონია, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გვქონდეს ორი ასეთი მაღალი ტიპის რეზიდენცია, სადაც ძალიან დიდი თანხები დაიხარჯა. ჯერ იყო და პრეზიდენტის რეზიდენციაზე, თუ არ ვცდები, ნახევარი მილიარდი დაიხარჯა. იმ ფონზე, როცა ჩვენს მოსახლეობას ძალიან უჭირს, ეს იყო არასწორი. მით უმეტეს, გადაწყვეტილება იყო ათონელის რეზიდენციის დასრულებაზე, რომელშიც პრეზიდენტი მარგველაშვილიც მონაწილეობდა. დღეს გაუგებარია მისი პოზიცია, როდესაც ამბობს, რომ არ აინტერესებს ამ რეზიდენციაში გადასვლა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




# ვაკო ყაზაიშვილი მამა გახდება

**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და არნემის „ვიტესის“ თავდამსხმელი, ვაკო ყაზაიშვილი ბავშვს ელოდება.**

ორსული მეუღლის, გვანცა ნიშნიანიძის ფოტო სოციალურ ქსელში მომავალმა მამამ თავად გაავრცელა. ახალგაზრდა წყვილი უკვე სამი წელია რაც ცოლ-ქმარია და ეს მათი პირველი შვილი იქნება.

გვანცა 10 კვირის ორსულია და წყვილმა ჯერ ბავშვის სქესი არ იცის.




# გორის „დილა“ ოთარ მარცვალაძეს დაიმატებს

**როგორც „პრაიმტაიმისთვის“ გახდა ცნობილი, ქართველი თავდამსხმელი, ოთარ მარცვალაძე მალე გორის „დილას“ ფორმას მოირგებს.**

30 წლის ფეხბურთელი გორელების რიგებში ვარჯიშობს კიდეც, თუმცა მედიისთვის ეს თემა ჯერჯერობით არ გახმაურებულა.

ოთარ მარცვალაძემ რუსული „ტოსნოს“ რიგები სულ ცოტა ხნის წინ დატოვა.

შ.პ.ს "მ.შენგელიას კლინიკა"
სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი



საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის მკურნალობა

- ტანდეგობის დარღვევა (სქოლიოზი,კიფოზი)
- ბრტყელტერფიანობა
- მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობა
- ოსტეოქონდროზი
- რადიკულიტი
- იშიაზი
- დისკოპათია
- ხერხემლის მალთაშორისი დისკის თიაქარი
- ოპერაციის შემდგომი მკურნალობა
- სახის ნერვის ნევრიტი
- საჯდომი ნერვის ნევრიტი
- მიოზიტი



- ორთოპედის გასინჯვა
- ნევროპათოლოგის კონსულტაცია
- კლინიკური სპონდილომეტრია
- ბრტყელტერფიანობის დიაგნოსტიკა პლანტოგრამით
- სამკურნალო მასაჟი
- სამკურნალო ვარჯიში
- ფიზიოპროცედურები
- აკუპუნქტურა
- მანუალური თერაპია
- მიკრო ინექციები

მის.: [illegible] ქ. 23. I სართული
ტელ.: (+995) 577 745 938
(+995) 558 625 846


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დავით სირაძეს ცოლი მოჰყავს










**საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და მოლდოვური „დაჩიას“ თავდამსხმელი შეყვარებულია.**

როგორც მან ექსკლუზიურად „პრაიმტაიმს“ გაანდო, ცოლის მოყვანას ზაფხულში აპირებს.

მისი რჩეული გვანცა ჯორჯიაშვილია. წყვილი დეკემბრიდან შეყვარებულის სტატუსს ატარებს. საზაფხულო შესვენებაზე კი სირაძე დაოჯახდება.

„შენ ის ხარ, რაც ჩემს სულ აკლია სრულყოფისთვის. მადლობა სიყვარულისთვის და იმისთვის, რომ არსებობ ამქვეყნად... ჩემთვის. მიყვარხარ“, - ასე უხსნის მომავალი ცოლი სირაძეს საჯაროდ სიყვარულს.

# ნუკრი რევიშვილი საქართველოში ბრუნდება






**სანდო წყაროზე დაყრდნობით, „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ გორის „დილა“, რომელიც ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მოგებისთვის იბრძვის და ცხრილს სათავეშიც უდგას, ჩემპიონობის მოპოვების შემთხვევაში საქართველოს ნაკრების მეკარეს, ნუკრი რევიშვილს დაიბრუნებს, რომელიც ამ გუნდის ღირსებას 2013/2014 წლებში იცავდა.**

რევიშვილი ახლა რუსული „ტოსნოს“ ფეხბურთელია, მაგრამ თუკი „დილა“ ჩემპიონი გახდება და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურს მოიპოვებს, მაშინ გამოცდილი კიპერი საქართველოში დაბრუნდება.

# გიორგი მერებაშვილით საფრანგეთიც დაინტერესდა




**ბერძნული „ოფის“ ყოფილი ქართველი შემტევი, გიორგი მერებაშვილი, შესაძლოა სათამაშოდ საფრანგეთში გადავიდეს.**

კრეტას „ოფი“ ფინანსური კრიზისის გამო დაიშალა, რის გამოც მერებაშვილს ნაადრევად მოუხდა სამშობლოში დაბრუნება. იყო ნახსენები 6 ბერძნული გუნდიც, რომლებიც ქართველი ფეხბურთელით იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ, როგორც გაირკვა, ბერძნები მერებაშვილისთვის სასურველ პირობებს ვერ სთავაზობენ მას.

28 წლის შემტევის აგენტის ინფორმაციით, მერებაშვილით ფრანგული და რუმინული გუნდებიც დაინტერესდნენ და საკმაოდ რეალურია, რომ ფეხბურთელმა კარიერა საფრანგეთში გააგრძელოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაია ფანჯიკიძე: „თანამდებობიდან წასვლა ნეპოტიზმს ნამდვილად არ ნიშნავს“



## „ჩვენ გამოვიჩინეთ ის თვისებები, რომლის ნაკლებობასაც ივანიშვილი თავის გუნდში ხედავს“

exclusive

ხათუნა მგალობლიშვილი

**ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ნეპოტიზმის შემოქმედად საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი დაასახელა. ბიძინა ივანიშვილი: „მაია ფანჯიკიძის თანამდებობიდან გადადგომა ყველაზე დიდი შეცდომა იყო. გასაგებია, საქართველოში ნათესაობას პატივს ვცემთ და ვიცით, რას ნიშნავს სიძე, ცოლისდა და ა.შ. მაგრამ ამით მან დაუშვა უხეში შეცდომა. მაია ფანჯიკიძემ ამით გააფორმა ნეპოტიზმი“.**

მაია ფანჯიკიძე ბრალდებას არასერიოზულს უწოდებს და ივანიშვილს ახსენებს, რომ ალასანია და მისი გუნდი კოალიციიდან საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ გაუშვეს...

**მაია ფანჯიკიძე, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი:**

– მე ვაფასებ იმ პერიოდს, როდესაც კოალიციაში ვიყავით და ბიძინა ივანიშვილმაც იგივე აღნიშნა. როდესაც მთელი გულით და სულით ხარ ჩართული კონკრეტულ საქმეში, შემდეგ, ბუნებრივია, გული გწყდება, როდესაც ასეთი დასასრული აქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყო. მთავარი ამაში ისაა, რომ კოალიციიდან წამოსვლა არც ჩვენი ინიციატივით მომხდარა და არც ჩვენი სურვილით, შევახსენებ ყველას, რომ ალასანია მოხსნეს. ასე რომ, ირაკლი ალასანიას არანაირი ბერკეტი არ ჰქონია. ჩვენი კოალიციიდან გამოყოფა გამოიწვია იმან, რომ ძალიან დიდ უსამართლობას შევეჯახეთ. ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ გაუკვირდა, მისი გუნდიდან რომ არავინ გამოესარჩლა და სოლიდარობა არ გამოუცხადა, არადა ეს არის სწორედ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენ ვიცით, რა არის მეგობრობა, პრინციპების ერთგულება და სოლიდარობა. ფაქტობრივად, ჩვენ გამოვიჩინეთ ის თვისებები, რომლის ნაკლებობასაც ივანიშვილი თავის გუნდში ხედავს.

**– ივანიშვილმა განაცხადა, რომ ნეპოტიზმი სწორედ თქვენ გააფორმეთ...**

– ამ შეფასებაზე შემიძლია მხოლოდ გავიცინო, რადგან აქამდე ნეპოტიზმი სხვა რამე მეგონა, ახლა ახალი ნიუანსი მიემატა. ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილის ამ შეფასებაზე სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან თანამდებობიდან წასვლა ნეპოტიზმს ნამდვილად არ ნიშნავს.

**– თქვენი გუნდის წევრები ბიძინა ივანიშვილსა და უმრავლესობის წევრებს ბრალს დებენ დეზინფორმაციის გავრცელებაში, თითქოს თქვენ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანებას გეგმავთ... თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ დეზინფორმაციაა?**

– „თავისუფალი დემოკრატები“ არჩევნებში დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას და მეტსაც გეტყვით, დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას მივიღებთ და გავიმარჯვებთ.

**– ფიქრობთ, რომ „ქართულ ოცნებაზე“ მეტ ხმას აიღებთ?**

– დარწმუნებული ვარ.

**– ბუკა პეტრიაშვილი საზოგადოებას „სიურპრიზს“ დაჰპირდა. შეგიძლიათ, გვითხრათ პარტიის ახალი სახეების შესახებ?**

– კონკრეტულ სახელსა და გვარს ვერ დავასახელებ, თუმცა გეტყვით, რომ ჩვენი პარტიის წევრების რაოდენობა ძალიან გაიზარდა ბოლო თვეების განმავლობაში, ძალიან ბევრი მორბის პარტიაში გასაწევრიანებლად.

**– საზოგადოებისთვის ცნობილი პიროვნებები არიან?**

– ბევრი საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანია, ზოგი უცნობია, ძალიან მალე წარვუდგენთ საზოგადოებას ჩვენი პარტიის ახალ სახეებს.

**– „ქართული ოცნებიდან“ ხომ არ გადმოსულა ვინმე?**

– არა, ასეთი რამ არ მომხდარა. ჩვენი პარტიის მომავალი წევრების უმრავლესობა არასოდეს ყოფილა სხვა პარტიაში და ახლა გადაწყვიტა პოლიტიკაში ჩართვა.

# პუტინის სასახლე შავი ზღვის სანაპიროზე

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ოცი საკუთარი სასახლის, ვილისა და რეზიდენციის მესაკუთრეა. შედარებისთვის: ამერიკის პრეზიდენტის საკუთრებაში ორი რეზიდენციაა, ამავე რაოდენობის ქონებას ფლობს გერმანიის პრეზიდენტიც. იტალიის პრეზიდენტს მხოლოდ სამი სასახლე აქვს.**







კორუფციასთან ბრძოლის ფონდის თანამშრომელმა, გიორგი ალბუროვმა, რომელიც რუსი ოპოზიციონერის ალექსანდრე ნავალნის თანაგუნდელია, გამოაქვეყნა პუტინის ახალი სასახლის ფოტო, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე, კელენჯიკში შენდება. როგორც ცნობილი ხდება, სასახლის ღირებულება 30 მილიარდ რუბლს შეადგენს, რაც ერთ მილიარდ დოლარს უდრის. როგორც ამბობენ, სასახლის მშენებლობა გასაიდუმლოებული იყო, თუმცა მისი არსებობა ქვეყნიდან გაქცეულმა ბიზნესმენმა, პუტინის ყოფილმა მეგობარმა სერგეი კოლესნიკოვმა გაამჟღავნა. იტალიური სტილის სასახლეს უზარმაზარი გალავანი აქვს, ტერიტორიაზე შენდება ცალკე შენობები გამაჯანსაღებელი კომპლექსისთვის, მოედანი სამი ვერტმფრენისთვის, „ჩაის სახლი“, სანაპირომდე მისასვლელი გვირაბი... როგორც ამბობენ, პუტინი პირადად აკონტროლებს მშენებლობის დეტალებს, ხოლო მშენებლობის ფინანსებს მისი მეგობარი განაგებს.

მშენებლობას კომპანია „ინვესტრსტროი“ და მისი ხელმძღვანელები, ტატიანა კუზნეცოვა და ინა კოლპაკოვა ახორციელებენ. ინა კოლპაკოვას მეუღლეა ალექსანდრე კოლპაკოვი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. მანამდე ის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურს ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება ტატიანა კუზნეცოვას, მის სახელზე ფიქსირდება მიწა კელენჯიკში, პირდაპირ პუტინის სასახლის გვერდით. მათი „მეზობელია“ ლანფრანკო ჩირილო – იტალიელი არქიტექტორი, რომელმაც პუტინის სასახლე დააპროექტა.

რუსულ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ 2015 წლის მარტამდე სასახლის მფლობელი რომან ზოლოტოვი, ვიქტორ ზოლოტოვის შვილი იყო. ვიქტორ ზოლოტოვი პრეზიდენტთან დაახლოებული პირია, რომელიც ცამეტი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურს. როგორც ჩანს, ზოლოტოვებმა საკუთარი ქონება გაყიდეს, უფრო კი გააჩუქეს...






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# 8 წლის ლექსო ბოჟაძის საერთაშორისო აღიარება

# ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა ქართველ ბავშვს „წლის მოქალაქის“ ჯილდო გადასცა









## „112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია“

მირიან ბოქოლიშვილი

**საქართველომ ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ყოველწლიურ დაჯილდოებაზე „განსაკუთრებული მოქალაქის“ ნომინაციაში გაიმარჯვა. საქართველოს „112“-ს, ხუთ სხვა ქვეყანასთან ერთად, ჯილდო გადაეცა განხორციელებული საქმიანობისთვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა და ხელი შეეწყო საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.**

საქართველოდან 8 წლის ლექსო ბოჟაძეს „წლის მოქალაქის“ ჯილდო გადასცეს, ვინაიდან მან საკუთარი დედის სიცოცხლე გადაარჩინა იმით, რომ იცოდა, სად უნდა დაერეკა და როგორ მოქცეულიყო გადაუდებელი შემთხვევის დროს. ქართველ მცირეწლოვანს ჯილდო პირადად ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა ადინა იოანა ვალეანმა გადასცა.

2014 წლის 27 თებერვალს, ღამის 4 საათზე, „112“-ში 8 წლის ლექსო ბოჟაძის მიერ ზარი განხორციელდა. ჩაძინებული ბავშვი ხმაურმა გამოაღვიძა. პატარამ აღმოაჩინა, რომ მისი დედა იატაკზე, უგონო მდგომარეობაში იწვა. ბიჭუნას გარდა, სახლში არავინ იმყოფებოდა. ის შეეცადა დედის გონზე მოყვანას, წყალს ასხამდა სახეზე და ეძახდა, რომ გონზე მოეყვანა, თუმცა ვერაფერს გახდა.

ძალიან მალე ლექსო მიხვდა, რომ დედის უგონო მდგომარეობაში ყოფნა ბინაში არასწორად დამონტაჟებულმა გაზის გამათბობელმა გამოიწვია. პატარა არ დაიბნა, გამორთო გამათბობელი, გადაკეტა გაზის მილი და გამოაღო ფანჯარა, რათა ოთახი გაენიავებინა.

როგორც თავად ლექსო ყვება, სწორედ ამ დროს გაახსენდა სკოლაში ჩატარებული გაკვეთილი გადაუდებელი დახმარების ნომრის – „112“-ის შესახებ. პატარა არ დაიბნა და დედის გადასარჩენად „112“-ს დაუკავშირდა.

8 წლის ბავშვმა „112“-ის ოპერატორს განუმარტა, რომ მისი 27 წლის დედა, მარინა მჭედლიშვილი, იყო უგონო მდგომარეობაში, გაზით ინტოქსიკაციის შედეგად და ესაჭიროებოდა გადაუდებელი დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ ლექსო საკმაოდ აღელვებული იყო, არ დაიბნა და ოპერატორს დეტალურად მიაწოდა საჭირო ინფორმაცია, რათა მაქსიმალურად დროულად და ოპერატიულად აღმოეჩინათ დახმარება მისი დედისთვის. ლექსომ ზუსტად უკარნახა ოპერატორს მისამართი და უთხრა, რომ ის იმყოფებოდა ქალაქ თბილისში, ჭონქაძის #27-ში, მე-4 სართულზე. ასევე, იმისთვის, რომ დახმარების ბრიგადებს გაადვილებოდათ დანიშნულების ადგილზე მისვლა, პატარა ბიჭმა „112“-ის ოპერატორს აღუწერა მიმდებარე ტერიტორია და სახლთან მისასვლელად მოკლე გზაც ასწავლა.

ლექსომ აუხსნა „112“-ის ოპერატორს, რომ ბინის პირველი სართული ბოქლომით იყო დაკეტილი და თვითონ ვერ გადიოდა საკუთარი სახლიდან, რათა ქვედა სართულის ბოქლომი გაეღო, ამიტომ ბავშვმა გადაწყვიტა, რომ ადგილზე მოსულ ბრიგადას გასაღებს ფანჯრიდან გადაუგდებდა.

გადაუდებელი სამსახურების ბრიგადების ადგილზე მისვლამდე პატარა ბიჭი კვლავ ცდილობდა დედის გონზე მოყვანას. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი და საშინელი ყინვა იყო, პატარას საკუთარ თავზე არ უფიქრია, დედას თბილი პლედი მოახვია, თავად კი ღია ფანჯრებში ელოდებოდა სასწრაფო დახმარებას.

ძალიან მალე გამოჩნდა სახლთან გადაუდებელი დახმარების ბრიგადა. ლექსომ მათ ბოქლომის გასაღები გადაუგდო, შემდგომ კი მაშველებმა შეძლეს ბინის კარის შემტვრევა. სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა მყისიერად გადაიყვანეს ლექსოს დედა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მას შესაბამისი დახმარება აღმოუჩინეს.

ამ ისტორიით 8 წლის ბიჭი გმირად იქცა და საერთაშორისო ღონისძიებაზე „წლის მოქალაქის“ ჯილდოც დაიმსახურა.

„ეს არის დიდი სიამოვნება და პატივი, რომ დავაჯილდოვო მიღწევებისთვის ორგანიზაციები, მამაკაცები, ქალები და ბავშვები, რომელთა ქმედებებმა და ჩართულობამ ხელი შეუწყო „112“-ის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და ცნობიერების დონის ამაღლებას მთელ ევროპაში. ამისთვის ისინი იმსახურებენ ჩვენი მხრიდან აღიარებასა და აღტაცებას. ვულოცავ ყველა გამარჯვებულსა და ნომინანტს, მათ შეძლეს და ჩვენც უფრო მოტივირებულები ვართ, რომ წვლილი შევიტანოთ საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“, – განაცხადა **ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა ადინა იოანა ვალეანმა**.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველო „განსაკუთრებული მოქალაქის“ ნომინაციაში გამარჯვებულად შერჩევის პირველივე ეტაპზე, ყოველგვარი ხმის მიცემის პროცედურის გარეშე დასახელდა.

„112“-ის დანიშნულებისა და მისი გამოყენების შესახებ ბავშვების ინფორმირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა იცოდნენ, ნომერი „1-1-2“ რისთვის, როგორ და რა შემთხვევაში გამოიყენონ. პატარა ლექსოს ინფორმირებულობამ, როგორ მოქცეულიყო გადაუდებელ შემთხვევაში, მისი დედის სიცოცხლე იხსნა“, – აღნიშნა **„112“-ის დირექტორის მოადგილე თეა გზირიშვილმა**.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA-European Emergency Number Association) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1999 წელს შეიქმნა, ბრიუსელში. ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის – „112“-ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობის ხელშეწყობა. EENA 80-ზე მეტი ქვეყნის 1000-მდე გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენელს, 15 საერთაშორისო ასოციაციას/ორგანიზაციას, ევროპარლამენტის 150-ზე მეტ წევრსა და 70 მკვლევარს აერთიანებს. საქართველო ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი 2013 წლის 3 სექტემბერს გახდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შოთიკო ტატიშვილი: „არ მინდა, რომ წარმატ

# შოთიკომ „X ფაქტორში“ 12 კილო დაიკლო

**my View**
**თამარ გონგაძე**

**შოთიკო ტატიშვილზე „X ფაქტორამდე“ მსმენოდა. ოთარ ტატიშვილის ცოლ-შვილი „პრაიმტაიმმა“ საზოგადოებას დაახლოებით ოთხი წლის წინ გააცნო. ზუკა და შოთიკო იუმორისტს პირველი ქორწინებიდან ჰყავს. დრო გავიდა, ბიჭები გაიზარდნენ და წარმატებებს დამოუკიდებლად აღწევენ. ზუკა 22 წლისაა, შოთიკო - 18-ის. მუსიკით პატარაობიდან დაინტერესდნენ. შოთიკო 5 წლიდან მღერის, ზუკას ქორეოგრაფიულ ანსამბლში თავისი სოლო პარტია ჰქონდა, დოლზე უკრავდა. „შოთიკო თავის ოთახში ჩაიკეტებოდა, არავის უშვებდა. ოთახიდან კი მუსიკის მაღალი ხმა გამოდიოდა, თვითონ განცდებში იყო. მერე ვოკალზე დადიოდა, რეპეტიციობდა. სანამ დრამი ელირსებოდა, ძველ ქვაბებზე უკრავდა, სხვადასხვა ხმები რომ მიეღო, ქსოვილებს აკრავდა. გვქონდა ერთი დოლი. მე ცეკვაზე დავდიოდი და იქ ვუკრავდი. შოთიკოს დასარტყამი ინსტრუმენტი ჩემგან შეუყვარდა. მის მუსიკისადმი სიყვარულში ჩემი დამსახურებაც არის. მერე ტამტამი ვიყიდეთ. დაიწყო დაკვრა და ძალიან მოეწონა. ევროვიზიაზე კონგები აჩუქეს. მერე უკვე დრამი სეტიც ელირსა :)“, - იცინის ზუკა ოთხი წლინახევრით უმცროს ძმაზე.**

შოთიკო პირველი „ანა-ბანელია“. მონაწილეობდა საბავშვო მუსიკალურ პროექტში „12 მტრედი“, მერე იყო „ევროვიზია“, „სლავიანსკი ბაზარი“, „ალმა ატა“. რვაწლიანი პაუზის შემდეგ კი სცენაზე ისევ გამოჩნდა, ყველაზე მაგარ მეგაშოუში. „X ფაქტორში“ ბაბუს თხოვნით მიიღო მონაწილეობა. პირველმა კასტინგმა შოთიკო ხალხს გააცნო, მოიხიბლა ჟიური. პროექტის „ფეისბუქის“ გვერდზე დღესდღეობით მისი ფოტო „ლაიქებით“ ლიდერობს. სულ დადებითი გამოხმაურება აქვს. ბიჭი, რომელიც ბავშვობაში კლასიკურ მუსიკას უსმენდა (ჩაიკოვსკის, ბახს, ბეთჰოვენს მოცარტს) და ფანქრებით დირიჟორობდა, დღეს მიიჩნევს, რომ მისთვის სიმღერა უფრო პრიორიტეტულია. თუმცა დასარტყამი ინსტრუმენტიც არანაკლებ უყვარს.

**„დამიწერეს, მსუქანი არისო :) ფეხს ფეხზე ვერ ვიდებდი, 97 კილო ვიყავი. მაგრამ უკვე დავიკელი. სწორად ვიკვებები და მათ ჯიბრზე კიდევ დავიკლებ“**

**„გამოსწორების შანსს სულ მაძლევდა ხოლმე. მაგრამ მე მაინც ისეთი რამ გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა. მაგრად მეჩხუბა, მეც თავი დავხარე და ასე დავშორდით“**

**ეკა არჩვაძე: „მე მხოლოდ დედა არა, მათი დიდი მეგობარი ვარ. ნებისმიერ თემას სამივე ერთად განვიხილავთ. ტელეფონით მუდმივად ვკონტაქტობთ. ეკას რომ დამიძახებენ, ყურში ცუდად მხდება“**







**„დედა ახალგაზრდა გოგო იყო, 22 წლის, როდესაც ის და მამა გაიყარნენ, მაგრამ დედას მას შემდეგ გათხოვებაზე არ უფიქრია და ცხოვრება ჩვენ მოგვიძღვნა. რაც კი რამ წვლილი მიუძღვით ჩვენდამი ჩვენს ოჯახის წევრებს, ჩვენ არაფერს დავუკარგავთ, დედას განსაკუთრებით“**

**ეკა არჩვაძე (დედა):**

- დრამი ეზოში ჩაჰქონდა, ხან სადარბაზოსთან ვნახულობდი, ხან ქუჩაში, აქეთ-იქით დაატარებდა, ნაწილებად შლიდა და ისე ჩაჰქონდა. გიტარა ხომ არ არის, რომ დაატარებ-მეთქი, ვეუბნებოდი. მერე დრამი „გავუშვით“ ბებოსთან და ბაბუსთან კერძო სახლში.

**შოთიკო:**

- და იქ ვურახუნებ ჩემთვის. სხვათა შორის, იქ სტუდიის გაკეთება გვინდა. მაგრამ ჯერ ჩვენს ბინაში დავიწყეთ საოჯახო სტუდიის მოწყობა.

**ზუკა:**

- ჩვენი სამოყვარულო სტუდიით მალე შევაწუხებთ მეზობლებს, ვიყიდეთ სტუდიური მონიტორები, საუნდ კარტა და ავეწყობით. მერე თუ კარგად გამოგვივიდა...

**შოთიკო:**

- ბიზნესსაც დავიწყებთ :) სხვათა შორის, კარგი მეზობლები გვყავს. დრამი რომ წავიღეთ, რატომ აღარ უკრავთო, გვითხრეს. სიმთვრალეში ღამეც დამიკრავს, მაგრამ არავის უსაყვედურია.

შოთიკო იხსენებს რვა წლის წინ „სლავიანსკი ბაზარზე“ ყოფნისას დრამზე პირველად სახალხოდ როგორ დაუკრა.

**შოთიკო:**

- მაშინ „ბაბნიკი“ ბავშვი ვიყავი, 10 წლის, და მინდოდა ახლოდან მენახა მომღერალი რუსლანა. კულისებში ავიღე ყვავილები, თაიგული გავაკეთე, ავედი შუა კონცერტზე და ჩემს დისკთან ერთად მივართვი. შენ მღერიო? - მკითხა. ვმღერი, მაგრამ შემიძლია „უდარნიკზეც“ დავუკრა-მეთქი, ვუპასუხე, რადგან სიმღერა უკვე ყელში მქონდა ამოსული. შეგიძლია ჩვენთან ერთად დაუკრაო? კი-მეთქი. ყველაზე დიდი ემოცია იქ დამეუფლა. მე ვუკრავდი და 17 ათასი მაყურებელი ამფითეატრში ფეხზე წამომდგარი ტაშს მიკრავდა.

„X ფაქტორის“ კონკურსანტი ასევე ღიმილით იხსენებს, როგორ მიიწვია რობერტ სტურუამ ვისოცკის 70 წლის საიუბილეო საღამოზე. ერთადერთი ბავშვი იყო, რომელმაც ვისოცკის სიმღერა შეასრულა, მაშინ 12 წლის იყო. „პირველი ჰონორარი მაშინ ავიღე, 250 დოლარი. და ველოსიპედის ფულს დავამატე :) დისკების ფლაერებში დიდი მომღერლების ჩამონათვალში ჩემი სახელი და გვარიც იყო. წარმოიდგინეთ ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, თამრიკო ჭოხონელიძე, მსახიობი ნიკო გომელაური და მე...“

დიდი ადრენალინი და ნერვიულობა იყო „X ფაქტორის“ პირველ კასტინგზე. დამამშვიდებლების დალევა მოუხდა, რომ სცენაზე დამშვიდებული გასულიყო.

**შოთიკო:**

- სიმღერა რომ დავიწყე, თვალზე ბინდი გადამეკრა. ნერვიულობისგან პირი გამშრალი მქონდა, ტუჩები დამეწება. აქამდე, თანაც ამდენწლიანი პაუზის შემდეგ, ამდენი მაყურებლის წინ არ გამოვსულვარ. მაგარი ემოცია მივიღე ფილარმონიის დარბაზიდან. პატარა გოგონები და ბიჭები მოდიოდნენ, რა მაგარი ხარო, მეუბნებოდნენ. ანრის ფრაზა - ეს იყო ნამღერი - ჩამრჩა. გიორგიმაც კარგად შემაფასა - შენი ხმით ისე ლავირებდი, როგორც გინდოდაო. მეორე გამოსვლაზე არც მინერვიულია.

**ზუკა:**

- მე მგონი შოთიკოზე მეტად მე ვნერვიულობდი. მობილურზე ნამღერი ჩავიწერე და მერე მოვუსმინე, თორემ ისეთ ემოციებში ვიყავი, ცოცხლად ნამღერი ნერვიულობისგან ვერ მოვისმინე. იმპროვიზაციულად შეასრულა. ამაზე ძალიან ავღელდი.

**შოთიკო:**

- სხვათა შორის, წლევანდელი „იქსფაქტორი“ მონაწილეების თვალსაზრისით წინას სჯობს. დიდი კონკურენციაა.

**ეკა არჩვაძე:**

- შოთიკო არ იმჩნევს, რომ ნერვიულობს. დამამშვიდებელს დაგალევინებ-მეთქი, ვეხვეწებოდი. პარკში ჩავყარე ვალერიანი და ნოშპა და პიჯაკის ჯიბეში ჩაგიგდებ-მეთქი, ვთავაზობდი. უკეთესადაც შეეძლო გამოსვლა, მაგრამ მღელვარებამ იმოქმედა. თუმცა მე უკმაყოფილო არ ვარ, რამდენიმე დღეში მოამზადა სიმღერა. მანამდე რამდენჯერაც მოვუსმინე ნამღერს ყოველ ჯერზე სხვადასხვანაირად მღეროდა. სულ სხვა იმღერა სცენაზე. ბავშვობიდან ასეა. რაღაცას ცვლიდა ნამღერში, შინაგანად ასე მომდის, არ მინდა დაზეპირებული ფრაზები, ჩარჩოში ნუ ჩამსვამთო. რითიც შემიძლია ხელს ვუწყობ. მიზანდასახულია. თუმცა ცოტა ზარმაცი. მე ვუგეგმავ რაღაცებს და მისი სიზარმაზეც, ალბათ, ამის ბრალია. ამოქოქვა უნდა, მერე თავისით მიდის. აქ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ებას მამის პოპულარობის ხარჯზე მივაღწიო“




„ვერასდროს შევეგუებოდი, რომ დედა გათხოვილიყო. ამას არც ახლა შევეგუები. ცოლებს რომ მოვიყვანთ, ეკას ძაღლს ვუყიდით“



ზუკა ტატიშვილი: „მიყვარს მამასთან ერთად დალევა. ბევრს ვერთობით. ერთად როცა ვართ, ერთნაირები ვხდებით. გარემოს არ აქვს მნიშვნელობა“

ვს სიუპრიზები, დარეკავს, მე დავიწყე მუშაობა, ხელი ხელშეკრულებას მოვაწერეო. „ახალ ხმაში“ რომ მუშაობდა, იქ დიდ სიამოვნებას იღებდა, თქვა. დამოუკიდებელია, მაგრამ მე მაინც ყველაფერში ვერევი. შვილების შესახებ ზედმეტად მეტი მინდა ვიცოდე. მე მხოლოდ დედა არა, მათი დიდი მეგობარი ვარ. ნებისმიერ თემას სამივე ერთად განვიხილავთ. ტელეფონით მუდმივად ვკონტაქტობთ. ეკას რომ დამიძახებენ, ყურში ცუდად მხდება. ძმები სხვადასხვანაირები არიან. შოთიკო ზედმეტად აქტიურია. მისი სახლში ყოფნა იგრძნობა. თუ შინ მე და ზუკა ვართ, სიმშვიდეა, შოთის დროს სახლი ბობოქრობს.

შოთიკო თვლის, რომ ამ პროექტში დიდი გამოცდილება მიიღო. სცენაზე თავს თავისუფლად ვგრძნობო. ასევე სურს გერმანულ მუსიკალურ პროექტში - „სუპერ სთარში“ მიიღოს მონაწილეობა.

„ძალიან მაგარი პროექტია, ყველა ტური სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. სადაც ჩადიხარ, იმ ქვეყნის სიმღერას მღერი. ახლა მეექვსე სეზონი მიმდინარეობს. ამ პროექტში არც ერთხელ გერმანელს არ მოუგია. თებერვალში, ეგვიპტეში დასვენებისას, სასტუმროს მუსიკალურ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. კონკურსს ერქვა „დი ფაქტორი“. რატომაც არა-მეთქი, მივიღე მონაწილეობა და მოვიგე. სასტუმროს არანაკლებ ფილარმონიის ხელა საკონცერტო დარბაზი ჰქონდა. როგორც გამარჯვებულისთვის სასტუმროში ჩემთვის ყველაფერი უფასო იყო. რაც არ უნდა მეჭამა, სპა სალონები გამომეყებინა, არაფერში ფულს არ ვიხდიდი...“

შოთიკო კავკასიის ბიზნესსკოლაში ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობს. კორპორატიულ საღამოებს აკეთებს და ასევე მიჰყავს ხოლმე.

**- მოგეწონა პოპულარობა?**

- რატომაც არა. თავისი ხიბლი ჰქონია. ისე კი მამის სახელით პოპულარობას მირჩევნია სულ არ ვიყო პოპულარული. მინუსი ის არის, ცუდს თუ დაწერენ „ფეისბუქზე“, ისიც მცირე დოზით. მე ამას არ განვიცდი. ჩემი გამოსვლის მეორე დღეს - სამშაბათს, „ფეისბუქზე“ 1400 დამატება, 17 ათასი შეტყობინება და 30 ათასი წერილი დამხვდა. დამიწერეს მსუქანი არისო :) მაგრამ უკვე 12 კილო დავიკელი. სწორად ვიკვებები და მათ ჯიბრზე კიდევ დავიკლებ. ფეხს ფეხზე ვერ ვიდებდი, 97 კილო ვიყავი. ერთმა დაწერა, ამ შოუში იმიტომ მოხვდა, რომ ოთარ ტატიშვილის შვილიაო...

**- ჯერ ამას იტყვიან, რადგან დამწყები ხარ, შეეგუე. მერე უკვე შენზეა დამოკიდებული, როგორ გამოხვალ ამ სახელის ჩრდილიდან.**

- მე მეამაყება, რომ მამაჩემი ასეთი წარმატებული კაცია და ჩემზე ამბობენ, ოთარ ტატიშვილის შვილიაო. მამა საზოგადოებას ძალიან უყვარს. მე, უბრალოდ, არ მინდა წარმატებას მისი პოპულარობის ხარჯზე მივაღწიო.

**ზუკა:** გულდასაწყვეტი ისაა, შენი შრომით მიაღწევ რაღაცას და ეს მიღწევა „ბრალდება“ ცნობილ მამას.

შოთიკომ კი თავად აღიარა პატარაობიდან „ბაბნიკი“ ვაროო, მაგრამ მის ცხოვრებაში არსებობს გოგონა, რომლისადმი გაჩენილმა გრძნობამ არასერიოზულ ურთიერთობებზე „ხელი აალებინა“. ამ გოგონამ თავდაპირველად „ფეისბუქზე“ მოხიბლა, შოთიმაც მეგობრებში დაამატა. მერე ერთმანეთს საბავშვო „ახალ ხმაში“ შეხვდნენ, ბიჭი ხმის პროდიუსერის ასისტენტი იყო, გოგონა მონაწილეობდა. მის ვინაობას შოთიკო პრესაში არ ამხელს. უკვე ნახევარი წელია დაშორებულები არიან, შეყვარებულ ბიჭს შერიგების იმედი აქვს.

„გამოსწორების შანსს სულ მაძლევდა ხოლმე. მაგრამ მე მაინც ისეთი რამ გავაკეთე, რაც არ უნდა გამეკეთებინა. მაგრად მეჩხუბა, მეც თავი დავხარე და ასე დავშორდით“.

**- შოთიკო, ერთ ინტერვიუში დედაზე წერ, „ეკატერინე არჩვაძე, პელე გოგოა. რაც კი ჩემსა და ჩემს ძმაში დევს, უმეტესობა დედაჩემის დამსახურებაა. ადრე რაღაცები მოხდა, მამა და დედა დაშორდნენ და დედამ თავისი ყველანაირი ენერგია და ძალა ჩვენში ჩადო. მამა უცხოეთში იყო, დედამ თავისი პირადი დაივიწყა, აღარ გათხოვილა და ჩვენ მოგვიძღვნა თავი“. დედას ამ ყველაფერს უფასებ.**

- დედა ახალგაზრდა გოგო იყო, 22 წლის, როდესაც ის და მამა გაიყარნენ, მაგრამ დედას მას შემდეგ გათხოვებაზე არ უფიქრია და ცხოვრება ჩვენ მოგვიძღვნა. ეს ბაბუას და ბებიას დამსახურებაა. მათ დედა სწორად აღზარდეს. რაც კი რამ წვლილი მიუძღვით ჩვენდამი ჩვენს ოჯახის წევრებს, ჩვენ არაფერს დავუკარგავთ, დედას განსაკუთრებით. ვმეგობრობთ დედასთან და მის მეგობრებთანაც. ვერასდროს შევეგუებოდი, რომ დედა გათხოვილიყო. ამას არც ახლა შევეგუები. დედა ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე სხვას. ცოლებს რომ მოვიყვანთ, ეკას ძაღლს ვუყიდით.

**ეკა არჩვაძე:** ვერ ვიტან ძაღლს.

**შოთიკო:** მაშინ კატას.

**ეკა:** ვერც კატას.

**შოთიკო:** მაშინ ჩემს ერთ შვილს დაგითმობ.

**ზუკა:** სხვაზე ადვილად ვლაპარაკობ, გათხოვდეს, აბა, რა, რომელი საუკუნეა-მეთქი, მაგრამ დედაზე რომ მიდგება ჯერი, უკან ვიხევ, არა-მეთქი.

**შოთიკო:** ეს უკვე ჩვენთვის, ჩვენი თავმოყვარეობის საკითხია...

**- მამასთან მეგობრობთ?**

**ზუკა:** ვმეგობრობთ. სადმე თუ სვამს და მეც ცალკე ასეთ ამბავში ვარ, დავურეკავთ ერთმანეთს და ვერთიანდებით. გვაქვს შეკრების დღეები. მიყვარს მამასთან ერთად დალევა. ერთად ბევრს ვერთობით. ერთად როცა ვართ ერთნაირები ვხდებით. გარემოს არ აქვს მნიშვნელობა.

**შოთიკო:** სუფრასთან ჩვენი ხუმრობები გვაქვს. უცხო რომ ვერ გაიგებს ისეთი.

**- რომელი ჰგავხართ მამას?**

**ზუკა:** ფიზიკურადაც და ხასიათითაც მე ვგავარ. დედას რომ არ მოსწონს ისე როცა მოვიქცევი, სუფთა მამაშენი იყავი ახლაო, მეტყვის. ცვალებადი ვარ, ჩემებური.

**შოთიკო:** გოგოებშიც ასეთი ცვალებადია. ნახე აბა როგორი გოგოაო, მეტყვის. მეორე დღეს რომ ვეკითხები, რა ხდება-მეთქი, აღარ მომწონსო მპასუხობს.

**- ზუკა, შენ რას მოღვაწეობ?**

**ზუკა:** სამედიცინო ინსტიტუტში ჯანდაცვის მართვის ფაკულტეტი დავამთავრე. სტაჟირებას ჯანდაცვის სამინისტროში რეგულირების სააგენტოში (კონტროლის დეპარტამენტში) გავდივარ. მაგისტრატურაზე ვსწავლობ. მერე მინდა საზღვარგარეთ ჰოსპიტალური მენეჯმენტის კურსის გავლა. შეიძლება მუსიკალური ხაზითაც ჩავაბარო, საკომპოზიციოზე. ვნახოთ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ძიძა, რომელიც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვზე ორი



ხათუნა მგალობლიშვილი

**შესწავლილი სამოცდაერთი ბაგა-ბაღიდან 70%-ში – ფსიქოლოგიური, ხოლო 40%-ში ფიზიკური ძალადობისა და სასჯელების გამოყენების ფაქტები დაფიქსირდა. გამოკითხულ მასწავლებელთა 30% ბავშვის დასჯის ფორმად – საკვების შემცირებას, 70% კი თამაშის აკრძალვას იყენებს. დასჯის ასეთ ფორმებს წარმატებით ახორციელებენ ქუთაისის მეცამეტე, მეჩვიდმეტე და წყალტუბოს ნომერ პირველ ბაღში. კვლევა „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერებისა“ და „Unicef“-ის მიერ მომზადდა.**

რაც შეეხება ფიზიკურ ზეწოლას, ის თბილისში, კერძო ბაღში დაფიქსირდა. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვზე, მისივე მშობლის განცხადებით, ძიძა ორი კვირის განმავლობაში ძალადობდა და დამნაშავე დღესაც დაუსჯელია.

ფაქტზე რეაგირება გაბრიელის მშობლებმა მაშინვე მოახდინეს, ნაცემ 4 წლის ბიჭუნას ექსპერტიზა დამოუკიდებლად ჩაუტარეს და ბაღის წინააღმდეგ სარჩელიც შეიტანეს, თუმცა გამოძიება, როგორც თამუნა იარაჯული აცხადებს, მიზანმიმართულად წელავს პროცესს. ეჭვის დასადასტურებლად გამოძიების მხრიდან ნივთმტკიცების ორი თვის დაგვიანებით ამოღებას ასახელებს, მაშინ როდესაც შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ნივთმტკიცების ამოღება ცხელ კვალზე უნდა მომხდარიყო... დაზარალებული ბიჭუნას მშობლებმა ექსპერტიზა საკუთარი ინიციატივით ჩაატარეს და დამტკიცდა, რომ ბავშვს მრავალჯერადი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული, მათ შორის ბლაგვი საგნით. მოგვიანებით, ანალოგიური დასკვნა დადო უკვე გამოძიების მიერ ჩატარებულმა ექსპერტიზამაც.

**თამუნა იარაჯული, 4 წლის გაბრიელის დედა:**

– ორი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა ბავშვზე ზეწოლა, მშობლების თანდასწრებით. მშობლების წინაშე აკეთებდა აქცენტს ჩემი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და თან ძალიან ცუდად. ამის გამო ძიძამ საყვედურიც კი მიიღო. თქვენ არ ხართ პირველი, ვინც საყვედურით მოდისო, მითხრა დირექტორმა და ამიხსნა, ძიძას ოჯახში პრობლემები აქვსო. მივხვდი, რომ ჩემს შვილს ბაღში სერიოზულ პრობლემებს უქმნიდნენ და მისი პირადი ფსიქოლოგი მივიყვანე, რომელიც უშუალოდ შეესწრო ჩემს ნაცემ შვილს.

**– თვითონ ცემის ფაქტს შეესწრო?**

– არა, როდესაც ბავშვის პირადი ფსიქოლოგი მივიდა ბაღში, გაბრიელს უკვე მობანილი ჰქონდა დაზიანებული ადგილი, სისხლი აღარ მოსდიოდა, მაგრამ კვალი მაინც ემჩნეოდა. როდესაც ფსიქოლოგმა ნაცემი ბავშვი ნახა, მაშინვე დატოვა ტერიტორია და მითხრა, არ მეგონა, ასეთი მძიმე სიტუაცია თუ იქნებოდა, გირჩევ, სხვაგან გადაიყვანო ბავშვი და

**ბაღის დირექტორი: „არაფერი არ მომხდარა, ჩვენს თანამშრომელს არაფერი დაუშავებია“**

ყურადღება მიაქციოო. ბუნებრივია, ამის შემდეგ გაბრიელი სხვა ბაღში გადავიყვანეთ.

**– ძიძა, რომელზეც ეჭვი გაქვთ, რომ თქვენი შვილი სცემა, დღესაც მუშაობს ბაღში?**

– დაზუსტებით ვიცი, რომ დღესაც მუშაობს ეს ძიძა ბაღში. უბრალოდ, ამ ფაქტის შემდეგ ჭურჭლის მრეცხავად გადაიყვანეს. ოთახი, სადაც ის მუშაობს, ბავშვების ოთახის გვერდით არის, მას მაინც უწევს ბავშვებთან ახლოს ყოფნა. მე კი ვუშველე ჩემს შვილს და სხვა ბაღში გადავიყვანე, მაგრამ დანარჩენი ბავშვები არ არიან დაცულები.

**– რა ეტაპზეა გამოძიება?**

– გამოძიება საერთოდ არ მიმდინარეობს. ნივთმტკიცების ამოღებაც კი არ მოხდა მთელი ორი თვის განმავლობაში და მხოლოდ მაშინ ინებეს მოქმედება, როდესაც მთავარი პროკურატურის წინ შიმშილობა დავიწყე. მე და ადვოკატი საქმეს რომ გავეცანით, გაოცებულები დავრჩით, საქმეში არანაირი დეტალები არ იყო მითითებული. ადვოკატმა ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა, ესეც მაქსიმალურად გაწელეს. დღეს უკვე არსებობს ორი დასკვნა, ორივეში მტკიცდება, რომ ბავშვს ჰქონდა მრავლობითი დაზიანებები. მიუხედავად ამისა, პროკურატურა არაფერს აკეთებს დამნაშავის გამოსავლენად. იმ ძიძის ხელში დღესაც უამრავი ბავშვის სიცოცხლეა, არავინ ფიქრობს უსაფრთხოებაზე, 4 წლის ბავშვი იყო ნაცემი. თავი რომ გავანებოთ ჩემი შვილის მდგომარეობას, ნუთუ შეიძლება, ასეთი ადამიანი ბავშვებთან ახლოს იმყოფებოდეს?

**– თქვენს შვილს დახმარება დასჭირდა ამ ფაქტის შემდეგ?**

– ბაღიდან წამოყვანის შემდეგ ჩემს შვილს რეაბილიტაციის კურსის გავლა დასჭირდა, ძალიან დიდი სტრესი მიიღო, ორი თვის განმავლობაში თვალების ხამხამი და შიშები ჰქონდა. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ ვერ მივაკვლიე ორგანოს, რომელიც კერძო ბაღებს გააკონტროლებს, განათლების სამინისტრო საერთოდ არ დაინტერესდა ჩემი შვილის შემთხვევით. კერძო ბაღებს პატრონი არ ჰყავთ, შესაბამისი უწყებები კი არაფერს აკეთებენ ამ საქმის გამოსაძიებლად. საუბარია განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ცემის ფაქტზე. საპატრულო პოლიციამ კი, როდესაც გამოვიძახე, რომ ბავშვზე ზეწოლის ფაქტები დამეფიქსირებინა, ასე მიპასუხა, ჩვენ ექსპერტიზას მხოლოდ გვამის შემთხვევაში ვიძახებთო.

**– თქვენ კონკრეტული ძიძის დასჯას ითხოვთ, თუ ფიქრობთ, ბაღის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაც უნდა დადგეს?**

– იცით, მიმაჩნია, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად ბაღის ადმინისტრაციას ეკისრება, რადგან ბავშვის დაზიანება მოხდა სწორედ ბაღში. სამი შვილი მყავს გაზრდილი და მესმის, რომ შეიძლება ბაღში ერთმა ბავშვმა მეორეს სათამაშო ჩაარტყას, ან ხელი კრას და წააქციოს, უკბინოს, მაგრამ ჩემს შვილს მრავალჯერადი და სხვადასხვა სახის დაზიანება ჰქონდა, ფრჩხილებით მიყენებული ნაკაწრები ჰქონდა მაინცდამაინც ძიძისთვის საყვედურის გამოცხადებიდან მეორე დღეს. ბუნებრივია, ბევრი კითხვა მიჩნდება. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ საქმე საერთოდ შეჩერდება და დაიხურება, დამნაშავე კი დაუსჯელი დარჩება. პროკურორისა და გამომძიებლის წინააღმდეგ შევიტან სარჩელს და მოვითხოვ პასუხს, რატომ დროულად არ მოხდა ნივთმტკიცებების ამოღება და საქმის გამოძიება. ბავშვი ისეთი ნაცემი იყო, რამდენიმე დღე ჭამა უჭირდა, რადგან ნახეთქები ჰქონდა როგორც გარედან, ასევე შიგნიდან.

ოჯახის ადვოკატის განცხადებით, შესაბამისი უწყებების მხრიდან დასაბუთებული პასუხი, რატომ მოხდა ორი თვის დაგვიანებით ნივთმტკიცების ამოღება, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და თვითმხილველის დაკითხვა, არ მიუღიათ. ლევან ვეფხვაძე არ გამორიცხავს, რომ საქმე დაიხუროს და დამნაშავე დაუსჯელი დარჩეს.

**ლევან ვეფხვაძე, ადვოკატი:**

– გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ, დამატებით, საქმესთან დაკავშირებით სხვა ინფორმაცია არ მაქვს.

**– მშობელი აცხადებს, რომ ნივთმტკიცებების ამოღება დროულად არ მოხდა და მიიჩნევს, რომ გამოძიება ხელოვნურად** იწელება...

– როდესაც ჩვენ საქმის გაცნობა მოვითხოვეთ, აღმოვაჩინეთ, რომ ჯერ კიდევ არ იყო ამოღებული ის ნივთმტკიცება, რომლითაც თითქოს ბავშვმა მიიღო დაზიანება. ბუნებრივია, დავინტერესდით, რატომ არ მოხდა აქამდე ამ ნივთის ამოღება, პროკურატურამ გვიპასუხა, რომ აწი ამოიღებდნენ. ანუ ჩვენი განცხადების შემდეგ მოახდინეს ნივთმტკიცების ამოღება და ექსპერტიზის ჩატარება. ფაქტის შემდეგ თვეები იყო უკვე გასული და, ბუნებრივია, ნივთზე არანაირი კვალი აღარ იქნებოდა დარჩენილი. დიდი ეჭვი მაქვს, ექსპერტი ველარაფერს დაწერს. გარდა ამისა, ბაღის ხელმძღვანელობამ ვერსია, რით მიიღო ბავშვმა დაზიანება, ბევრჯერ შეცვალა. პროკურატურამ ამაზეც ჩვენი მოთხოვნის შემდეგ მოახდინა რეაგირება. არ იყო დათვალიერებული შემთხვევის ადგილი, ამ ფაქტზეც მოვახდინეთ რეაგირება, თუმცა გამოძიებისგან ამ კითხვაზე პასუხი საერთოდ არ მიგვიღია. გამოძიებას დაკითხული არ ჰყავდა შემთხვევის უშუალო შემსწრე, ფსიქოლოგი. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველა სამუშაო, რომელიც, წესით, ცხელ კვალზე უნდა ჩატარებულიყო, ორი თვის შემდეგაც არ იყო


შეკითხვაზე თუ რა მოხდა, საბავშვო ბაღის წარმომადგენლება ...
რამდენიმე ვერსია. კერძოდ, შესაძლოა ბავშვმა თვითონ მიიყენა დაზიანება,
შეიძლება სხვა ბავშვებთან მოუვიდა კონფლიქტი და მესამე ვარიანტი მათი
მხრიდან გაუღერდა იმ ფორმით, რომ საერთოდ არ იციან, თუ რა შეიძლება
მომხდარიყო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინა, შემხედრი აუცილებელი
აჭიროების გამო გთხოვთ ჩაატაროთ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და
ომცეთ დასკვნა ჩემი შვილის გაბრიელ ნიშნიანიძის სხეულზე არსებულ
დაზიანებებთან დაკავშირებით".

ობიექტური გამოკვლევის მონაცემები: მარჯვენა საფეთქლის არეში აღენიშნება ხაზოვანი ფორმის, მოწითალო ფერის და ერთმანეთთან მკვეთრად პარალელურად მდებარე ორი სისხლნაჟღენთი თითოეული ზომით 3X0,2სმ და 2,5X0,2სმ. მარჯვენა თვალ-ბუდის ქვემო კიდეზე ლოყის საზღვართან აღენიშნება უსწორო ოვალური ფორმის ნაჭდევი დაფარული მოწითალო სუსტი მორუხო ელფერის ნაზი ფუფხით, დიამეტრით 0,4სმ. ცხვირის მარცხენა ნესტოსა და ზემო ტუჩის კიდეს შორის აღინიშნება სიგრძივი რკალოვანი ფორმის, შედარებით სწორნაპირებიანი, მუქი მოწითალო ფუფხით დაფარული ნაჭდევი, ზომით 2X0,3სმ.

გ.ნიშნიანიძის პირადი გასინჯვის მონაცემებიდან გამომდინარე მივდივარ შემდეგ დასკვნებამდე:

შედეგები: მცირეწლოვან გაბრიელ ნიშნიანიძეს სხეულზე გარეგნულად აღენიშნება დაზიანებები მარჯვენა საფეთქლის ორი სისხლნაჟღენთის და მარცხენა ლოყის და ზემო ტუჩის თითო ნაჭდევის სახით.

დაზიანებები მიყენებულია რაიმე ბკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოშლის გარეშე.

## დაზარალებული ბავშვის დედა: „ბაღიდან წამოყვანის შემდეგ ჩემს შვილს რეაბილიტაციის კურსის გავლა დასჭირდა, ძალიან დიდი სტრესი ჰქონდა მიღებული, ორი თვის განმავლობაში თვალების ხამხამი და შიშები აწუხებდა“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კვირის განმავლობაში ძალადობდა, დღესაც ბაღში მუშაობს



**მუხლი 125. ცემა**

**1. ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, –**
**ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე.**

**2. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, –**
**ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტიდან ოცდაოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.**

## დაზარალებული ბავშვის დედა: „ბავშვი ისეთი ნაცემი იყო, რამდენიმე დღე ჭამა უჭირდა, რადგან ნახეთქები ჰქონდა როგორც გარედან, ასევე შიგნიდან“

შესრულებული. ეს ყველაფერი გაკეთდა ჩვენი მოთხოვნის შემდეგ.

**– რით ხსნით ამ პროცესის გაწელვას?**

– ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ, თუმცა ფაქტია, რომ გენინსპექციამ პატრულს საყვედური გამოუცხადა სწორედ არათანმიმდევრული და დაგვიანებული რეაგირების გამო. ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება გამოძიების ობიექტურობისადმი ეჭვები.

**– თქვენ თქვით, რომ მთავარი ნივთმტკიცების ამოღება ორი თვის დაგვიანებით მოხდა, თუ მასზე კვალი აღარ იქნება, შესაძლოა, ეს გახდეს საქმის დახურვის მიზეზი?**

– ზოგადად, მტკიცებულებათა შეგროვება უნდა მომხდარიყო ცხელ კვალზე, ამას არა მარტო ქვეყნის შიდა კანონმდებლობა, არამედ საერთაშორისო კონვენციებიც განმარტავს. შესაბამისად, როდესაც პროკურატურა თავის მოვალეობას დაზარალებული ოჯახის დაცვის მხარის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ ახორციელებს, ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, რომ მათ სურთ საქმის დახურვა. არ გამოვრიცხავ, რომ საქმე დაიხუროს.

„სადუნის“ დირექტორი, მარიამ ცინცაძე ადასტურებს, რომ ძიძა, რომელსაც 4 წლის გაბრიელის ოჯახი ბავშვის ცემაში ადანაშაულებს, კვლავ ბაღში მუშაობს. ცინცაძის განცხადებით, ის ძიძას უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ მშობელი არასწორ ინფორმაციას ავრცელებს.

**მარიამ ცინცაძე, „სადუნის“ დირექტორი:**

– ლია რიჟამაძე გადავიყვანეთ მზარეულად, უფრო სწორად ჭურჭლის მრეცხავად. ლიას თავის დროზე საჭმლის კეთებისა და ჭურჭლის რეცხვის მეტი არაფერი ევალებოდა. ამასაც ჩამოვაშორე, თუმცა ეს ქალი არაფერ შუაში იყო.

**– მაშინ რატომ ჩამოაშორეთ, თუ ფიქრობთ, რომ არაფერ შუაში იყო?**

– ძიძამ ერთადერთი, რაც თქვა, იყო ის, რომ მშობლებთან აღნიშნა, რამდენად რთული ბავშვი იყო. ამ ერთადერთი სიტყვის გამო ჩამოვაშორე ბავშვებს და სკოლის ჭურჭლის მრეცხავად გადავიყვანე. სულ ეს იყო, გირჩევთ, რეალურები იყოთ და დაიჯეროთ ის, რასაც გეუბნებით, ბუნებრივია, თუ გჯერათ ჩემი. არაფერი არ მომხდარა, ჩვენს თანამშრომელს არაფერი არ დაუშავებია.

**– მშობელი იტყუება, როდესაც ხელს ადებს ძიძას?**

– არ არის მართალი ეს მშობელი. ბავშვი როგორიც არის, თქვენც კარგად იცით, მეორე ბავშვთან მოუვიდა სათამაშოს გამო ჩხუბი, თორემ ყველა მასწავლებელი და მომვლელი ამ ბავშვის მოვლაზე იყო გადართული და ორიენტირებული...

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ გამოძიება 125 მუხლით მიმდინარეობს და უწყება ექსპერტიზის პასუხს ელოდება. კითხვაზე, ორი ექსპერტიზის პასუხი უკვე არსებობს და დამატებით რა ექსპერტიზა ჩატარდა, გვიპასუხეს, რომ ერთის პასუხი ჯერ არ მიუღიათ და როგორც კი მზად იქნება, მაშინვე შეგვატყობინებენ...

აღნიშნული შემთხვევა სახალხო დამცველის ბოლო ანგარიშშიც მოხვდა: „თბილისის #6 საბავშვო ბაგა-ბაღში დაფიქსირებულია შემთხვევა, როდესაც აღმზრდელის მიერ სისტემატურად ხდებოდა ფიზიკური ძალადობა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე აღსაზრდელის მიმართ. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი მიმართვა წარედგინა 916 ააიპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს. საპასუხო მომართვის თანახმად, სააგენტოს მიერ თბილისის #6 საბავშვო ბაგა-ბაღში ჩატარდა პრევენციული ხასიათის ღონისძიება – დამატებითი ტრენინგები აღმზრდელ-პედაგოგთათვის ბავშვთა საალმზრდელო სფეროში“. თუმცა #6 ბაღში აცხადებენ, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში მათი ბაღი შეცდომით მოხვდა. დირექტორის განცხადებით, ოთხი წლის გაბრიელი „სადუნში“ დაფიქსირებული ფაქტის შემდეგ სწორედ მათთან გადაიყვანეს და დღესაც იქ დადის.

**თამუნა ბაქრაძე, #6 ბაგა-ბაღის დირექტორი:**

– გაბრიელი ჩვენს ბაღში გადმოვიდა ცემის ფაქტის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდში მოვიდნენ სახალხო დამცველის აპარატიდან წარმომადგენლები, გაესაუბრნენ პედაგოგებს, მასწავლებლებს და ამით დასრულდა ყველაფერი. შემდეგ მივიღეთ წერილი, თითქოს ჩვენს მასწავლებელს სახალხო დამცველის წარმომადგენელთან საუბრისას უთქვამს, რომ აუტისტური სპექტრის ბავშვზე ძალადობას ჰქონდა ადგილი. რეალურად ჩვენმა პედაგოგმა მათ აუხსნა, რომ, როდესაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი შედარებით აგრესიულად იქცევა, მიწევს მისი შეჩერებაო, ანუ ბავშვს ხანდახან სჭირდებოდა შეკავება, ხელების მოხვევა. ანუ სახალხო დამცველის წარმომადგენლის მიერ მოხდა ჩვენი პედაგოგის სიტყვების არასწორი ინტერპრეტირება. ჩვენ ამაზე მივეცით რეაგირება, მივწერეთ წერილი სააგენტოს, რომელიც შეგვპირდა, რომ სახალხო დამცველის ანგარიშში შეცდომით შეყვანილი ინფორმაცია გამოსწორდებოდა, თუმცა ასე არ მოხდა.

**– ანგარიშში წერია, რომ თქვენს ბაღში ჩატარდა ტრენინგები...**

– ტრენინგი მართლაც ჩატარდა ერთხელ, მაგრამ სანამ ეს ტრენინგი ჩატარდებოდა, ჩვენ უკვე გატარებული გვქონდა შესაბამისი სამუშაოები. ჩვენი ბაღიდან ბევრ თანამშრომელს მოუწია წასვლა არათუ ბავშვის ცემის, არამედ არაჯანსაღი და არასათანადო მეთოდების გამოყენების გამო. ვგულისხმობ ძველ, დიქტატორულ მეთოდებს. ჩვენ გვაქვს ეთიკის კოდექსი, სადაც მკაცრად გაწერილი წესებია, როგორ უნდა მოექცეს და მიმართოს პედაგოგმა აღსაზრდელს.



დაზარალებული ბავშვის დედა: „პროკურატურისა და გამომძიებლის წინააღმდეგ შევიტან სარჩელს და მოვითხოვ პასუხს, რატომ დროულად არ მოხდა ნივთმტკიცებების ამოღება და საქმის გამოძიება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE

# თბილისის „დინამოს“ და



**მაგდა კლდიაშვილი**

**გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ „ევროპაბეთის“ ერთობლივ პროექტს ტოტალიზატორის სამგორის ფილიალმა უმასპინძლა. სხვა ყველა აქციისგან განსხვავებით, ამ შეხვედრას ყველაზე მეტი - ოთხი სტუმარი დაესწრო. სამგორში სტუმრად თბილისის „დინამოს“ კაპიტანი და ეროვნული ნაკრების წევრი, ლაშა თოთაძე, თბილისის „დინამოს“და 21-წლამდელელთა ნაკრების შემტევი მათე ცინცაძე და პირველად პროექტში, ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები, კობა შალამბერიძე და ერეკლე კილაძე იმყოფებოდნენ.**

სტუმრებთან შესახვედრად, როგორც ყოველთვის, „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში, ამჯერადაც ხალხმრავლობა იყო. გათამაშდა ბურთები, რომელზეც ოთხივე ფეხბურთელმა საკუთარი ავტოგრაფები დატოვა და ისე გააჩუქა.

სამგორის ფილიალში პირველად სტუმრად ალექსანდრე იაშვილი იმყოფებოდა, რომლის სიმბოლური ბილეთიც დღემდე ამშვენებს ტოტალიზატორის კედელს. რაც შეეხება სხვა სტუმრებს, ამავე ადგილას იყვნენ თავის დროზე ლადო ბურდული, დავით სირაძე, ზურა ბათიაშვილი და ლექსო ინწკირველიც. ამ სიას კიდევ ოთხი ფეხბურთელი შეემატა, მოთამაშეები, რომლებსაც ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგი ძალიან კარგად იცნობს და ყველა მათგანი, თავის გუნდში გამორჩეულია.

სულ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი და გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე და კობა შალამბერიძე.



„ევროპაბეთმა“, ტრადიციულად, სტუმრებისთვის სიმბოლური ბილეთი დაამზადა, სადაც ფეხბურთელებმა ჩემპიონთა ლიგაზე საკუთარი ფავორიტები დაასახელეს.

ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელებმა, ორივემ, ფსონი კატალონიის „ბარსელონას“ სასარგებლოდ გააკეთეს და მათი ფავორიტი გუნდი ნახევარფინალში „ბაიერნის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

მათე ცინცაძის საყვარელი გუნდი ტურინის „იუვენტუსი“ აღმოჩნდა და ტურინელებმაც გადალახეს ფრანგული „მონაკოს“ ბარიერი და ისინი, ნახევარფინალში მადრიდის „რეალს“ დაუპირისპირდებიან. რაც შეეხება „რეალს“, ფავორიტად ის „დინამოს“ კაპიტანმა დაასახელა.

**კობა შალამბერიძე:**

„ბარსელონას“ ვგულშემატკივრობ მესის გამო და უფრო მესის გამო და მგონია, რომ სწორედ ეს გუნდი მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“.

**ერეკლე კილაძე:**

„ფავორიტი „ბარსელონაა“ რთული მეტოქე ეყოლება ნახევარფინალში, მაგრამ, მჯერა, რომ თასს მაინც მოვიგებთ“.

**ლაშა თოთაძე:**

„ბავშვობიდან „რეალ მადრიდის“ გულშემატკივარი ვარ და ჩემი აზრით, წელსაც „რეალი“ მოიგებს. ორჯერ არავის მოუგია ზედიზედ და მადრიდელები უნდა გახდნენ ჩემპიონები“.

**მათე ცინცაძე:**

„მგონია, რომ ტურინის „იუვენტუსი“ გახდება ჩემპიონი.

როგორც აღვნიშნეთ, სტუმრების ფავორიტები ნახევარფინალებში იასპარეზებენ და ვნახოთ, რომელ მათგანს გაუმართლებს. სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“. ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო.

რაც შეეხება აქციას, ქართველი ფეხბურთელები ფიქრობენ, რომ ქართულ ფეხბურთს რეკლამა დღეს ძალიან სჭირდება, წამოწყება კი ამას ხელს შეუწყობს.

**კობა შალამბერიძე:**

„ძალიან კარგი დრო გავატარე. კარგი აქციაა. ქართულ ფეხბურთს, პირველ რიგში, რეკლამა სჭირდება. კარგ საქმეს აკეთებთ. იმედია, განვვითარდებით, წინ წავალთ და შედეგებიც იქნება“.

**ერეკლე კილაძე:**

„მივესალმები ყველა აქციას, რომელიც სპორტის განვითარებაზეა ორიენტებული. რა თქმა უნდა, კარგი პროექტია და სასიამოვნო იყო ჩემთ-



**კობა შალამბერიძე: „ბარსელონას“ ვგულშემატკივრობ მესის გამო და უფრო მესის გამო და მგონია, რომ სწორედ ეს გუნდი მოიგებს ჩემპიონთა ლიგას“**

**ლაშა თოთაძე: „ბავშვობიდან „რეალ მადრიდის“ გულშემატკივარი ვარ და ჩემი აზრით, წელსაც „რეალი“ მოიგებს. ორჯერ არავის მოუგია ზედიზედ და მადრიდელები უნდა გახდნენ ჩემპიონები“**



**„ჩემპიონობისთვის ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება და ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები სტუმრად „ევროპაბეთში“




**„მივესალმები ყველა აქციას, რომელიც სპორტის განვითარებაზეა ორიენტებული. რა თქმა უნდა, კარგი პროექტია და სასიამოვნო იყო ჩემთვის ამ აქციაში მონაწილეობის მიღება“**

**ერეკლე კილაძე: „ფავორიტი „ბარსელონაა“ რთული მეტოქე ეყოლება ნახევარფინალში, მაგრამ, მჯერა, რომ თასს მაინც მოვიგებთ“**

**მათე ცინცაძე: „მგონია, რომ ტურინის „იუვენტუსი“ გახდება ჩემპიონი“**

**„მადლობას მოგახსენებთ აქციაში მონაწილეობისთვის. წამოწყებას რაც შეეხება, ეს ქართული ფეხბურთის წინსვლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. „დინამოს“ ფეხბურთელებს ხშირად გვაქვს საშუალება ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობისა, ჩვენთვის საინტერესოა“**

ვის ამ აქციაში მონაწილეობის მიღება“.

**ლაშა თოთაძე:**

„მადლობას მოგახსენებთ აქციაში მონაწილეობისთვის. წამოწყებას რაც შეეხება, ეს ქართული ფეხბურთის წინსვლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს. ჩვენ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. „დინამოს“ ფეხბურთელებს ხშირად გვაქვს საშუალება ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობისა, ჩვენთვის საინტერესოა“.

**მათე ცინცაძე:**

„მოხარული ვარ, რომ ასეთი აქციები ტარდება საქართველოში. რაც უფრო მეტი იქნება, უკეთესია განვითარებისთვის. საჭიროა ასეთი რეკლამა. პირადად მე, მოხარული ვარ, რომ ამ აქციაში ვმონაწილეობ. წარმატებას ვუსურვებ ამ წამოწყებას“.

თბილისის „დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძვის. გუნდის კაპიტანი ამბობს, რომ ბოლო ტურამდე ჩემპიონის ვინაობა ვერ გაირკვევა, დარჩენილ ტურებში კი ყველა თამაში მოსაგებია.

**ლაშა თოთაძე:**

„ჩემპიონობისთვის ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება და ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ“.

ამ მომენტისთვის, ლიდერ „დილას“ თბილისელები 4 ქულით ჩამორჩებიან, სეზონის დასრულებამდე კი ძალიან ცოტა დარჩა, „დინამომ“ ტიტული უნდა შეინარჩუნოს - გუნდის მიზანი ესაა.

რაც შეეხება ლანჩხუთელებს, გურულებს უფრო მოკრძალებული გეგმები აქვთ. „გურიამ“ ადგილის შენარჩუნება მოახერხა. ამაში დიდი წვლილი სწორედ აქციის სტუმარ და ძალიან გამოცდილ ფეხბურთელებს მიუძღვით. ფეხბურთელები ამბობენ, რომ დარჩენილ ტურებში მოპოვებული ქულები მათ ცხრილში წინ წასაწევად დაეხმარებათ.

**კობა შალამბერიძე:**

„ჩვენი მიზანი იყო უფრო მაღალი ადგილები დაგვეკავებინა, რაც გამოვა, სეზონის ბოლოს შეფასდება. გავაგრძელებთ ბრძოლას ყველა თამაშში, როგორც აქამდე, თავს არ ვზოგავდით და ასე გავაგრძელებთ“.

**ერეკლე კილაძე:**

„გურიას“ მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. კლუბის პრეზიდენტის თხოვნაა, რომ დარჩენილ შეხვედრებში მოვიგოთ და ცხრილში მდგომარეობა უფრო გავიუმჯობესოთ, რათა ადგილობრივი გულშემატკივრის იმედები არ გავაცრუოთ“.

შეხვედრა „ევროპაბეთის“ სამგორის ფილიალში დასრულებულია. შემდეგი გაჩერების ადგილი ვარკეთილია, სადაც გულშემატკივარი ძალიან გამოცდილ ფეხბურთელებს, მირზა მერლანსა და ალექსანდრე გოგობერიშვილს გაიცნობს.

**„ჩვენი მიზანი იყო უფრო მაღალი ადგილები დაგვეკავებინა, რაც გამოვა, სეზონის ბოლოს შეფასდება. გავაგრძელებთ ბრძოლას ყველა თამაშში, როგორც აქამდე, თავს არ ვზოგავდით და ასე გავაგრძელებთ“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნატალია ქუთათელაძე თავის ექვს

**my View**
თამარ გონგაძე

**ნატალია ქუთათელაძე ჯულიარდის სტუდენტია. ამის შესახებ სოციალურ ქსელში ასევე ჯულიარდის კურსდამთავრებულმა პიანისტმა დათუნა ალადაშვილმა დაპოსტა. ერთ-ერთ წამყვან ამერიკულ მუსიკალურ კონსერვატორიაში კლასიკური ვოკალის მაგისტრატურაზე ნატალია მეორე ცდაზე ჩაირიცხა. ამაზე თავად უფრო დაწვრილებით ყვება. ბოლო დროს ჩატარებულ ღონისძიებებში ახალგაზრდა მომღერალი ხშირად ჩანს. კონცერტებზე, საღამოებზე, დეფილეზეც კი გამოჩნდა. თბილისის მოდის კვირეულზე გიორგი შალაშვილის კოლექციის ჩვენება დახურა. „ჩემი წვრილი კოჭი და სიმაღლე იქ არავის სჭირდებოდა. დიზაინერმა - შენში ხასითი დავინახეო, მითხრა და კონცეფციაში ჩამსვა. ზაფხულში თბილისის კონსერვატორიის მაგისტრატურის კურსს ამთავრებს. 25 აგვისტოს უკვე ჯულიარდში ეწყება სწავლა. დახვეწილი და საოცრად ქალური ბებიისგან ძალიან განსხვავდება. ძლიერი, პრინციპული გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებს და ასეთიც არის. ნატალია ნანი ბრეგვაძის შვილიშვილია. ასეთი ოჯახიშვილს თავის პოპულარობაზე ეცინება.**


ნანი ბრეგვაძე შვილიშვილებთან ერთად

„მეკითხებიან, არ გიშლის ხელს ნანი ბრეგვაძის შვილიშვილობაო? არაფერშიც არ მიშლის, პირიქით, ბევრს შეშურდეს ასეთი ბებია“


ნატალია ძმასთან ერთად

# EXCLUSIVE

# „ძალიან ძლიერი ვარ. ასეთი ვარ, ბავშვობიდან არაფერი მეპრობლემება“

**„ჯულიარდიდან ასპროცენტიანი დაფინანსების შეტყობინებაც მივიღე. იყო იმაზე ლაპარაკი, რომ საცხოვრებელი ხარჯებიც დაეფარათ, მაგრამ ჩემი ჩაცმულობით მიხვდნენ, რომ გაჭირვებული ოჯახიდან არ ვარ“**


ნატალია და დათუნა ალადაშვილი

**ჯულიარდი**

შარშან ჯულიარდში მეგობარ დათუნა ალადაშვილის თხოვნით სპონტანურად გაგზავნა ჩანაწერები. იმედი არ ჰქონდა, რომ სასწავლებლიდან დადებით პასუხს მიიღებდა, რადგან საკუთარი ჩანაწერებით კმაყოფილი არ იყო. დადებით პასუხს მოსმენები და ინგლისურის გამოცდა მოჰყვა. ენის გამოცდამ მოუმზადებელი ნატალია ჩაჭრა. წელს, 3 მარტს, ამ უმიზეზო მიზეზს თავი არ დააჩაგვრინა და ინგლისურში მომზადებულმა გამოცდაც ჩააბარა.

**ნატალია ქუთათელაძე:**

- ვახსოვდი პედაგოგებს. გამოცდების დროს მეც და დათუნასაც ვირუსი შეგხვდა, საშინლად გავცივდი. ხელი შემიწყვეს, კომისიის წევრებმა მითხრეს, ჩვენ იმაზე არ ვართ ორიენტირებული, რომ ასეთ მდგომარეობაში ძალით ნამღერით ხმა დაკარგოო. იოგებს რომ აწვები შეიძლება ფატალურ შედეგამდე მიხვიდე. ამიტომ 10-დან ორი ნაწარმოები მამღერეს. ოფიციალურ პასუხს ათ დღეში იღებ. მივიღე მესიჯი, რომელშიც იყო ბმული - ჯულიარდში ჩარიცხვას ყველა გილოცავს, სტუდენტები, პედაგოგები და სასწავლებლის პრეზიდენტიც. სამ დღეში მოვიდა ასპროცენტიანი დაფინანსების შეტყობინებაც. იყო იმაზე ლაპარაკი, რომ საცხოვრებელი ხარჯებიც დაეფარათ, მაგრამ ჩემი ჩაცმულობით მიხვდნენ, რომ გაჭირვებული ოჯახიდან არ ვარ, ამიტომ არჩიეს სხვისი საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა. მეგობრები მეხუმრებოდნენ, დაძენძილი ვერ გამოცხადდიო? :) მე მადლიერი ვარ იმით, რომ სწავლას მიფინანსებენ.

**- დაახლოებით რამდენს შეადგენს სწავლის საფასური?**

- ორწლიანი მაგისტრატურის კურსი 100 ათას დოლარამდე ჯდება.

**- ფსიქოლოგიურად ემზადები?**

- შიშის გრძნობა მაქვს და ამაში იმ ყოველდღიურობის შეცვლას ვგულისხმობ, რაც 23 წლის განმავლობაში მქონია. ერთ სახლში, ერთი ცხოვრების წესით, ერთ ქალაქში და ჩემიანებთან ვარ სულ. ერთ თვეზე მეტი სახლის გარეთ არასდროს მიცხოვრია. საკმაოდ დამოუკიდებელი ვარ. მაგრამ რთული მგონია იმ ცხოვრების ტემპი, რაც ამერიკაში და ჯულიარდში მექნება. ჩემს ცხოვრებაში სერიოზული ეტაპი იწყება. საპასუხისმგებლო. ბევრი ადამიანის იმედი უნდა გავამართლო. ამერიკას შეუძლია ადამიანს კარიერის მოწყობაში მიეხმაროს. ჯულიარდში არ ვეძებ ვოკალის პედაგოგს, რომელიც ტექნიკურად გამზრდის. მე აქ ისეთი გენიალური პედაგოგი მყავს მასთან კონტაქტის და მუშაობის გაწყვეტას არ ვაპირებ. დოდო დიასამიძე ჩემი ცხოვრების მანძილზე ჩემს პედაგოგად დარჩება. ჯულიარდისგან მე რეპერტუარის და კონტაქტების გაფართოება მინდა.



ჯერ საცხოვრებელი ბინის საკითხი არ მოუგვარებია, ნიუ-იორკში ბევრი ახლობელი ჰყავს და ნატალია მათ იმედად არის.

„როგორც შევძლებთ ისე მოკრძალებულად ვიცხოვრებ. შესაძლოა, რომ საერთო საცხოვრებელშიც ვიცხოვრო. დათუნა, რომელმაც იქ ყველაფერი გამოიარა, მირჩევს, რომ სჯობს იქ ვიცხოვრო, რადგან სტუდენტებს გავიცნობ. ყველაფერი კონტაქტებია. მით უმეტეს პირველ ეტაპზე, როდესაც არაფერი გაგეგება და სხვა გარემოში პირველად ხვდები. უმჯობესია ცხოვრების წესითაც იმ ყველაფრის მონაწილე იყო. დათუნასთან შედარებით უპასუხისმგებლო, ზარმაცი და მოუწესრიგებელი ვარ. რაც მე იქ დავმართე ფილმის გადაღება შეიძლება. მოსმენაზე მისულს ორჯერ დამრჩა ნოტები სახლში და დათუნას მოუწია იქვე ბიბლიოთეკაში მსგავსი გამოშვების ნოტების მოძიება, დაქსეროქსება, აკინძვა. ასეთ სტრესულ მდგომარეობაში ვამყოფე“.

ნატალიას და დათუნას მეგობრობა ღრმა ბავშვობიდან მოდის. ნატალია დათუნას დის მეჯვარეა. შემოქმედებითმა კავშირმა კიდევ უფრო დააახლოვა.

„დათუნა შოუმენია, კონცერტზე მის პროფესიონალიზმს თან ერთვის მისი იუმორი, რაც ახალია ამ ჟანრში. ბევრჯერ ისე გავსულვართ სცენაზე ბოლო წამებში გადაგვიწყვეტია, მოდი, ეს ვიმღეროთო. მისი ნიჭიერება გაძლევს ბოლომდე მინდობის საშუალებას.

**- უშენოდ როგორ გაძლებს ოჯახი?**

- ალბათ, ყოველდღიურობა ძალიან შეეცვლებათ. ძალიან ძლიერი ვარ :) და მენდობიან. მონატრების თემა დგას, სხვა არაფერი. ასეთი ვარ, ბავშვობიდან არაფერი მეპრობლემება.

**ეკა მამალაძე:**

- რეალურად მაგაზე არ ვფიქრობ, მაგრამ რომ დავფიქრდები, ღელვა და დარდი მეწყება. მაგრამ რომ წარმოვიდგენ მისი წინსვლისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ამერიკაში წასვლა, ეგოისტი დედა არ ვარ. პერსპექტიულად ვუყურებ. ისე კი, ძნელია, როდესაც შენი შვილი შორს არის.

**ოჯახი**

„ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა. უცხოეთში დავდიოდით. სულ ნანის



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# წლიან სიყვარულსა და ოჯახზე



ეკა მამალაძე: „რომ წარმოვიდგენ მისი წინსვლისთვის რამდენად მნიშვნელოვანია ამერიკაში წასვლა, ეგოისტი დედა არ ვარ“

## „მადლიერი ვარ თითოეული იმ დღისთვის, რაც ერთად გავატარეთ. მინდა მას ბედნიერება ვუსურვო. ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო. საერთოდ, არაფერს ვნანობ“





ლევანი და ფუფა





ეკა მამალაძე: „ჩემი რძალი კარგი გოგოა, დიდი ხანია ურთიერთობა აქვთ. ჩემი შვილი ძალიან უყვარს. შვილი გაუჩინა. მე, პირველ რიგში ადამიანობას ვაფასებ. ეს თვისებები ჩემს რძალს აქვს“

კონცერტები, ბანკეტები. ჩვენთან სულ სტუმრიანობა იყო... თბილისში ვინმე მნიშვნელოვანი ადამიანი თუ ჩამოდის, აუცილებლად ჩვენთან მოდიან სტუმრად. თან ისეთი ადამიანები მოდიან ჩვენთან სტუმრად, რომ შეიძლება ვიღაცისთვის მისი მხოლოდ გაცნობა იყოს სანატრელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცხვირი უნდა ავზზიკო. მეკითხებიან, არ გიშლის ხელს ნანი ბრეგვაძის შვილიშვილობაო? არაფერშიც არ მიშლის, პირიქით. ბევრს შეშურდეს ასეთი ბებია. მაგრამ რასაც ჩემი შრომით ვაკეთებ, ის ჩემი დამსახურებაა. კონსერვატორიაში რომ ვაბარებდი, ძლივს მიმიღეს. ბოლო ადგილას ვიყავი. არც იცოდნენ მისი შვილიშვილი რომ ვიყავი. კიდევ კარგი სხვა ჟანრი ავირჩიე, თორემ წარმომიდგენია ესტრადა რომ ამერჩია, რა დღეში ჩავვარდებოდი. რთულია აქ იპოვო შენი ნიშა. მით უმეტეს, რომ ნანი გყავს. ეკას გაუმართლა კომპოზიტორში, გიორგი ჩუბინიშვილმა დაუწერა სიმღერები. სოლო კონცერტი გააკეთა.

**- ამ ოჯახისშვილობა ჩარჩოში არ გსვამს?**

- ისეთი არაფერი მინდება, რომ თავი შევიკავო. ყველას რაღაც გაგვიფუჭებია, მაგრამ ეს შეიძლება ისეთ გარემოში გააკეთო, რომ ამან სახელი არ გაგიფუჭოს. ისეთი რა უნდა გავაკეთო, რომ ნახევარი ქვეყანა გადავდგა. ის სისულელეები, რასაც ყველა ბავშვი გარდატეხის ასაკში აკეთებს, რა თქმა უნდა, მეც გამიკეთებია. ფრთაშესხმული ანგელოზი არ ვარ. სიგარეტის გასინჯვა თუ მსგავსი სისულელე... შეიძლება ვიღაცისთვის კლუბში სიარულიც ამორალური იყოს. უზნეოდ მოქცევა არ მინდება.

**- პოპულარობა მოგწონს?**

- არ ვარ მე პოპულარული. ქუჩაში ვერ მცნობენ. სიტყვა პოპულარული ჩვენ ოჯახში არ არსებობს. ნანი ძალიან უშუალოა. სახლში ამ დონის ცნობილი ადამიანი მყავს და როგორი უბრალოა, ძალიან სასაცილოა, რომ მე ჩემს ორკაციან ცნობადობაზე ვილაპარაკო. მერე ვნახოთ. ჯერჯერობით ჩემს ქალაქში ასე კარგად ვგრძნობ თავს.

### ჯვრისწერა და ნათლობა

23 აპრილს, ქაშვეთში, ეკას უფროსმა ვაჟმა ლევან საყვარელიძემ თავისი სამთვინახევრის ნიკოლოზი მონათლა და თან ჯვარი დაიწერა. ლევანს და ფუფა გოგლიძეს დაახლოებით ათწლიანი სიყვარულის ისტორია აკავშირებთ. ცოტა ხნის წინ ვაჟი შეეძინათ და იქორწინეს.

**ეკა მამალაძე:**

- ტაძარში ერთდროულად მიდიოდა ორივე საიდუმლოს განხორციელება, აქეთ ნიკოლოზს ნათლავდნენ, იქით ფუფა და ლევანი ჯვარს იწერდნენ.

**- რძალზე რას იტყვით?**

- კარგი გოგოა, დიდი ხანია ურთიერთობა აქვთ. ჩემი შვილი ძალიან უყვარს. შვილი გაუჩინა. მე, პირველ რიგში ადამიანობას ვაფასებ. ეს თვისებები ჩემს რძალს აქვს. მთავარია დიდი სიყვარულია. აქედან გამომდინარე იბადება ჩვენი მხრიდან სიმპათიებიც.

**- როგორი დედამთილი ხართ?**

- რძლებმა უნდა თქვან. არაფერში ვერევი. ეს კი უკვე მათ მოსწონთ. დღეს რძალ-დედამთილის ურთიერთობები გაადვილდა, რადგან შვილი და რძალი ცალკე გადის საცხოვრებლად. ამას კარგი შედეგი მოაქვს. ერთ სივრცეში შენ შვილთან და დედასთან მოგდის პრობლემა. ყოველდღიურობას რომ არ უყურებ, არ იძაბები.

ეკას უფროსი შვილიშვილები - 9 წლის დიმიტრი და 7 წლის სანდრო შუათანა ვაჟისგან, გოგიკოსგან ჰყავს. ლევანიკო 35 წლისაა, გოგიკო 33-ის, ნატალია კი 23 წლის.

**- ნატალია, ძლიერი ვარო ამბობ, ძმების გარემოცვაში გაზრდამ ხომ არ გაგაძლიერა?**

- არ ვიცი. ჩემი ძმები რბილები არიან ხოლმე. მე შეიძლება უფრო უხეში ვიყო, ჩემი ძმები ძალიან საყვარელი და მაგარი ბიჭები არიან. ბავშვობაში მაწვალებდნენ, „მჯუჯგნიდნენ“, ახლა ვმეგობრობთ. რძლებთანაც ვმეგობრობ. ჯვრისწერა და ნათლობა რომ გვქონდა, მიხაროდა, მსიამოვნებს ოჯახის ერთობლიობა. ვიწრო წრეში აღვნიშნეთ. ვიმღერეთ ყველამ, მომღერლებმა. ქრისტინე იმედაძე ფუფას დისშვილია და იმანაც იმღერა. გოგიკო, ჩემი ძმა დიდი იუმორის პატრონია და ყოველთვის მასზე ერთობა ნახევარი ქორწილია თუ სხვა წვეულება. ნანი ამით შეწუხებულია, გაჩერდი, გეყოფაო, ეუბნება. ნანის მე დავაძალე და იმღერა. იმხელა პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ფორმაში არ ვარ, ხმაზე არ ვარო, ამბობდა. მაინც ვამღერეთ „ვარდები არ არიან,“ ერთად ვიმღერეთ „ცოტა კიდევ მოითმინე გულო“.

### ნანი

**- ქალბატონი ნანი რა რჩევებს გაძლევს?**

- 24-საათიანი რჩევები და ჭკუის სწავლება მაქვს მისგან. მე უნისექსი სამოსი მიყვარს, კაცური პერანგი, შარვალი და ფეხსაცმელი მომწონს. ფეხის ზომაც დიდი მაქვს და ისედაც ხომ დიდი ვარ, ასეთი ჩაცმულობა კიდევ უფრო მაუხეშებს. ნანი საოცრად ქალური და ელეგანტურია, მისთვის ასეთი რამ წარმოუდგენლად მიუღებელია და ამაზე დარდობს. ბაფთებში და ვარდისფერებში ვერ ვივლი-მეთქი, ვეუბნები.

**- როგორია სახლში?**

- დილით ბიგუტებით და თვალებშეღებილს ნახავთ. წელში გამართული დადის. სამაგალითოა. თუ შინაგანად ასეთი არ ხარ, ვერ გახდები. სადმე რომ მიდის, ორი საათით ადრე იწყებს მზადებას. უთქვამს, დღეს იმდენი საქმე მაქვსო, ამ დროს ორ ადგილას არის წასასვლელი. მაგრამ ამისთვის დილით ადრე დგება და მომზადებას იწყებს. არასოდეს ზედმეტს არ ჭამს. სუფრიდან ოდნავ მშიერის განცდით დგება. არ მახსოვს ნანისგან ამოოხვრა ან ფრაზა - ზედმეტი ჭამა ხომ არ მომივიდაო. ეკაც არ იმატებს, ერთ წონაზე არიან. მე ყველანაირად მამის მხარეს ვარ.

### პირადი

ექვი წელია ნატალია შეყვარებული იყო. ამ „ლავსთორიზე“ ჩვენ ადრე ვწერდით. ერთი წელია თავისუფალია.

„მადლიერი ვარ თითოეული იმ დღისთვის, რაც ერთად გავატარეთ. მინდა მას ბედნიერება ვუსურვო. ბევრი რამ მომცა ამ ადამიანმა. მგონია, რომ ასეთი სიყვარული არავის შეუძლია. ზრუნვა, ქალის პატივისცემა, სითბო, ყურადღება, საქციელი - არ არსებობს სხვას შეეძლოს. ვერ ვხვდები სხვა ადამიანთან რომ მქონდეს ურთიერთობა და მაგალითად ის არ მყავდეს.

> „ის სისულელეები, რასაც ყველა ბავშვი გარდატეხის ასაკში აკეთებს, რა თქმა უნდა, მეც გამიკეთებია. ფრთაშესხმული ანგელოზი არ ვარ“

**- ასეთ ბიჭს როგორ შეელიე?**

- ძალიან რთულად. ჩვევაა, იცი, რომ ეს ადამიანი შენ ცხოვრებაშია და ერთხელაც აღარ არის. გამიჭირდა. სხვანაირ ადამიანს ვერ მივიღებ. გადაწყვეტილების მიღების დრო იყო, მე ამას ვაბრალებ. ასე უნდა მომხდარიყო. საერთოდ არაფერს ვნანობ. როცა რაღაც ხდება მგონია, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ იცვლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE
# მირზა მერლანი ასეთი აქციებით

europe-bet.com

მაგდა კლდიაშვილი

**გაზეთ „პრაიმტაიმისა“ და ტოტალიზატორ“ ევროპაბეთის ერთობლივი წამოწყება - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ ოთხშაბათს ტოტალიზატორის ვარკეთილის ფილიალს სტუმრობდა. მანამდე კი იყო შეხვედრა სამგორში, სადაც ქართველ გულშემატკივარს ერთბაშად ოთხ ქართველ ფეხბურთელთან შეხვედრის საშუალება ჰქონდა. „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალს გამოცდილი ქართველი ფეხბურთელები, მირზა მერლანი და ალექსანდრე გოგობერიშვილი სტუმრობდნენ.**

ვარკეთილამდე შეხვედრა სამგორში გაიმართა, სადაც სტუმრად თბილისის „დინამოს“ წევრები, ლაშა თოთაძე, მათე ცინცაძე და პირველად პროექტში, ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები ერეკლე კილაძე და კობა შალამბერიძე იმყოფებოდნენ. ხალხმრავალი შეხვედრის შემდეგ ვარკეთილში გადავინაცვლეთ, სადაც ბოლნისის „სიონის“ ფეხბურთელებს, მეკარე მირზა მერლანსა და გუნდის ვიცე-კაპიტანს, საკმაოდ გამოცდილ ალექსანდრე გოგობერიშვილს უმასპინძლა „ევროპაბეთმა“.

სულ, ერთობლივი პროექტის ფარგლებში „ევროპაბეთის“ სხვადასხვა ფილიალებს, საქართველოს მასშტაბით შემდეგი ფეხბურთელები ესტუმრნენ:

გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, დავით მუჯირი, ლევან კობიაშვილი, გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურა იონანიძე, გიორგი ილურიძე, გივი კვარაცხელია, გიორგი ფოფხაძე, ლადო ბურდული, დავით სირაძე, ლაშა ჯაკობია, ალექსანდრე ინწკირველი, ზურა ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დაჩი ცნობილაძე, დავით ოდიკაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი მიქაბერიძე, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, ნიკოლოზ საბანაძე, ნიკა ჭანტურია, გიორგი ჭანკოტაძე, დათა სიჭინავა, გიორგი მერებაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე, ლაშა თოთაძე, ერეკლე კილაძე და კობა შალამბერიძე, მირზა მერლანი და ალექსანდრე გოგობერიშვილი.

ტრადიციისამებრ, გათამაშდა ბურთები, სადაც ავტოგრაფები სტუმარმა ფეხბურთელებმა დატოვეს და ისე გააჩუქეს.

„ევროპაბეთმა“ სიმბოლური ბილეთები დაუმზადა მირზა მერლანსა და ალექსანდრე გოგობერიშვილს, სადაც მათ საკუთარი ფავორიტები დაასახელეს ჩემპიონთა ლიგაზე.

გამოცდილმა ალექსანდრე გოგობერიშვილმა საკუთარ ფავორიტად „ბარსელონა“ დაასახელა და იმედი გამოთქვა, რომ მისი საყვარელი გუნდი ფინალისტი იქნება.

**ალექსანდრე გოგობერიშვილი:**

„ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონას“ ვგულშემატკივრობ და მგონია, რომ ერთ-ერთი ფინალისტი იქნება. „ბარსელონა“ ძალიან კარგ ფორმაშია. მესი, სუარესი და ნეიმარი შეუჩერებლები არიან და ვფიქრობ, რომ წელს, ჩემპიონთა ლიგას კატალონიელები მოიგებენ“.

„ბარსელონამ“ ფრანგული „პსჟ“ საკუთარ მოედანზეც დაამარცხა და ნახევარფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ დაუპირისპირდება. გერმანელებს „ბარსელონას“ ყოფილი თავკაცი, პეპ გვარდიოლა წვრთნის და მეტოქის ყველა ნაბიჯი ზეპირად ეცოდინება, რადგან წლები ესპანურ გუნდში მუშაობდა. ვნახოთ, როგორ დასრულდება ეს დუელი და შეძლებს თუ არა „ბარსელონა“ ფინალში გასვლას.

პირველად, გათამაშების განმავლობაში, ფსონი მადრიდის „ატლეტიკოს“ სასარგებლოდ დაიდო. საკუთარ სიმბოლურ ბილეთზე დიეგო სიმეონეს გუნდი მირზა მერლანმა დაასახელა და აღნიშნა, რომ „ატლეტიკო“ მისი ფავორიტი არაა, მაგრამ „რეალის“ გავარდნა სურს.

სამწუხაროდ, „ატლეტიკომ“ „რეალის“ ბარიერი ვერ დაძლია, რადგან შეხვედრა 10 კაცით დაასრულა და გათამაშებას გამოეთიშა, შარშანდელი სეზონისგან განსხვავებით.

**მირზა მერლანი:**

„ამ ტურნირზე ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, მაგრამ „ევროპაბეთის“ სპეციალურ ბილეთზე ვაფიქსირებ „ატლეტიკოს“. ძალიან მინდა, რომ ტურნირის არაფავორიტი გუნდი გაავდოს. ვგულისხმობ მადრიდის „რეალს“.




„დიდი მადლობა ყურადღებისთვის და ამ პროექტში მოწვევისთვის. ძალიან კარგი და სასიამოვნო შეხვედრა იყო გულშემატკივრებთან“




„ვფიქრობ, ძალიან კარგი პროექტია. მსგავსი პროექტები ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას, რაც თავისთავად წაადგება ქართულ ფეხბურთს. ვისურვებიდი, რომ უფრო ხშირად ხდებოდეს ფეხბურთელების და გულშემატკივრის შეხვედრა, რადგან ამით ფეხბურთელებსაც სტიუმული ეძლევათ“




სულ კი, გამართული შეხვედრებიდან ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

მადრიდის „რეალი“ – გიორგი გაბედავა, გია მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე, დავით სირაძე, ლადო ბურდული, გიორგი ილურიძე, ლაშა ჯაკობია, დაჩი ცნობილაძე, გიორგი მიქაბერიძე, ლაშა თოთაძე;

კატალონიის „ბარსელონა“ – გიორგი ფოფხაძე, ზურაბ ბათიაშვილი, ალექსანდრე ინწკირველი, დაჩი ფოფხაძე, გიორგი განუგრავა, გიორგი ცხადაია, გიორგი ქავთარაძე, ანზორ სუხიაშვილი, ნიკა საბანაძე, გიორგი ჭანკოტაძე, გიორგი მერებაშვილი, კობა შალამბერიძე, ერეკლე კილაძე;

მიუნხენის „ბაიერნი“ – გიორგი დათუნაიშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ოდიკაძე, ნიკა ჭანტურია;

ტურინის „იუვენტუსი“ – ირაკლი კლიმიაშვილი, დათა სიჭინავა, გრიგოლ ბედიაშვილი, მათე ცინცაძე;

კიდევ ერთი გუნდი, რომელიც ფავორიტად დასახელდა და უკვე გამოვარდა, ლონდონის „ჩელსია“. ფსონი მასზე გივი კვარაცხელიამ დადო.

რაც შეეხება „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივ წამოწყებას, ფეხბურთელები ამბობენ, რომ მსგავსი პროექტები ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას წაადგება.

**მირზა მერლანი:**

„ვფიქრობ, ძალიან კარგი პროექტია. მსგავსი პროექტები ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციას, რაც თავისთავად წაადგება ქართულ ფეხბურთს. ვისურვ-

„ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონას“ ვგულშემატკივრობ და მგონია, რომ ერთ-ერთი ფინალისტი იქნება. „ბარსელონა“ ძალიან კარგ ფორმაშია. მესი, სუარესი და ნეიმარი შეუჩერებლები არიან და ვფიქრობ, რომ წელს, ჩემპიონთა ლიგას კატალონიელები მოიგებენ“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და ალექსანდრე გოგობერიშვილი - ფეხბურთელებს სტიმული ექლევათ




## „ამ ტურნირზე ჩემი ფავორიტი „ბარსელონაა“, მაგრამ „ევროპაბეთის“ სპეციალურ ბილეთზე ვაფიქსირებ „ატლეტიკოს“. ძალიან მინდა, რომ ტურნირის არაფავორიტი გუნდი გააგდოს. ვგულისხმობ მადრიდის „რეალს“








ებიდი, რომ უფრო ხშირად ხდებოდეს ფეხბურთელების და გულშემატკივრის შეხვედრა, რადგან ამით ფეხბურთელებსაც სტიუმული ეძლევათ“.

**ალექსანდრე გოგობერიშვილი:**

„პირველ რიგში, დიდი მადლობა ყურადღებისთვის და ამ პროექტში მოწვევისთვის. ძალიან კარგი და სასიამოვნო შეხვედრა იყო გულშემატკივრებთან შეხვედრა. კარგი იქნება თუ უფრო ხშრად მოხდება ფეხბურთელების და გულშემატკივრების შეხვედრა, ერთმანეთის უკეთ გაცნობა“.



„ევროპაბეთის“ აქცია გრძელდება... შემდეგი შეხვედრა გულშემატკივართან 5-6 მაისს გაიმართება

ფეხბურთელებმა ბოლნისის „სიონზეც“ ისაუბრეს. ახლა მათი გუნდი სახარბიელო მდგომარეობაში არ იმყოფება. გასავარდნ ზონაშია, მაგრამ გამოცდილი ფეხბურთელები იმედს არ კარგავენ, რომ სეზონი მათთვის სასურველი შედეგით დასრულდება და გუნდი უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს.

მირზა მერლანი ამბობს, რომ წელს „სიონს“ სეზონი ჩაუვარდა, მაგრამ მომავალ წელს უკეთესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**მირზა მერლანი:**

„სიონის“ წლევანდელი მიზანი უმაღლესი ლიგიდან არ გავარდნაა და ნამდვილად ასე იქნება. სამწუხაროდ, წელს ჩაგვივარდა ჩემპიონატი, მაგრამ არაუშავს, მომავალ წელს „სიონი“ დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ალეკო გოგობერიშვილი 38 წლისაა, მაგრამ კარიერის დასრულებაზე ჯერ არ ფიქრობს. „სიონთან“ კონტაქტი მას სეზონის ბოლოს ეწურება, მაგრამ მოხარული იქნება, თუ ბოლნისში დარჩება და გუნდთან ერთად, მომავალ სეზონში უფრო მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**ალექსანდრე გოგობერიშვილი:**

„გუნდის ჩავარდნის მიზეზი იყო ის, რომ ძალიან ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა გუნდი, მოვიდნენ ახლები, რომლებსაც ადაპტაცია გაუჭირდათ. პირველ წრეშიც ვერ ვიყავით მოწოდების სიმაღლეზე, აქაც მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ რამდენიმე ფეხბურთელი, რომელიც დავიმატეთ, ვერ ჩაჯდა გუნდის მონახაზში. მეორე წრეშიც ახალი ფეხბურთელები სათანადოდ ვერ გაიხსნენ. იმედია, რომ ბოლო თამაშებს კარგად ჩავატარებთ და მაქსიმალურ ქულებს ავიღებთ. რაც შეეხება პირად გეგმებს, ჯერჯერობით არ ვაპირებ კარიერის დასრულებას, ასაკის მიუხედავად, შემიძლია თამაში. „სიონთან“ კონტრაქტი მაისში დამიმთავრდება და მერე ვნახოთ, სად გავაგრძელებ კარიერას“.

შეხვედრა „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალში დასრულებულია. შემდეგი აქცია 5-6 მაისს გაიმართება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ბექა ხოფერია



**my View**

**თამარ გონგაძე**

**ერმა ამოისუნთქოს, ცოლს ვირთავ, ძლივს დავისვენეო, ბექა ხოფერიამ სოციალურ ქსელში მომწერა. თავიდან ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა. მერე განმიმარტა, „ბაბნიკის“ სახელი მომაწებეს, ცოლს რომ შევირთავ, გაჩერდებიან და ჩემზე აღარ იჭორავებენო. ოთხი თვეა მოსკოვშია. ბიძაშვილთან ერთად ცხოვრობს და „ემგეუში“ ჩასაბარებლად ემზადება. სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის დამთავრება უნდა. დედის კვალს მიჰყვება, პოლიტიკამ გაიტაცა. ამასობაში კი მის ცხოვრებაში ერთი ქართველ-ასირიელი გოგონა გამოჩნდა. ბექამაც ნელ-ნელა დაიწყო მასთან ერთად გადაღებული ფოტოების „ფეისბუქზე“ გამოქვეყნება.**









**თიკა ჯამბურია: „მე არ მივცემდი ამდენ ინტერვიუს, რომ გავთხოვილიყავი და ბექას არ უტყდება ამ თემაზე ამდენი ლაპარაკი? ვურჩევ, რომ აღარ ილაპარაკოს, გავიგეთ, რომ ცოლი მოჰყავს“**

# „მე და ინა ოს
# თვეში ნიშნო

**„ინას მამას ტელეფონით ვესაუბრე. პირადად მინდოდა ხელი მეთხოვა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში ვართ. დამპირდა, რომ მოსკოვში ჩამოვა, გავიცნობთ ერთმანეთს და მერე ნიშნობა გვექნება“**

24 წლის ინა ოსიპოვა თბილისში დეკემბერში მეგობრის წვეულებაზე გაიცნო. ინა დედით ქართველი მამით ასირიელია. მოსკოვშია გაზრდილი, ქართულად საუბარი უჭირს. პროფესიით იტალიური ენის სპეციალისტია. გოგონას მშობლები ერთი წელია მოსკოვიდან თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ინა ძმასთან ერთად მოსკოვში დარჩა. რაღაც პერიოდით ისიც ჩამოვიდა მშობლებთან. აი, ამ დროს გაიცნეს ბექამ და ინამ ერთმანეთი. მერე ბიჭი მოსკოვში გაემგზავრა, საქმეებზე. ინამ მას მალე ჩააკითხა.

**ბექა ხოფერია:**

- მთლად ასე ამაყად ვერ ვიტყვი, რომ მოსკოვში ინა ჩემთვის ჩამოვიდა-მეთქი, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეც იყო. თავიდანვე მომეწონა. ჩემზე ფიზიკური სილამაზე მოქმედებს. მერე მიმოწერამ და დაახლოებამ მიმახვედრა, რომ ამ ურთიერთობიდან რაღაც გამოვიდოდა. თბილი და ყურადღებიანი ადამიანია. ეჭვიანია, თუმცა საბაბს არ ვაძლევ. „ფეისბუქზში“ ზოგი რას მოგწერს, ზოგი - რას. ის კი ეჭვიანობს. სოციალურ ქსელს ემოციის გამოსახატად და მეგობრებთან საკონტაქტოდ ვიყენებ. ნელ-ნელა ამასაც ეგუება. მე, ამჯერად არ ვეჭვიანობ, ალბათ, საბაბს არ მაძლევს. ან გავიზარდე და მივხვდი, რომ აზრი არ აქვს. ბავშვობაში ეჭვიანობით გამოწვეული ჩხუბი სიამოვნებას მანიჭებდა, ურთიერთობა ერთფეროვანი რომ არ ყოფილიყო, ცოტას ვძაბავდი (იცინის). ეს დაძაბვა მერე ცუდ ეტაპამდე მიდიოდა. მივხვდი, რომ არ ღირს. შენ თავს ხომ არ მიაყენებ შეურაცხყოფას, რად გინდა გვერდით ისეთი ადამიანი, რომელსაც თვითონ აყენებ შეურაცხყოფას?

ვთვლი, მოვიდა ის დრო, რომ ვიქორწინო. ბევრ რამეზე მაქვს ნაფიქრი. პატარა აღარ ვარ. ოთხი წელია ცოლს დავშორდი და მექნებოდა ორსამ ქალბატონთან ურთიერთობა, აბა რა, კაცი ვარ. ჩემი პირადი ცხოვრებით ინტერესდებიან და ჩანს, რომ რომანებში ვარ, თორემ რა „ბაბნიკი“ მე ვარ. ჩემზე ათი თავით „ბაბნიკებიც“ მინახავს (იცინის). მე მგონი მაქვს ბედის ცდის უფლება. ერთი ნახვით შენს ადამიანს ვერ პოულობ. ახლა ვთვლი, რომ ინასთან კარგად ვარ და ნიშნობაც დავგეგმეთ. ერთ თვეში თბილისში ჩამოვალ ნიშნობისთვის, ცოტა ხნით, ერთი კვირით. ინას მამას ტელეფონით ვესაუბრე და ნიშნობის შესახებ გეგმა გავაცანი. ძალიან სასიამოვნო ადამიანია. პირადად მინდოდა ხელი მეთხოვა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში ვართ. დამპირდა, რომ მოსკოვში ჩამოვა, გავიცნობთ ერთმანეთს და მერე ნიშნობა გვექნება. ვფიქრობ, სიყვარული ურთიერთგაგებაა. უსიტყვოდ უნდა გესმოდეთ ერთმანეთის. ამ მომენტში ასეა და დარწმუნებული ვარ, არც არაფერი შეიცვლება. ოთხი თვე იმისთვის, რომ ადამიანს გაუგო, სრულიად საკმარისია. ჯვარს, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ შემოდგომაზე დავიწერთ.

**- შენს მეორე ქორწინებასთან დაკავშირებით ხათუნას აზრი როგორია?**

- დედა ამ ნაბიჯის წინააღმდეგი არ არის და პირდაპირ, ბევრი ლაპარაკის გარეშე მითხრა, თუ შენ თავს ბედნიერად იგრძნობ, საწინააღმდეგო არც მე მექნება რამეო.

**„დედა ამ ნაბიჯის წინააღმდეგი არ არის და პირდაპირ, ბევრი ლაპარაკის გარეშე მითხრა, თუ შენ თავს ბედნიერად იგრძნობ, საწინააღმდეგო არც მე მექნება რამეო“**

**- თიკას გააგებინე?**

- ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ თიკასთან არ მისაუბრია. თიკა იდეალური დედაა. კეთილი და კარგი ადამიანია. 7-8 წლის განმავლობაში მის გვერდით ვიყავი ბედნიერი. ჩემი უაზრო და ბავშვური შეცდომების გამო მოხდა ისე, რომ ბევრი რამ არ მაპატია. ერთად აღარ ვართ. თუმცა ჩვენ შვილი გვაკავშირებს და ასე იქნება მთელი ცხოვრება. გვექნება ცივილური



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ასირიელ გოგონაზე ქორწინდება



„ვთვლი, რომ მოვიდა ის დრო ვიქორწინო. ბევრ რამეზე მაქვს ნაფიქრი. პატარა აღარ ვარ“

## იპოვას ერთ ბა გვექნება“

**ბექა:** „თიკა იდეალური დედაა. კეთილი და კარგი ადამიანია. 7-8 წლის განმავლობაში მის გვერდით ვიყავი ბედნიერი. ჩემი უაზრო და ბავშვური შეცდომების გამო მოხდა ისე, რომ ბევრი რამ არ მაპატია. ერთად აღარ ვართ. თუმცა ჩვენ შვილი გვაკავშირებს და ასე იქნება მთელი ცხოვრება“

„მე მგონი მაქვს ბედის ცდის უფლება. ერთი ნახვით შენს ადამიანს ვერ პოულობ. ახლა ვთვლი, რომ ინასთან კარგად ვარ და ნიშნობაც დავგეგმეთ“

ურთიერთობა, როგორც ეს ნორმალურ ადამიანებს შეეფერებათ. ჩემი შვილი ნინა მაგრად მენატრება, ცუდად ვარ. ბევრი მამსგავსებს, მე კიდევ მამაჩემს ვამსგავსებ. ბევრი თიკას ამსგავსებს. სრულიად მატრაკვეცაა, ქალივით მელაპარაკება.

თიკამ ამ თემაზე ასეთი კომენტარი გააკეთა.

**თიკა ჯამბურია:**

- მე არაფერი ვიცი მისი ცოლის მოყვანის თემასთან დაკავშირებით. წარმატებას და დიდ სიყვარულს ვუსურვებ. ჩვენ საერთო შვილი გვყავს და მეგობრებად დავრჩებით. მაგრამ მე არ მივცემდი ამდენ ინტერვიუს, რომ გავთხოვილიყავი და ბექას არ უტყდება ამ თემაზე ამდენი ლაპარაკი? ვურჩევ, რომ აღარ ილაპარაკოს, გავიგეთ, რომ ცოლი მოჰყავს. არ არის ამის აფიშირება საჭირო. თუ უყვარს, იყოს ღისრეულად თავისთვის და დამთავრდეს ჩემი ხსენება.

დასერიოზულებული ბექა აღიარებს, რომ თიკა ჯამბურიასთან მიმართებაში შეცდომა დაუშვა და ეს ახალგაზრდული გამოუცდელობის გამო მოუვიდა. პროფესიის შეცვლასაც აპირებს. კინოსარეჟისორო ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და თვლის, რომ პროფესიის არჩევა ადამიანს გააზრებულად 25 წლის ასაკში შეუძლია.

„2007-2009 წლების მიტინგებზე დავრბოდი და ფოტოებს ვიღებდი. ჩემი გადაღებული ბევრი კარგი ფოტო მედია სივრცეში გავრცელდა. სარეჟისოროზე დედის რჩევით ჩავაბარე. მაგრამ დღეს მე პოლიტიკამ უფრო დამაინტერესა. რაც მესმოდა ოჯახში, ეს პოლიტიკა იყო. ინტერესიც აქედან მოდის. დაახლოებით ხუთი წელი ვიქნები მოსკოვში. ჩემი ბიზნესგეგმაც მაქვს. იმედია, უფლის ნებით, გამომივა ეს ყველაფერი და შევძლებ ჩემი სახსრებით ცხოვრებას. პარალელურად ვისწავლი და მექნება შესაბამისი განათლება, რომელიც მომავალ პროფესიაში გამომადგება“.

მოსკოვს საქართველოს ამსგავსებს, ტურისტის შეგრძნება არ მაქვს, მასშტაბური თბილისიაო, ამბობს.

„ბებიაჩემი, მამის დედა, რუსია, ალბინა ნიკოლაევა. ბაბუა და მამა რომ გარდაიცვალნენ ბებია პეტერბურგში თავის ძმებთან ჩავიდა საცხოვრებლად. მე მისი გაზრდილი ვარ, ძალიან მიყვარს. არისტოკრატული ოჯახიდან არის. მახსოვს, მკაცრიც იყო და თბილიც. უნდოდა, რომ მთელი ოჯახი სადილად 3 საათზე ერთად დამსხდარიყო. ბებოს აღიზიანებდა ის, რომ ურეჟიმოდ ვიკვებებობით, როცა მოგვინდებოდა მაშინ ვჭამდით. ტიპური, ლამაზი რუსი მოხუცია“.

„ოთხი თვე იმისთვის, რომ ადამიანს გაუგო, სრულიად საკმარისია. ჯვარს, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ, შემოდგომაზე დავიწერთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ია სუხიტაშვილის ყოფილმა ქმარმა ახალი სიყვარული იპოვა

**my View**
ნინო მჭედლიშვილი

**მსახიობი, კახა ახვლედიანი მაყურებელმა გაიცნო პროექტიდან „დასი“. შემდეგ იყო დილის ეთერი „მაესტროზე“. ის მსახიობ ია სუხიტაშვილის ყოფილი ქმარია. წყვილს საერთო შვილიც ჰყავს, ლუკა. მსახიობი ამბობს, რომ ქალებთან სერიოზული ურთიერთობა უჭირს, რომ ერთადერთი სერიოზული სიყვარული მის ცხოვრებაში სწორედ მისი შვილის დედას, იას უკავშირდება. წლების შემდეგ მსახიობი კვლავ შეყვარებულია. მისი რჩეული, სოფო ბეროძე პროფესიით სახელმწიფო მართვის მოხელეა და თავისი პროფესიით მუშაობს. სიყვარულის ისტორიას წყვილი თავად გიამბობთ.**

**კახა:**

- მე და სოფომ ერთმანეთი საერთო მეგობრების წრეში გავიცანით. ნელ-ნელა დავმეგობრდით. ქალისა და მამაკაცის მეგობრობის არც ერთს არ გვჯერა და კარგად გვესმოდა, რომ ამ მეგობრობაში ფლირტის ელემენტებიც იყო. დიდხანს ვფიქრობდით, ვიყავით თუ არა წყვილი. მე, პირადად, ძალიან მიჭირს ბოლომდე ვიყო ქალთან. ძირითადად ზედაპირული ურთიერთობებით შემოვიფარგლები ხოლმე. ერთადერთი სერიოზული ურთიერთობა მქონდა ჩემი შვილის დედასთან, ია სუხიტაშვილთან. ძალიან რთულია, ჩემ შემთხვევაში, ქალს ბოლომდე მივენდო, ბოლომდე მასთან ვიყო, ისე, რომ მან თავისად ჩამთვალოს.

**- რა ჰქვია დღეს თქვენს ურთიერთობას?**

- არ მიყვარს სიტყვა შეყვარებული. ამ სახელს ადვილად არქმევენ ერთმანეთს და ასეთი შეყვარებული ზოგს 20-30 ჰყავს. თუმცა სოფოს უნდოდა, რომ მალევე ვყოფილიყავით შეყვარებულები (იცინის).

**სოფო:**

- რატომ იტყუები? უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ მე უფრო მალე შემიყვარდა.

**- სოფო, კახამდე რა ხდებოდა შენს ცხოვრებაში?**

- მყავს შვილი, მქონდა ოჯახი, რომელიც ორი წლის თავზე დამენგრა. ბიჭი მყავს მეც და კახასაც. დაახლოვებით ერთი ასაკისანი არიან, გავაცანით კიდეც ერთმანეთი, დამეგობრდნენ. ახლა გოგო გვინდა ორივეს.

**- სოფო, პროფესიით ვინ ხარ?**

- სახელმწიფო მართვის მოხელე ვარ და ჩემი პროფესიით ვმუშაობ.

**- კახა, მითხარი, იშვიათად ვახერხებ სერიოზულ ურთიერთობას ქალებთანო, რა აქვს სოფოს ისეთი, რამაც ამ ურთიერთობამდე მიგიყვანათ?**

- გულწრფელობა. ამას ყველაზე მეტად ვაფასებ ქალშიც და კაცშიც. დღევანდელ გოგოებში ძალიან იშვიათია ეს თვისება. სოფოს არასდროს აინტერესებდა ჩემი მატერიალური მდგომარეობა, ჩემი სტატუსი, პროფესია. ის, პირველ რიგში ადამიანს აფასებს. ჩემი შეცვლა არ უცდია. მარტო იმას ცდილობს ცოტა რომანტიკული გამხადოს, მაგალითად, ყვავილები რომ მივართვა (იცინიან). არ მიყვარს არც ყვავილები და არც ყვავილებით სიარული. არც სოფოს უყვარს. პრინციპულად უნდოდა, რომ მიმერთმია. იმას რომ მიართვესო, ამბობს-ხოლმე. ბოროტი გოგოა, ბოლმა (იცინის).

**სოფო:**

- ბოლმა მართლა ვარ, მაგრამ ბოროტი არა. რამეზე რომ ვიკამათებთ მეორე წუთას აღარ მახსოვს. მართლა არ მიყვარს ყვავილები. უბრალოდ, რომ ვხედავ, სხვებს ჩუქნიან, მეც მინდა, რატომაც არა?

**- როცა ურთიერთობა დაიწყეთ, ერთმანეთის წარსული ორივემ დაივიწყეთ, ალბათ...**

**კახა:**

- სოფოს პრობლემა ჰქონდა იმაზე, რომ მექალთანის სახელი მაქვს. საკმარისად ეჭვიანია.

**სოფო:**

- მაგრამ წარსულზე არ ვეჭვიანობდი. პარალელურ ურთიერთობებზე ვბრაზდებოდი, სანამ ჩვენი ურთიერთობა საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა.

**კახა:**

- ეშინოდა, რომ სადმე არ გავმძვრალიყავი.

**- ახლა აღარ დაძვრები?**

**სოფო:**

- არა, ერთი წელია მარწუხებში მყავს. მანამდე გვქონდა პერიოდები, როცა ერთმანეთს კვირების განმავლობაში არ ველაპარაკებოდით, „ფეისბუქზე“ ვბლოკავდით.



„ძალიან მიჭირს ბოლომდე ვიყო ქალთან. ძირითადად ზედაპირული ურთიერთობებით შემოვიფარგლები ხოლმე“

## „დიდხანს ვფიქრობდით, ვიყავით თუ არა წყვილი“

**EXCLUSIVE**



„სოფოს პრობლემა ჰქონდა იმაზე, რომ მექალთანის სახელი მაქვს. საკმარისად ეჭვიანია“



„მამაკაცები მაინც დედიკოს ბიჭები ვართ, რაც არ უნდა ვიძველბიჭოთ. სულ სითბო და ყურადღება გვჭირდება“

„ერთადერთი სერიოზული ურთიერთობა მქონდა ჩემი შვილის დედასთან, ია სუხიტაშვილთან“



**კახა:**

- მოკლედ, მაგრად ვჭიდაობდით, მანამ სანამ გავარკვევდით, რომ უერთმანეთოდ არ შეგვეძლო.

**- ახლა სოფოს შეუძლია მშვიდად იყოს?**

- მშვიდად არასდროს უნდა იყოს ქალი. ყოველთვის ვამბობ, რომ მამაკაცები მაინც დედიკოს ბიჭები ვართ, რაც არ უნდა ვიძველბიჭოთ. სულ სითბო და ყურადღება გვჭირდება.

**სოფო:**

- სითბო და ყურადღება ჩვენც გვჭირდება, ქალებს.

**- სოფო, რომანტიკული არ არისო, მითხარი, არასდროს გაუოცებიხარ, არანაირი სიურპრიზი არ გაუკეთებია შენთვის?**

**კახა:**

- რომ ვარსებობ, ეს უკვე სიურპრიზია მისთვის (იცინიან).

**სოფო:**

- ამას წინათ გვირილები მომართვა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე გითხარით, ყვავილები არ მიყვარს, ძალიან მესიამოვნა.

**- კახა, შენ არ ხარ ეჭვიანი?**

- არა, საერთოდ.

**სოფო:**

- კიდევ იტყუები. რატომ არ აღიარებ?

- არ ვიტყუები, მამაკაცებზე არ ვეჭვიანობ. უბრალოდ, ისტერიკულად ვერ ვიტან ტყუილს. თუნდაც დაგვიანების კუთხით. რომ მეტყვის, 15 წუთში მოვალო და იცის, რომ ვერ მოვა, ეს მაცოფებს. თუ მამაკაცებზე დავიწყე ეჭვიანობა... აქამდე თუ მივიდა საქმე, იმ ქალთან უბრალოდ ვერ ვიქნები.

**- „ფესბუქზე“ უკვე გააკეთეთ განაცხადი, რომ ერთად ხართ. სამომავლო გეგმებში რა გაქვთ?**

**კახა:**

- ჰო, „ფეისბუქზე“ დააფრთხო სოფომ გოგოები. გარკვეული პრობლემები გვაქვს, ამ პრობლემებს რომ მოვაგვარებთ, ალბათ, გადავალთ ერთად საცხოვრებლად. თუმცა პომპეზურობა და ქართული ტრადიციული ქორწილი არ მომწონს, არ გვექნება.

**სოფო:**

- მე მქონდა უკვე ქორწილი, თეთრი კაბაც მეცვა და არც ისე კარგად დამთავრდა. ამიტომ აღარ მინდა. კარგად ვგრძნობთ ასე თავს. ვიწრო წრეში, ალბათ, აღვნიშნავთ ჩვენს გაბედნიერებას.

**- კახა, კერძების მომზადება იცის სოფომ?**

- დიდი კულინარი არ არის, მაგრამ ერთიორჯერ გამიმასპინძლდა და მივხვდი, რომ გემრიელი ხელი აქვს. ხაჭოს ნამცხვარიც კი გამომიცხო ერთხელ.

**სოფო:**

- წუნიაა მაინც. ხომ ჭამს, ხომ მოსწონს, მაგრამ რაღაცას მაინც დაგიწუნებს, მარილი აკლიას მაინც იტყვის.

**- ერთმანეთის შვილებთან როგორააწყვეთ ურთიერთობა?**

**კახა:**

- მე ხომ ბავშვი ვარ ბუნებით. ჩემი შვილი, ლუკა რომ გავაცანით დათის, უთქვამს, კარგი ბავშვია, მაგრამ კახა ჯობიაო (იცინის). რაც შეეხება, სოფოსა და ლუკას, ეპრანჭება სოფოს, მოსწონს, მამას შვილია, მაინც (იცინიან).



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მასშტაბური სემინარი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში










მაგდა კლდიაშვილი

**24-25 აპრილს, საგამოფენო ცენტრმა „ექსპო-ჯორჯიამ“ ორდღიან სემინარს უმასპინძლა, რომელსაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკორდინაციო კომისიის წევრები და 50 ქვეყნის ტექნიკური დელეგატები და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები დაესწრნენ. გარდა ამისა, სემინარში მონაწილეობა საქართველოს მთავრობის წევრებმა, დედაქალაქის მერმა და ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემაც მიიღეს.**

სემინარი ოფიციალურად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა, რომელმაც განაცხადა, რომ მსგავსი მასშტაბის ღონისძიების საქართველოში გამართვა ქვეყნისთვის დიდი პატივია.

**ირაკლი ღარიბაშვილი:** „ეს არის საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური სპორტული ღონისძიება. თბილისი პირველია პოსტსაბჭოთა სივრციდან, ვისაც ასეთი პატივი ერგო. ის, რომ თბილისი ამ ფესტივალის მასპინძლად აირჩიეს, წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვის, დიდი ნდობაა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან და ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ გავამართლოთ ეს ნდობა. მერწმუნეთ, ამ ღონისძიების გამართვა საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ სპორტული შეჯიბრება. ვფიქრობ, „თბილისი 2015“ თავისი არსით ზუსტად ემთხვევა იმ კურსს, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ აირჩია – ესაა ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობა. საქართველოსთვის დიდი პატივია მსგავსი მასშტაბის ღონისძიების ჩატარება. მინდა, მადლობა გადავუხადო ევროპის ოლიმპიურ კომიტეტს ამ ნდობისთვის და დაგარწმუნოთ, რომ თითოეული ჩვენი მოქალაქე მზად არის ღირსეულად ჩაატაროს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, რადგან ეს არის მეტი ვიდრე სპორტული შეჯიბრება. საქართველოში ჩამოვა 4 000-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი და ჩვენი ათლეტებისთვის ეს ასევე კარგი სტარტია მომავალი გამარჯვებებისთვის“.

სტუმრებს მიესალმა და სიტყვით გამოვიდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ალექსი ახვლედიანი, რომელმაც აქცენტი ფესტივალისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე გააკეთა და აღნიშნა, რომ სტუმრებისგან მხოლოდ დადებით შეფასებებს ელოდება.

**ალექსი ახვლედიანი:** „50 ქვეყნის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ, რათა დეტალურად შეისწავლონ ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროცესი. ისინი გაივლიან ყველა საკითხს, რომელიც ეხება საორგანიზაციო მხარეს. მოხდება სპორტული ობიექტებისა და ოლიმპიური სოფლის ინსპექტირება. ჩვენ ველოდებით მხოლოდ დადებით შეფასებებს, თუმცა ამავდროულად მივიღებთ ყველა შემჩნევას და მითითებას“.

სემინარის გახსნის ცერემონიალს, გარდა პრემიერ-მინისტრისა, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი, თბილისის მერი, დავით ნარმანია და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ლერი ხაბელოვიც დაესწრნენ.

ვიდრე დელეგატები დასრულებულ და მიმდინარე მშენებარე სპორტულ ობიექტებს დაათვალიერებდნენ, მედიისთვის კომენტარი გააკეთა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარემ, ჯოზეფ ლიბამ. ლიბას განცხადებით ფესტივალისთვის მზადების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს.

**ჯოზეფ ლიბა:** „ეს არის ჩვენი ერთ-ერთი ბოლო ინსპექტირება. ვიცი, რომ რამდენიმე არენა უკვე დასრულებულია, დანარჩენი მშენებლობის ბოლო ფაზაშია. ჩვენ მივცემთ საორგანიზაციო კომიტეტს ჩვენ რეკომენდაციებს. ასევე გავეცნობით დეპარტამენტების პრეზენტაციებს, გავივლით ყველა საკითხს. მზადების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს“.

სემინარის დასრულების შემდეგ შემაჯამებელი პრესკონფერენციაც გაიმართა.

26 ივლისის - 1 აგვისტოს პერიოდში თბილისში ტარდება საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური სპორტული ღონისძიება - ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვინ არის ეკა ჩხეიძის ს

**my View**

**ნინო მჭედლიშვილი**

# „ერთხელ კი მკითხა ქმარმა, რომელიღაც სპექტაკლზე, მართლა კოცნიდიო“

## „ცხოვრებაში არავისტი არ ვყოფილვარ, მიტინგზეც არასდროს წავსულვარ. ისეთ ადგილას ვცხოვრობ, მიტინგი თვითონ მოდის ხოლმე ჩემთან“

**„ბრეტ პიტი არ მომწონს, მგონია, დიდ დროს უთმობს სარკესთან ტრიალს. არც ალენ დელონი მომწონდა არასდროს“**

# EXCLUSIVE

**„არ ვიპრანჭები, გულწრფელად გეუბნებით, რომ მშიშარა მსახიობი ვარ“**

**„რაც გათხოვილი ვარ, ღალატი არც მიფიქრია. არ ვიპრანჭები, დებილი ვარ, შეიძლება დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ, სანამ მე და ლევანი ერთად ვართ, ასე იქნება სულ“**

**უცნაურია, მაგრამ, მედეა ჩახავას შვილიშვილი და თემურ ჩხეიძის შვილი, ცხოვრებაში არავისტი არ ვყოფილვარ, მიტინგზეც არასდროს წავსულვარ. ისეთ ადგილას ვცხოვრობ, მიტინგი თვითონ მოდის ხოლმე ჩემთან.**

ამდენწლიანი თეატრალური კარიერის შემდეგ ისევ შიშზე საუბრობს, მშიშარა მსახიობი ვარო, აცხადებს ეკა ნიჟარაძე. სწორედ ამ შიშის ბრალია, რომ არაერთხელ თქვა უარი ყველა შემოთავაზებაზე, რომელიც სატელევიზიო სერიალს ეხებოდა. ბოლოს მიხვდა, რომ მარტო დარჩა და გარისკა, შექმნა გმირი „ჩემი ცოლის დაქალებში“, საპრეზიდენტო კანდიდატი, მკაცრი, ჭკვიანი და ძლიერი, კატა ჯიქია.

ვინ არის მსახიობის მთავარი კრიტიკოსი ოჯახში, აპროტესტებდა თუ არა არქიტექტორი ქმარი მის პიკანტურ სცენებს თეატრში და როგორ აფასებენ დედის პროფესიას 25 წლის ინანო და 12 წლის დათა, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობთ.

**- ეკა, თეატრის მსახიობების უმეტესობას, არ მოსწონთ, როცა მაყურებელი სერიალიდან იცნობს...**

- მხოლოდ ცნობადობაზე არ არის საქმე... სერიალი გშტამპავს. ჯერ მხოლოდ ორ სერიაში გამოჩნდა ჩემი გმირი და უკვე „კატას“ მეძახიან. იმას არ ვამბობ, რომ ეს ცუდია, უბრალოდ, მსახიობისთვის არც ისე კარგია, ტელევიზიას აქვს ეს თვისება, ყველა ოჯახის წევრი ხდები და შემდეგ იმ გმირთან ასოცირდები, რომელსაც თამაშობ. ეს, ალბათ, რეჟისორზეც მოქმედებს, ძალიან ვცდილობ, არ იყოს ჩემი გმირი ზედმეტად სახასიათო ტიპი, რომ მერე მთელი ცხოვრება არ ვზიდო, ერთი გმირი.

**- ამაზე იფიქრეთ, როცა სერიალში თამაში შემოგთავაზეს?**

- არ ვიპრანჭები, გულწრფელად გეუბნებით, რომ მშიშარა მსახიობი ვარ. ჩავარდნის, წარუმატებლობის ყველას ეშინია, ამას არ ვგულისხმობ, გადამეტებული თვითკონტროლი მჭირს, მქონია როლები, რომელიც მოსწონს მაყურებელს, მაგრამ ჩემიანები არასდროს დამიპატიჟებია ჩემს სპექტაკლებზე, არასდროს არ ვარ კმაყოფილი საკუთარი თავით, მგონია, რომ ბოლომდე ვერ გავაკეთე ჩემი გასაკეთებელი. ამიტომ ყოველთვის ვფრთხილობდი, ბევრჯერ მითქვამს უარი სერიალში თამაშზე. ამით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მსახიობმა ყოველთვის უნდა იმუშაოს, არ უნდა თქვას უარი როლზე, რაც უნდა უმნიშვნელო და ეპიზოდური იყოს, მაგრამ მე, ამ მხრივ, სხვანაირი ვარ. მირჩევნია არ გავაკეთო, ვიდრე ეჭვი მეპარებოდეს, გამომივა თუ არა. ამ სერიალზე რომ დამიძახეს, უკვე მეშვიდე სეზონი იყო. მივხვდი, რომ ყველაზე ყურებად სერიალში მეძახიან. რატომ არის რეიტინგული? იმიტომ რომ კარგი სცენარია, კარგი რეჟისორი, პროდიუსინგი, მსახიობები. თან მივხვდი, რომ მარტო დავრჩი გარეთ, ყველა მსახიობი ამ სერიალში თამაშობს (იცინის), გადავწყვიტე შიში დამეძლია და უარი აღარ მეთქვა. დღეს სერიალების ეპოქაა, ყველა ქვეყანაში სერიალებს მიაქვს ტელევიზია. დავთანხმდი. რა გამოვა, მაყურებელმა უნდა შეაფასოს. ჯერ მხოლოდ იწყებს „კატა“ არსებობას.





**- თვითონ უყურებთ ამ სერიალს?**

- საკუთარი თავის ყურება არ შემიძლია, მერე, საერთოდ ვერ ვუყურებ სერიალებს. პროფესიული სიძულვილი მჭირს სერიალების მიმართ, ავად ვარ, 15 წელია სერიალებს ვახმოვანებ. „რუსთავი 2“-ზე სერიალი არ გასულა 8 საათზე, მე რომ არ გამეხმოვანებინოს... ეკრანზე საკუთარი თავი არ მომწონს, ბევრ რამეს შევცვლიდი, სინანული მაქვს ხოლმე, ეს როგორ გამომრჩა, ამის გაკეთება სხვანაირად შეიძლებოდა... სცენაზე ჩემს თავს ვერ ვხედავ, ეს მიმარტივებს თეატრში არსებობას. ეკრანზე ჩემს თავს კრიტიკული თვალით ვუყურებ, თითქოს შარზე ვარ.



**- კიდევ ვინ არის შარზე ოჯახში, ვინ გაკრიტიკებთ?**

- ამ მხრივ მამაჩემს ვგავარ, მამაჩემმა საშინელი კრიტიკა იცის, მაგრამ თუ თქვა, რომ კარგია, მორჩა! ძალიან მომთხოვნია, მით უფრო თავისიანების მიმართ.

**- რა თქვა, ბატონმა თემურმა, სერიალში რომ გნახათ?**

- არ ვიცი, არ მითქვამს რომ ვთამაშობ, მგონი არც იცის. არ მგონია, თემური იჯდეს და სერიალებს უყურებდეს. რომ ენახა, რაღაცას მეტყოდა, მეც ჩუმად ვარ (იღიმება). ცოტა რომ მოვმაგრდები „კატას“ ამპლუაში, სათქმელი მექნება და ვკითხავ, ხომ არ ნახე-მეთქი. თემური და დედაჩემი ჩემი მთავარი კრიტიკოსები არიან. დედაჩემს მოსწონს, უყურებს.

**- მეუღლე?**

- არა, ლევანი ზოგადად ტელევიზორს არ უყურებს. თეატრშიც ძნელად წასაყვანია. ჩემი ქალიშვილი კარგი მაყურებელია, სწორ შენიშვნებს მაძლევს. ბიჭი საერთოდ ნეიტრალური და უინტერესოა ამ მხრივ.

**- ეკა, 26 წლის წინ გათხოვდით, იმ პერიოდში ჯერ კიდევ უკვირდათ მსახიობი ქალი, როგორ უნდა მოიყვანო ცოლად. თუ ყოფილა თქვენს ოჯახში ამ თემაზე ლაპარაკი?**

- ჩემ გასაგონად არა, და ისე, არ ვიცი. ერთხელ კი მკითხა ქმარმა, რომელიღაც სპექტაკლზე, მართლა კოცნიდიო (იცინის), მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება, მარჯანიშვილში დავდგით „ეუხენა ბალბო“, სადაც ვიხდი და ვრჩები ჩულქში და კორსეტში. ინანო და მამამისი იყვნენ სპექტაკლზე (მის მერე მგონი არც ყოფილა თეატრში ჩემი ქმარი), ინანო იღებდა სპექტაკლს. მერე მიყვებოდა, ამ სცენის დროს ხელი ჩამომაწევინა და მითხრა, რატომ იღებო (იცინის), თითქოს გადაღება რამეს შეცვლიდა.

**- შენს „ფეისბუქზე“ ფოტოებს ვათვალიერებდი და მარჯანიშვილის თეატრის ალბომს გადავაწყდი. თითქმის ყველა სპექტაკლში საწოლში წევხარ... ხან რომელ პარტნიორთან, ხან რომელთან...**

- სანამ მაქვს ლოგინში წოლის ასაკი, დავწვები (იცინის).

**- ქალები ამბობენ, რომ ცალკე პროფესიაა მსახიობის ცოლობა. მსახიობის ქმრობა როგორია, რას ამბობს თქვენი მეუღლე?**

- თუ მძიმე ხარ, მოღალატე და



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ასურველი პარტნიორი









**„სიმართლე რომ გითხრა, არტისტებთან რომანი არც მომნდომებია“**

# „კატა“ ახლა იწყებს არსებობას“

უნდობლობას იწვევ შენს მეორე ნახევარში, რა პროფესიისაც გინდა იყავი, რა მნიშვნელობა აქვს. რაც გათხოვილი ვარ, ღალატი არც მიფიქრია. არ ვიპრანჭები, დებილი ვარ, შეიძლება დღეს ეს სასაცილოდ ჟღერს, მაგრამ, სანამ მე და ლევანი ერთად ვართ, ასე იქნება სულ. თუ სცენაზე ვილაცის ლოგინში ჩაწოლა ან კოცნის სცენა დამჭირდა, ეს ცხოვრებაში არ გადმომიტანია. სიმართლე რომ გითხრა, არტისტებთან რომანიც არ მომნდომებია (იცინის). რომ ყოფილიყო ჩემი პარტნიორი ხავიერ ბალდე, შეიძლებოდა დავფიქრებულიყავი (იცინის). „კრასავჩიკები“ არ მომწონს, ხავიერი მამაკაცურია, თავისი საქციელით, ქალთან დამოკიდებულებით, სექსუალობით. საკუთარ გარეგნობაზე რომ გიჟდებიან, ასეთი მამაკაცები არ მომწონს, სარკეს რომ ეკითხებიან, მე უფრო ლამაზი ვარ თუ ჩემი პარტნიორი ქალიო. ბრეტ პიტი არ მომწონს, მგონია, დიდ დროს უთმობს სარკესთან ტრიალს. არც ალენ დელონი მომწონდა არასდროს.

**- სერიალს დავუბრუნდეთ, რით ჰგავხართ „კატას“?**

- რითიც ამიყვანეს, იმით, ალბათ. პირდაპირობით, სიმკაცრით, თუმცა ცხოვრებაში ბევრად უფრო თბილი ადამიანი ვარ, ვიდრე ვჩანვარ. თუ არ ვიცინი, ყველა მეკითხება, რატომ ხარ გაბრაზებულიო.

**- პრეზიდენტობის კანდიდატი ქალი ხართ სერიალში, ცხოვრებაში თუ გიფიარიათ პოლიტიკოსობაზე?**

- არა, ცხოვრებაში არავისტი არ ვყოფილვარ, მიტინგზეც არასდროს წავსულვარ. ისეთ ადგილას ვცხოვრობ, მიტინგი თვითონ მოდის ხოლმე ჩემთან. მოვლენების ეპიცენტრში ვარ. ჩემს სახლში ყველა რევოლუცია ისმოდა, ისე თითქოს ტელევიზორი მქონოდა ჩართული. არ ვარ პოლიტიზირებული. არასდროს არც ერთი მთავრობის იმედი არ გამჩენია. ყოველთვის ერთმანეთის შეჯიბრში ატარებენ დროს, ერთმანეთის ლანძღვაში, დაძირვაში და ჯინაზე რაღაცების კეთებაში. ამაზე ირონიაც არის სერიალში. სწორედ ამიტომ მომწონს „ჩემი ცოლის დაქალები“, დღევანდელ რეალობას ასახავს, ნაცნობ სიტუაციებს გაჩვენებს, მავანს და მავანს, გვერდიდან შეუძლია საკუთარი თავის ყურება.

**- თქვენი გმირი რომელიმე ქართველ პოლიტიკოს ქალს გაგონებთ?**

- არ მინდა ვინმე კონკრეტული ვიყო. არც მიფიქრია ამაზე, ახლა დავფიქრდი. სალომე? ნინო ბურჯანაძე? არა! ახალი ტიპია, ახალი პერსონაჟი ქართულ პოლიტიკაში. ეს გმირი არის მაგალითი ძლიერი ქალისა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს მამაკაცი. მას შეუძლია თვითონ მართოს თავისი ცხოვრება, არ ჰყავს ქმარი, ოჯახი და სულ არ არის ამის გამო დეპრესიაში. გენდერულ თამასწორობასაც უსვამს ხაზს ჩემი გმირი. კაცები ცოტა პასიურები არიან ჩვენს ცხოვრებაში და ეს ამის მაჩვენებელიც არის. ძალიან გააქტიურდა ქალი. ბევრი ოჯახი ვიცი ქართულ რეალობაში, სადაც, ქალია შემომტანი. ეს, ალბათ, ტრაგედიაა კაცისთვის, მაგრამ ფაქტია, ვერაფერს ცვლის. სამწუხაროა, რომ მოძლიერდნენ ქალები, ეს საშინელებაა. ქალი სუსტად უნდა გრძნობდეს თავს მამაკაცის გვერდით, მაგრამ სად არიან ასეთი მამაკაცები? ამიტომ იძულებული ხდები გაძლიერდე. ამას წინათ ვფიქრობდი, ძალიან მინდა მქონდეს იმდენი ფული, რომ ყველას მე ვჭირდებოდე. სწორად გამიგეთ, საქმე მინდა მქონდეს იმდენი, რომ ჩემი შრომით ვიშოვო იმდენი, რომ სხვების დახმარება შევძლო... ახლა ცოტა მეშინია იმის, რომ დინებას მივყვები. პროფესია მაქვს ასეთი, დამოკიდებული ვარ, რეჟისორებზე, პარტნიორებზე, მაგრამ ცხოვრებაში ჩვენი, თუნდაც პოლიტიკური მდგომარეობით, დინებას მივყვებით. კაციშვილმა არ იცის რა იქნება ხვალ. ვგრძნობ, რომ ოქროს დრო მიდის. იცი, როგორი ხალხი ვართ, მე თუ კარგად ვარ, ჩუმად ვიქნებიო, ვფიქრობთ. ვიღაც გამოვა, იყვირებს, ვიღაცას მხარს დაუჭერს, მერე მადლობის ნიშნად მაღალ ხელფასს დაუნიშნავენ და მორჩა, რაღაში აინტერესებს გარეთ რა ხდება, მას ხომ აქვს კარგი ხელფასი, ხომ თბილად ზის სავარძელში. ზარმაცი ერი ვართ.

**- თეატრში ახალ სპექტაკლს ხომ არ დგამთ?**

- არა, ახალ სპექტაკლზე არ ვმუშაობ, ხომ გითხარი, დინებას მივყვები. ძველ სპექტაკლებში ვთამაშობ და ამ ეტაპზე მაქვს სერიალის და კიდევ ერთი ფილმის გადაღებები, აზერი რეჟისორის, კამრან შახმადანის ფილმის. საკმაოდ საინტერესო სცენარია, მხოლოდ ორი მსახიობი, მე და აპოლონ კუბლაშვილი ვთამაშობთ. ფილმი ქალზე და მამაკაცზეა. გადაღებები თბილისში მიმდინარეობს. ქალს უყვარდება თავისზე ბევრად ახალგაზრდა ბიჭი და მთელი ეს ისტორიაა ფიმლში. როგორ მთავრდება, არ გეტყვით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N16 (31) ორშაბათი, 27 აპრილი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
w...ess.ge




თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელები სტუმრად „ევროპაბეთში“

exclusive
ოქროს ფრთა
GOLDEN FEATHER
GFF
2015
ოქროს ფრთა GOLDEN FEATHER
ევექსი
MOMATBIUSI
TELIANI VALLEY
atlasglobal
Petrocas energy group
ჯეოსელი



# ნატალია ქუთათელაძე თავის ექვსწლიან სიყვარულსა და ოჯახზე



ვინ არის ეკა ჩხეიძის სასურველი პარტნიორი - ერთხელ კი მკითხა ქმარმა, რომელიღაც სპექტაკლზე, მართლა კოცნიდიო



# „კატა“ ახლა იწყებს არსებობას“

exclusive

exclusive




# შოთიკო ტატიშვილი: „არ მინდა, რომ წარმატებას მამის პოპულარობის ხარჯზე მივაღწიო“



# ბექა ხოფერია ასირიელ გოგონაზე ქორწინდება

exclusive



„დიდხანს ვფიქრობდით, ვიყავით თუ არა წყვილი“ exclusive

# ია სუხიტაშვილის ყოფილმა ქმარმა ახალი სიყვარული იპოვა

ISSN 1987-7404
9 771987 740005
შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება